

# ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

24 მაისი 2024წ. №8 (4086) გამომცემის 93-ე წელი ვასო 2 ლარი



## 26 მაისი - დაბადების დღე!

საქართველო რომ გამოხატოს ბოროტობას

მერამდენა გლოვა ესე და შეჭირვება,  
 ეს მერამდენად გულთა ფლეთა, სულთა კირთება.  
 რამდენი ცრემლი უნდა ვღვაროთ, ღმერთო, ძლიერო,  
 არსთა გამრიგევე, ბედი კიდევ რა შხამს გვპირდება,  
 ბედი შავბედი, მტერთა ჩვენთა საბედნიეროდ...  
 კვდება იმედი, კვდება რწმენა, ვისხენებთ ოდეს  
 ორლესულებით გადაკეპილ ღამის სარანგთა.  
 სიავემ ბედის შენი დიდი გულიც წავგართვა,  
 ტფილისი შენს ხმას გაიგონებს ველარასოდეს...  
 ავაი, გმირო, არ ეწერა სიზმარს ახდენა,  
 ვინძლო არ იქნა, არ შებრუნდა ეს დრო თავსირი.  
 არსთა გამრიგეს შენ ზვარაკად მიეხლები,  
 საქართველო რომ გამოხატოს ბოროტობასნილი...  
 ხუნდის დადებით  
 სკვითს მიგვარეთ,  
 ო, მგონია, იყო სიზმარი...  
 ვიტანჯვით ახლა სინანულით  
 ნაგვიანევით...  
 ან არ გჭირდება ქალაქიდან გასვლის ფირმანი,  
 სახელით შენით განიხვენება სამოთხის კარი...

**ნოდარ ბრიგალაშვილი**  
(1958-2014)

ლიმიტრი შველიძე

## კონფრონტაცია და კონსოლიდაცია

1918 წლის 26 მაისიდან დღემდე

წერილი მესამე - მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკის დრო

აბა, როგორ ვხვდებით დამოუკიდებლობის 106-ე წლისთავს?

სულ რაღაც თვენახევრის წინ, აპრილის დასაწყისისთვის, ქვეყანაში ასე თუ ისე, ვითარებას სტაბილური ეთქმოდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლება და ოპოზიცია კვლავინდებურად საბრძოლო განწყობაზე იყვნენ და გასაგებიცაა - წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ყველაზე დანაშაულებულ ქვეყნებშიც კი ირევა მონასტერი.

ჩვენში კი, 35-წლიანი პერმანენტული რყევების ფონზე, მაინც სინყარე სუფევდა. ხელისუფლებას საწინააღმდეგო დიდი არაფერი ჰქონდა. იგი მოსახლეობის უმრავლესობის მთავარ დაკვეთას თუ განწყობას პასუხობდა და, როგორც ხშირად აცხადებდა, მშვიდობას ინარჩუნებდა. ეს ნამდვილად არ იყო ცოტა.

ხელისუფლების თავდაჯერებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ოპოზიცია სრულიად მოშლილი, დაქსაქსული და დასუსტებული იყო. მას არ ჰქონდა პასუხები მთელ რიგ სადღეისო საკითხებზე, რომელნიც საზოგადოებას აწუხებდა. ოპოზიციის ნაირ-ნაირი ლიდერები კითხვებზე უბრალოდ არ ან ვერ პასუხობდნენ. გაიძახოდნენ, რომ აუცილებელი იყო არსებული ხელისუფლების თავიდან მოცილება, მაგრამ როგორ? პასუხი არ ჩანდა.

ისინი ამბობდნენ, რომ მოთვინიერებული სასამართლო უნდა შეიცვალოს, მაგრამ რა გზით, ამას არავინ ხსნიდა.

მათ ენა ებმებოდათ, როცა ლგბტ თემის უფლებებსა და პროპაგანდაზე ეკითხებოდნენ...

ისინი ერთიანობაზე საუბრობდნენ, მაგრამ სულ უფრო აღრმავდნენ ფრაგმენტაციას, ერთმანეთს აკრიტიკებდნენ, თავს ესხმოდნენ; შედიოდნენ და გამოდიოდნენ პარლამენტში, არ უჯერებდნენ დასავლელი მეგობრების რეკომენდაციებს და ა. შ. გაუთავებლად.

მთავარი ოპოზიციური პარტია დამალა, ცნობადმა სახეებმა და სახელებმა დატოვეს პარტია

▶ დასასრული მე-2 გვ.

სსრკსა ბივი ალხაზიშვილი - 80



გივი ალხაზიშვილი - სა-მოცდაათიანელების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, პოეტური კულტის ერთგული მსახური, ჭეშმარიტი ლიტერატორი, რომლისთვისაც სიტყვა იყო ყოფიერების უმაღლესი ინსტანცია.

რა იყო მისი პოეტური შემოქმედების მთავარი ნიშანი? ალბათ ტკივილი, თავისი კლასიკური გაგებით. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ტკივილის გარეშე ლექსი არც იწერება, მაგრამ მის ლექსებში თავისებური იყო ამ გრძნობის გამოხატვის ფორმა და შინაარსი, კერძოდ, ეს გახლდათ სიფაქიზე, რიდი, შემოქმედის ღირსება.

## ბივილი პირდაპირი პერსპექტივით

გადავხედოთ გივი ალხაზიშვილის პოეტურ კრებულებს: „უცხო ფრინველი“ (1975), „ქარის დევნა“ (1983), „შენ ყოველთვის ხედავ, ცაო“ (1985), „სინათლე ნეტში“ (1996), „გამოსვლა უდროობიდან“ (1998). მის ლექსებში პოეტური ხატები და წარმოდგენები ისე მონაცვლეობენ რეალურისა და ირრეალურის ზღვარზე, რომ ქმნიან ფერად პორიზონტს, სადაც იმედის შუქით იკვეთება შინაგანი მოძრაობის მთავარი მიზეზი - სიცოცხლე. ყველა დეტალი, ლექსის ყველა კომპოზიციური ელემენტი ამტკიცებს, რომ ავტორი შთაგონების ბუნებრივ ენერჯის ეყრდნობა, მაგრამ იქვე ჩანს შინაგანი ცენზორი - ინტელექტი, რომელიც აწესრიგებს ყველაფერს, რასაც შთაგონება სტიქიურად იძლევა. ინტელექტი, ფიქრი, მუსიკა - აი, ის, რასაც მისი ლექსების კითხვისას ვამჩნევთ და ვაფასებთ.

რთულია, ყველასათვის იოლი გასაგები არ არის ეს ლირიკულ-ფილოსოფიური დისკურსი, მაგრამ იცი, ხვდები, რომ ავტორი იმყოფება იქ, სადაც პოეზია სწორი, პირდაპირი პერსპექტივით ალაგებს თავის რელიეფს.

ლექსების გარდა, რომანებს, მოთხრობებსა და ესეებსაც წერდა, თუმცა მკითხველის მეხსიერებაში მაინც პოეტად დარჩა, ფილოსოფიური, მედიტაციური, რეფლექსიური სტილის პოეტად.

26 მაისს 80 წლისა გახლდებოდა...

გივი ალხაზიშვილი - ჩვენი დროის პოეტი, მომავალში საკითხავი თემებითა და პოეტური ორიენტაციებით.

**ივანე ამირხანაშვილი**

<p><b>საპედინდრო შეცდომა</b></p> <p>მინო მორიშვილი</p> <p>83.4</p>	<p><b>ახალი რომანი</b></p> <p>მაკა ჯორხაიშვილი</p> <p>83.5</p>	<p><b>დღეისდღის ვეგანე</b></p> <p>ზურაბ ლულუშვილი</p> <p>83.9</p>	<p><b>ვაჟა აზარაშვილის სსრკსა</b></p> <p>ნინო ღარაბიძე</p> <p>83.11</p>	<p><b>„წყალი ააღუღათ!“</b></p> <p>ვ. ს. ვიტყვაიშვილი</p> <p>83.15</p>
--	--	---	---	---

პირველი გვერდი

და ლიდერად აირჩიეს სრულიად არაქარიზმატული და არაპოპულარული ლიდერი, რომელიც მტრის შერჩეულს უფრო ჰგავდა, ვიდრე თანაპარტიელების მიერ არჩეულს.

სრულიად აბსურდული ან, უკეთეს შემთხვევაში, ძველებურად ბუნდოვანი იყო ახალი პარტიის დამაარსებლების პოზიცია, რომლებმაც „ახალი“ კი დაირქვეს, მაგრამ როგორ და რა გზით აპირებდნენ ახალი საქართველოს ამენებას, დღემდე არავის გაუგია.

ერთი სიტყვით, კარგად იყო არსებული ხელისუფლების მდგომარეობა. ყველა მაჩვენებლით, ისინი ალბათ გაიმარჯვებდნენ კიდევ მომავალ არჩევნებში.

თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოების განწყობაც თითქოს ურთიერთმეწყენარებლური გახლდათ, რომ არა ვთქვათ, ურთიერთლოიალური. ჩვენი ფეხბურთელების დიდმა წარმატებამ და ევროპის ჩემპიონატზე გასვლამ სახალხო ენთუზიაზმის აფეთქება გამოიწვია და თითქოს ერთი ნუთით დაავიწყდა ტრადიციულ ქვეყნულ კონფორტული მუხტი. ჰო, ეს იყო მორიგი ეპიზოდური კონსოლიდაცია. ყველას გაახსენდა, რომ ერთი ქვეყნის შვილები ვართ, ერთი პატარა ქვეყნის შვილები და გაგვიხარდა. დიდი მადლობა ჩვენს ფეხბურთელებს.

და აი, ამ დროს ხელისუფლებამ, თითქოს ოპოზიციას მარცხი რგოლი გადაუგდო.

მან ის საკითხი დააყენა დღის წესრიგში, რომელიც პირობა დადო, ამ საკითხს არასოდეს დავეუბრუნდებო. ეს იყო კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. განვეულებო კანონპროექტის ხელმოწერა და დაყენებამ დღის წესრიგში, საპროტესტო მოძრაობის აზვირთება გამოიწვია. ამჯერად, პროტესტის არმიის ძირითადი ძალა ახალგაზრდობა, სტუდენტობა და ნაწილობრივ უფროსკლასელთა თაობა აღმოჩნდა. როგორც ყოველდღიური გამოსვლები მონუმბს, ეს უკვე აღარ არის ეპიზოდური რესურსის მქონე სპონტანური გამოსვლები. გამჭვირვალობის კანონი ახალგაზრდობამ უკვე მიიჩნია საკუთარი მომავლის სასიკვდილო საფრთხედ. კანონი წარმოსახვითად დაუკავშირდა ქვეყნის საგარეო პროდასავლური ორიენტაციის გადასინჯვის საფრთხეს.

წარმოსახვითი შიშები მალე რეალური გახდა და სახელმწიფო ყოველდღიურად წამოსულმა კრიტიკულმა განცხადებებმა, საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ახლა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხები გამოიყურებოდა სულ უფრო, არადაამაჯერებლად. სულ უფრო ხშირად გაისმოდა ანტიდასავლური მესიჯები.

გამჭვირვალობის კანონპროექტის აკარგვანობა, პირველ რიგში, მას შემდეგ უნდა განვიხილოთ, როცა გადაწყვიტეთ, არის თუ არა ამ კანონის მიღება საქართველოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით სასარგებლო ან მისაღები. პასუხობს თუ არა ხსენებული კანონის მიღება საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესებს. ხელს უწყობს თუ ხელს უშლის და აზიანებს იგი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას; მართლაც განამტკიცებს მისი მიღება საქართველოს სუვერენიტეტს თუ საფრთხეს უქმნის მას.

ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ამ საკითხების გარკვევა ბევრად უფრო რელევანტურია, ვიდრე კანონის ნიუანსებზე ადვოკატურა, რომელიც წლები შეიძლება გაგრძელდეს და მაინც არ იქნას მიღებული შედეგი – მხარეთა თანხმობა. თანაც, როგორც ვთქვით, ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყვიტოთ.

დღეს და დღემდე რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის, მარტივი საკითხია. საქართველოს დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიები და გარანტორი ჯერ კიდევ არ ჩანს. ჩვენი მოკავშირე დასავლეთი ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ჩვენში და რეგიონშიც, რათა დამოუკიდებლობის მომავალი გადაწყვეტილად ჩავთვალოთ. ჯერ საქართველო არც ერთი გადაწყვეტილი მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი არ არის, არც ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და არც ევროკავშირისა. ევროკავშირის პერსპექტივა, საუკეთესო შემთხვევაში, 2030 წელია. ალიანსის წევრობის წლის დადგენისა და პერსპექტივისა, რა მოგახსენოთ.

მტკიცე გარანტიები კვლავ არ ჩანს, თუმცა, მოკავშირეები ინტენსიურად ურთიერთობენ საქართველოსთან – ეკონომიკა იქნება თუ ადამიანის უფლებები, კულტურული სფერო თუ სამიტები, ვიზიტები, განცხადებები, დაპირებები და ა. შ. ხან ერთი-ორი ჯაველინიც მოჰყვება ხოლმე დაპირებებს და გამამხნევებელი განცხადებებიც, რომ ჩვენ ერთგული პარტნიორები ვართ და განუწყვეტილად ვუახლოვდებით დასავლურ სტრუქტურებს, რომელთა კარები მუდამ ღიაა და ერთი დროც იქნება, ჩვენ აუცილებლად გავხდებით მათი წევრები.

ამასობაში ხომ შეიძლება საერთაშორისო ვითარება სრულიად არასასურველად წარიმართოს? არასასურველი სიმპტომები საკმარისზე ბევრი გავჩნდა. მაგალითად, გაჩნდა პროდასავლური ორიენტაციის თითქოს ალტერნატიული ვარიანტი თუ არა მთლად, ყოველ

შემთხვევაში, ალტერნატიულობის ახალი პრეტენდენტი: ჩინეთმა სტრატეგიულ მოკავშირედ გვავლიარა. ამითაც არ დამთავრებულა ორიენტაციული „ძიებები“. ძველი მეტროპოლიაც გააქტიურდა – ჯერ არაოფიციალურად, მაგრამ ისმის ხმები, რომ გვთავაზობენ ქვეყნის გაერთიანებას კონფედერაციულ სამკუთხედში: საქართველო-აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთი?! ჰო, რატომაც არა – ცხადია, ისევე ჩვენი ძველი მეტროპოლისი ქოლგის ქვეშ. ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა უკვე მოგვაგონებს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ვითარებას 1920-1921 წლების მიჯნაზე. მაშინ საბჭოთა რუსეთმა საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია. სწორედ საბჭოთა რუსეთის ზენოლით, საქართველოს უარი ეთქვა გამხდარიყო ერთა ლიგის წევრი. კრემლი ერთა ლიგის ხელმძღვანელობას ტელეგრაფებს უგზავნიდა, რომ საქართველოს განაცხადები „ყურადღების გარეშე დაეტოვებინათ“. ასეც მოხდა.

იზოლაციის მეორე ფაქტორი გახლდათ დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საქართველოსადმი ინტერესზე და სავაჭრო ხელშეკრულება გაეფორმებინა საბჭოთა რუსეთთან. ასე აღმოჩნდა პირველი ქართული რესპუბლიკა საერთაშორისო იზოლაციაში და ის ისე გადასანსლა საბჭოთა რუსეთმა, რომ არავითარი გართულება დასავლურ სამყაროსთან აღარ ჰქონია.

თუ დასავლეთის ლიდერთა, პარლამენტართა, მინისტრთა და სხვათა ბოლოდროინდელ კრიტიკულ განცხადებებს გავითვალისწინებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება რომ საქართველოს ხელისუფლებების მიერ ნალოიალები და აგურ-აგურ ნაშენები საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელსაც არა მარტო წინა ხელისუფლებები, არამედ დღევანდელი ხელისუფლებაც ავად თუ კარგად ხელს უწყობდა – უცებ ჩამოიშალა. ჩვენ შევდივართ საერთაშორისო იზოლაციის მორიგ ფაზაში. ყოველ შემთხვევაში, საამისო ნიშნები აშკარაა. აგერ ჩვენი სულ ახლახან ყოფილი მეგობარი-მოკავშირეები რა განცხადებები აკეთებენ:

„ღრმად შემოთვალისწინებთ ვართ საქართველოში დემოკრატიული უკანდახვევის გამო. ქართველი პარლამენტარები კრიტიკული არჩევანის წინაშე დგანან – მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის ევროატლანტიკურ მისწრაფებებს თუ მიიღონ კრემლის სტილის „უცხოური აგენტების“ კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს“, – წერს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი სალივანი.

„ჩვენ გვჯერა, რომ კანონი, რომელსაც ისინი განიხილავენ, საქართველოს სახიფათო ტრაექტორიაზე გადაიყვანს, ევროატლანტიკურ გზას საფრთხეს შეუქმნის და აშშ-საქართველოს ურთიერთობას ძირს გამოუთხრის“, – ეს კი სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა განაცხადა. მსგავსი განცხადება გააკეთა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ.

დაბოლოს, ევროპის 12 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება: „რამდენადაც საქართველოს პარლამენტი იღებს კანონს ე. წ. „უცხოური გავლენის შესახებ... ეს კანონმდებლობა შეუთავსებელია საქართველოს პროგრესთან ევროკავშირის გზაზე“. განცხადებას ხელს აწერენ ჩეხეთის, დანიის, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ირლანდიის, ლატვიის, ლიეტუვის, ნიდერლანდების, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

ამ და სხვა გზავნილებიდან რა დასკვნა უნდა გამოიტანოს კაცმა, ამტკიცებს თუ ასუსტებს საქართველოს სუვერენიტეტს ჩვენი პარლამენტის უმრავლესობის მიერ მიღებული კანონი, რომელმაც, პირველ რიგში, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს უკანასკნელი ხომ ბოლო 10-12 წელია თავს იწონებს საკუთარი პროდასავლური პოლიტიკით და მიღწევებით. ჩვენი სახელმწიფო კი თანდათან, დასავლეთისაგან იზოლაციისკენ მიიწევს, რასაც მხოლოდ ერთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს – ის, რაც მოხდა 1921 წელს. დასავლეთისაგან იზოლირებული საქართველოს, უმტკივნეულოდ დაიბრუნებს რუსეთი საკუთარ ორბიტაზე, აქედან გამომდინარე მძიმე შედეგებით.

ამასობაში, ქვეყანა კვლავ ორიენტაციული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს საზოგადოება და მოსახლეობა კონსერვატიული ბანაკად ეწყობა და საკითხი კვლავ კონფორტულია დადგას – ვინ ვის? დასავლეთი თუ...

თავის დროზე საქართველოს ორიენტაციული არჩევანი კლასიკური ფორმულით გადაწყვიტა პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ყორღანიამ:

„დასავლეთი თუ აღმოსავლეთი – აი, ეს კითხვა ჩვენს წინაშე დასასვლი და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს...“

სად არის ამ არჩევანში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება? მის წინ ჯერ კიდევ დევს პრეზიდენტის ვეტო და საბოლოო გადაწყვეტილება მის ხელთა... ასე ვხვდებით დამოუკიდებლობის 106-ე წელს.

# გეგაფორაჟი გასოსხლეული ისორია



13 მაისს ნიგნის მალაზია „შაქრო ბაბუას“ დარბაზში გაიმართა მკაცრად ახალი ნიგნის წარდგინება.

„ისკარიოტის ეკლესია“ – ასე ჰქვია მწერლის რომანს, რომელიც იუდას ცხოვრების ღრმა და მდიდარი წარმოსახვით შექმნილ არაორდინარულ მხატვრულ ვერსიას წარმოადგენს.

„ვინ იყო იუდა? ვინ იყვნენ ავაზაკები? როგორ იყო მათი ბავშვობის, სიჭაბუკის წლები და გზები? დარჩათ თუ არა შთამომავლობა? სიკვდილის წინა წამებში როგორ მოახერხა ერთმა ავაზაკმა სასუფევლის მოპოვება, მეორემ კი ჯოჯოხეთის ბინადრად ქცევა?“ – ეს შეკითხვები ნიგნის ანოტაციაშია დასმული და მათზე პასუხს უთუოდ მიაგნებს ამ ნიგნის მკითხველი, რომელსაც შემეცნებით სიხარულთან ერთად ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნებაც ელოდება.

მსგავს თემებზე იყო საუბარი წარდგინებაზეც, რომელსაც უძღვევებოდა ნიგნის რედაქტორი, მწერალი ზვიად კვარაცხელია. მკაცრად ახალი რომანზე ისაუბრეს როსტომ ჩხეიძემ, მანანა გაბაშვილმა, მაია ჯალიაშვილმა, ივანე ამირხანაშვილმა. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ეს არის ჩვენი ლიტერატურის შენაძენი, ნიგნი, რომელიც ორიგინალური და ახლო ხედით დაგვანახებს მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს.

მკაცრად ახალი რომანის შექმნის დეტალებზე, თავის შემოქმედებით კონცეფციაზე, აგრეთვე, უპასუხა დასმულ შეკითხვებს და ბოლოს მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „ინტელექტსა“ და დამსწრე საზოგადოებას.

**ია სანთელაძე**  
(თემის გაგრძელება იხილეთ მე-5 გვერდზე)

# პროფესორი დაფასება უნდა



წელს, ხარების დღესასწაულზე, მართლაც უნიკალური და გულგასახარი საჩუქარი მივიღე. ჩვენმა შესანიშნავმა პოეტმა და მთარგმნელმა ბელა შალვაშვილმა მისახსოვრა თავისი ფანტასტიკური ნამუშევარი – 9 ტომად გამოცემული ფირდოუსის პოემა „შაჰნამე“. ესაა პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიო პოეზიის ამ საყოველთაოდ ცნობილი და მოცულობით ყველაზე დიდი შედევრის (ორგზის აღემატება „ილიადასა“ და „ოდისეას“, ერთად აღებული. 104 თას სტრიქონზე მეტია.) მთარგმანი ერთ პიროვნებას ეკუთვნის. ის, რასაც სხვა ქვეყნებში ავტორთა კოლექტი-

ვები. და ზოგჯერ მთელი ინსტიტუტები აკეთებდნენ, გააკეთა ერთმა უნიჭიერესმა ქალბატონმა, რომელსაც ქართული საზოგადოებისგან უღრმესი მადლობა, ხოლო სახელმწიფოსგან განსაკუთრებული დაფასება ეკუთვნის.

ჩემმა კოლეგამ, ცნობილმა მწერალმა და კულტუროლოგმა სოსო სიგუამ უკვე გამოთქვა საჯაროდ მოსაზრება, რომ ქალბატონ ბელა შალვაშვილს ამ ქვეყნისთვის მთავარი რუსთაველის პრემია ეკუთვნის. მხარს ვუჭერ ამ წინადადებას და ვფიქრობ, რაკი გამოცემა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობით განხორციელდა (გამომცემლობა „მერიდიანი“), უპირაინი იქნება, სწორედ ხსენებულმა სამინისტრომ გამოიჩინოს ინიციატივა და წარადგინოს ფირდოუსის მთარგმნელი რუსთაველის პრემიაზე. ხომ გვექნება პრეცედენტი მხატვრულ მთარგმანში ამ პრემიის მინიჭების მიკოლა ბაუანისთვის, მუშნი ლასურასთვის, გიორგი ბესთაუთისთვის! ვიმედოვნებ, აქ გამოთქმულ მოსაზრებას გაიზარებს საქართველოს მწერალთა კავშირი და ზოგადად შემოქმედებით ინტელიგენციაც, რადგან საქმე გვაქვს, კვლავაც ხაზს ვუსვამ, ერთი მთარგმნელის მიერ გასრულებულ უპრეცედენტულ უზარმაზარ ნამუშევარს, რომლის სათანადოდ დაფასება ჩვენი ქვეყნის ღირსების საქმეა.

არასოდეს ვანერ რეგალიებს, მაგრამ ახლა ერთს მოვანერ: **რასულ ჩილჩაძე**  
შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი

# აპოკრიფი და მისი პერსონაჟები

საუბრობენ მწერალი თამაზ ხმალია და ენათმეცნიერი გიორგი გომოლაშვილი



▶▶ ბაზრქმეობა, ღსაწყისი „ლს“ №67

**გ.გ.** – ეს არის მარადსამახსოვრო დამოკიდებულება შემოქმედისა შექმნილის მიმართ. უნდა შეეძლოს მწერალს თანადგომის გამოხატვა პერსონაჟის მიმართ, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი. ზოგჯერ ვარდის ჩუქვებაც უნდა მოახერხოს მისთვის და თუ საჭირო გახდა, ხელშიც აიყვანოს.

**თ.ხ.** – აქ არ შემიძლია, თამაზ ბიბლიურის აზრი არ გავიხსენო – ეს იყო რჩევა ახალგაზრდა კოლეგისადმი: როგორც ცხოვრებაში უნდა მოერიდო კაცის მოკვლას, ისე – მოთხრობაში. თუ ამის აუცილებლობა არაა, – მარიგებდა.

**გ.გ.** – მსგავსი დამოკიდებულება პერსონაჟისადმი რეზონანსიზმისა და გამოხატვისა. თემურ მალაფეიძე იგონებს: მეორეკურსელმა მოთხრობა დავენერე და უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომაზე წავიკითხეო. მოთხრობაში ნამდვილი ამბავი მქონდა აღწერილი: იმ ზაფხულს ბაკურიანის მახლობლად ვისვენებდი; მასპინძლის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: რაღაც სენმა სამი წლის ბიჭი იმ-სხვერპლა. ეს ნამდვილი ამბავი აღვწერე მოთხრობაში, – წერს თ. მალაფეიძე. სხდომას რეზონანსიზმიც ესწრებოდა. გამოვიდა და, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე არ დატოვავაო; „ამნაირად წერა არ შეიძლებაო. ვინ მოგვცათ უფლება ადამიანთა ასე უმონყალოდ გამეტებისაო. იქნებ, რაც მოთხრობაში აღწერილი, მართლაც მოხდა, მაგრამ რაც ცხოვრებაში ხდება, განა ყველაფერი გამოცემის ღირსიაო? ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტადენ შევებს მაინც მოუტანს, შენ კი გახსნილ იარაგს მარტოს აყრი, აკრძალული ილეთებით მუშაობ, აბა როგორ შეიძლება, სამი წლის ბავშვი სასიკვდილოდ გაიმეტო, თუ მართლა მწერალი ხარო. რა მხატვრული აუცილებლობა ამისაო? კიდევ თქვა რაღაცები, მაგრამ, არსებითად, ეს იყო“.

ეს პრინციპია მწერლისა პერსონაჟებთან დამოკიდებულებისა...

და კიდევ: სერგო კლიაშვილი იგონებს, დავითმა მისაყვედურა, რა ამბავია ამდენი სიკვდილიო; არადა ვრცელ რომანში ორი პერსონაჟი მოკვალა... მოკლედ, მწერალი პერსონაჟის არსებობის და უნდა მოუფრთხილდეს მის სიცოცხლეს...

**გ.გ.** – თამაზ, არ ვიცი, გახსოვს თუ არა: ერთხელ უხასიათოდ იყავი და მიზეზი გკითხე; ნიკო მოკვდაო, შემომჩივლენიკო ერთი იმ სამთავანია, „სამი კაცი დუქანს რომ არის“...

**თ.ხ.** – ჰო, იყო ასეთი შემთხვევა. შენ წარმოიდგინე, ისეთი განცდაა, ძალიან ახლოდები რომ გარდაიცვლება...

**გ.გ.** – მოდი, შევცვალოთ მიმართულება საუბრისა. პერსონაჟთა სახელ-გვარები მაინტერესებს: რას არქმევს მწერალი პერსონაჟს და რატომ?

მე არ ვსაუბრობ ისეთ სახელ-გვარებზე, გიორგი წერეთლის პერსონაჟებს რომ აქვთ: ფულავა, წარბა, ჯიბიაშვილი, ჭამიაშვილი და სხვა; ანდა ეგნატე ნინოშვილისას – უიშვილი, მუნჯაძე, მცირიშვილი, მკლავაძე... მე ჩვეულებრივი სახელები მაინტერესებს, არამოტივირებული... ილია ჭავჭავაძე გავიხსენებ არაერთგზის. ილიას პერსონაჟი არის **ლუარსაბ თათქარიძე** გვარს დავანებოთ თავი; ეს სახელი (ლუარსაბ) რატომ მოერგო ასე პერსონაჟს?

**თ.ხ.** – საოცრებაა, სამეფო სახელი; წმინდანი მეფის სახელი...

**გ.გ.** – დიახ, ჩვენს ანთროპონიმოლოგიაში ეს ცალკე რიგია საკუთარი სახელებისა... მწერალმა აიღო, წამოიღო, დაარქვა თავის პერსონაჟს და... წარმოიდგინეთ, „მოკლა“ სახელი...

**თ.ხ.** – „მოკლა“ ალბათ იმას გულისხმობს, რომ ამ სახელს თითქმის აღარ არქმევენ...

**გ.გ.** – ვინმეს გადაჭარბებული რომ არ მოეჩვენოს, სტატისტიკა მოვიშველიოთ. ნიგინიდან „გვარ-სახელები საქართველოში“ (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997) 1995 წლის მონაცემებით „სამეფო სახელებიდან“ რომელი სახელი რამდენია: გიორგი – 147454; დავითი – 76051; ვახტანგი – 24578; ერეკლე/ირაკლი – 1324/21881; თამარი – 100558; მირიანი – 3540... და ამ დროს **ლუარსაბი** – 218!..

**თ.ხ.** – მე მაგდენიც არ მეგონა, თუ იქნებოდა...

**გ.გ.** – ეს მე-20 საუკუნის მონაცემია... ფარნაოზიც კი თითქმის სამჯერ მეტია – 586! და ეს ლუარსაბ თათქარიძის „ბრალი“ ჩანს...

**თ.ხ.** – ჰო, ყოველ შემთხვევაში მე დღეს არ ვიცნობ ადამიანს, ლუარსაბი რომ ერქვას... ეს სახელი იმდენად

მოერგო „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟს, იმდენად „თავისი“ გახდა, რომ განზოგადდა კიდევ: „ლუარსაბობა“ – ლუარსაბ თათქარიძის მსგავსს, მისი თვისებების მქონეს გულისხმობს და არა „ლუარსაბ II-ის“ მსგავსებს...

**გ.გ.** – რატომ მოერგო, რით მოერგო?... ზემოთ სოლომან მორბელაძე გავიხსენებ, გვარმა სახელი მოათრიაო... აქაც ასეა ვითომ? გვარი გაჩნდა – თათქარიძე – და ამან „მოათრია“ სახელი?

**თ.ხ.** – ერთი მონაფე მყავდა, აბიტურიენტი, „კაცია-ადამიანი?!“ რომ დამთავრდა და ლუარსაბი და დარეჯანი გარდაიცვალნენ, თვალები ცრემლებით აევსო: როგორი კარგები იყვნენო, არავისათვის არაფერი დაუშავებიათო, არაფერი წაუხდენიათო... აქ მწერლის დამოკიდებულებას მივაქცევ ყურადღებას: ლუარსაბი იმიტომაა უარყოფითი მწერლისათვის, რომ არაფერი გაუკეთებია... მკითხველისათვის იმიტომაა კარგი, რომ არაფერი დაუშავებია...

**გ.გ.** – ანუ: ერთი და იგივე პერსონაჟი „ცუდიცაა“ და „კარგიც“.

**თ.ხ.** – ეს ასეც შეიძლება გავიზროთ: იმ დროში ვინც კარგს არ აკეთებდა, ცუდი კაცი იყო; დღეს – ცუდს თუ არ აკეთებს, კარგი კაცია!... ამან შეიძლება დროების შევასებოსათვისაც ივარგოს.

**გ.გ.** – ისევე პერსონაჟთა ნათლობის პროცესს დავუბრუნდეთ... როგორც მწერალს გეკითხები: შეიძლება თუ არა ამ პერსონაჟს, ლუარსაბს, **გიორგი** რქმეოდა? გავიხსენოთ – მის ძმას **დავითი** ჰქვია.

**თ.ხ.** – გიორგი ალბათ ვერ დაერქმეოდა. სიტყვის ბგერითი შედგენილობა ისეთი – ლუარსაბ – თითქოს გაბერულია... ბ – ბერ – ბერვა... თითქოს კავშირშია პერსონაჟთან... **გიორგი** ამ ასოციაციას ვერ შექმნიდა.

**გ.გ.** – საინტერესო საკითხი დასვი: სიტყვის ბგერითი შედგენილობა და პერსონაჟი...

ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაზე ვფიქრობდი. იქ დაისვა ეს საკითხი: ორი ძირითადი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს **თურმანი** და **თორელი** ჰქვია: არამყლერი, არამკვეთი **თ** და სონორები: **რ, მ, ნ, ლ...** მათ გვერდით ასეთი სახელებია: ხვედია, ბინალა, სალთუჯი, ბანჯურა, ჯათი, ბესლამი... – ეს მამაკაცის სახელებია. ქალის სახელებიც თითქოსდა ფონეტიკურად გამორჩეულია (**წ** მეორდება ხშირად):

**თ.ხ.** – არა, არა ჩანს შემთხვევითი... ძნელი სათქმელია, მწერალი ამაზე ფიქრობს, თუ როგორც შენ ამბობ („ჩოხა-ახალუხივით შემოწკპილი უნდა ჰქონდესო“ სახელ-გვარი...), ეს სახელი „მოერგო“ პერსონაჟს... მაგრამ აქ კიდევ ერთი რამეა გასათვალისწინებელი: მწერლობაშიც არის მოდა; დგება დრო მწერლობაშიც, როცა შემოდის მოდური სახელები, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურაში იხმარება და ცხოვრებაში დამკვიდრება არ უნერია. თუ გადავხედავთ ბასილ მელიქიშვილის დროის მწერლობას, ასეთი სახელები იშვიათობა არ იქნება. ამ მხრივ განსაკუთრებით ლადო კოტეტიშვილის შემოქმედება იპყრობს ყურადღებას.

**გ.გ.** – ერთი ამბავიც გამახსენდა: სტუდენტებთან საუბრისას ასეთი კითხვა დამისვა: ვაჟას ერთ პოემაში ორი პერსონაჟია – გოგოთური და აფშინა. ერთი დადებითია, მეორე – უარყოფითი; რომელი რომელია (იგულისხმება პოემა არა აქვთ წაკითხული). პასუხი უცებ მომეცა...

**თ.ხ.** – ესეც იქედანაა, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“...

**გ.გ.** – დავით კლიაშვილის პერსონაჟებზე მიფიქრია ამ თვალსაზრისით. შეიძლება ფაქტები დავაზუსტოთ: დავით ვარიანტებში პერსონაჟთა სახელ-გვარებს ცვლის. მაგალითად, „სამანიშვილის დედინაცვლის“ ადრეულ ვარიანტში **პლატონ სამანიშვილი არჩილ სანებლიძეა**... რატომ შეიცვალა, რა იყო მოტივაცია, ძნელი სათქმელია. „ქამუშაძის გაჭირვების“ ერთ-ერთ პერსონაჟს ჯერ **ეფემია** ერქვა, მერე – **ბარბარე**, ბოლოს – **ეკვირინე**...

**თ.ხ.** – მხოლოდ ქართულ მწერლობაში ხომ არ გვაქვს ასეთი მაგალითები. ამბობენ, არტურ კონან დოილს მთელი გვერდი ჰქონდა გადაცხებული გვარ-სახელებით, როცა თავისი მოთხრობების მთავარი გმირისათვის სახელს არჩევდა და ბოლოს, როგორც იქნა, შერლოკ ჰოლმსს მიაგნო; ასევე ინვალა მისი მენეჯერის, ექიმ უოტსონის, გვარის გამოსაჩხრეკადაც...

**გ.გ.** – ალბათ ბევრი მწერალი ამას თავადაც ვერ ახსნის

**თ.ხ.** – ჰო, არის რაღაც ისეთი, რაც ავტორს ამას აკეთებინებს, ჩვენ გავციქვრდება ამოცნობა... ეს შეეფერება და გათავდა... აი, მოფერებითი სახელები რომ არის, მაგალითად გიორგი – გია, გოგი, გიო... ყველას ვერ აკადრებ, არ შეეფერება... ადრეც მითქვამს: ტარიელ ჭანტურას აქვს ერთი შესანიშნავი რითმა: „ნოსტელ გიას – ნოსტელგია...“ შინაარსობრივადაც რა კარგია – ნოსტალგია გიორგი სააკაძისა. მაგრამ ვერავინ ვერ მიიღო ეს რითმა; არ ასახელებენ კარგ რითმათა ჩამონათვალში: გიორგი სააკაძეს გიას ვერ აკადრებენ... დიდი მოურავი გია არ შეიძლება იყოს... – მარტო გიორგი...

**გ.გ.** – მაგრამ აქ მწერლის ფაქტორიც ხომ არ შემოდის? – დიდოსტატის კონსტანტინე ჰქვია და **უტა** დაუძახა...

**თ.ხ.** – აი, აქ მოვუახლოვით მწერლის დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ. უყვარს ავტორს, იხსენებს მის ბავშვობის სახელს და როცა ასე მოიხსენიებს, თითქოს ეფერება, ეალერსება.

**გ.გ.** – დიდოსტატის სახელთან დაკავშირებით ერთი კითხვაც ჩნდება. ვერ ვიხსენებ შემთხვევას ქართულ ლიტერატურაში, მთავარ პერსონაჟს ავტორის სახელი რომ ერქვას, ავტორის სენია რომ იყოს... კონსტანტინე გამსახურდიას ორი რომანის გმირი კონსტანტინეა – კონსტანტინე სავარსამიძე და კონსტანტინე არსაკიძე... როგორ განმარტავ ამ ფაქტს?

**თ.ხ.** – ეტყობა, ავტორს თავისი სახელიც მოსწონს, უყვარს კიდევ და ორი მთავარი რომანის პროტაგონისტებს საკუთარი სახელი დაარქვა. თუმცა „დიონის ლიმონის“ დასასრულისას იმასაც ამბობს: ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო...

**გ.გ.** – თამაზ, ჩვენს დროს სკოლაშიც ისწავლებოდა ნიკო ლომოურის მშვენიერი მოთხრობა „ქაჯანა“. გახსოვს?

**თ.ხ.** – რა თქმა უნდა.

**გ.გ.** – აბა, გაიხსენე: ქაჯანა პერსონაჟთაგან დას ჰქვია თუ ძმას?

**თ.ხ.** – დას.

**გ.გ.** – არა!... ძმას ჰქვია. და-ძმა არის, კატო და ქაჯანა... ნიგნში ჩავიხედოთ. მოთხრობის პირველი წინადადება: „პატარა ქაჯანა გახლავთ მეტი სახელი სოფელი პატარა ბიჭისა“... და მერე: „სამინელი ეშმაკი და კუდიანი გოგონა იყო ეს კატო“... აი, ეს არის პერსონაჟთათვის სახელების არასწორად შერჩევა.

**თ.ხ.** – ვისაც ახსოვს ეს მოთხრობა, ყველა იტყვის ალბათ, რომ ქაჯანა გოგონა, დიახ, თავისი ქცევით: ცუდი ბუნებით, მოქმედებით. სხვათაშორის ეტიმოლოგიურადაც ქალის სახელია „ქა“ (შემოკლებული ქალი) და „ჯან“... ძველსაპარსული „სულ“ (აქ მეგრული „ჯანსულ“ ამოტივტივდა გონებაში...).

**გ.გ.** – ესაა ის, რასაც ვამბობდი: არასწორად შერჩეული სახელი პერსონაჟისა... სხვათაშორის, ნ. ლომოური განმარტავს, რატომ დაერქვა ამ პერსონაჟს ქაჯანა: ლაპარაკში ხშირად უყვარდა სიტყვა „ქაჯანას“ ხმარება.

**თ.ხ.** – ეჰ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟის გვარ-სახელს, მაგრამ უპირველესი მაინც სხვა რამეა: დაარქვი სახელი და ნაწარმოები თუ ივარგებს, ეს პერსონაჟი თავსაც დაიმკვიდრებს და სახელსაც მოივარებს...

**გ.გ.** – წინა დიალოგში კარგად თქვა: შენს პერსონაჟს სახელს რომ დაუძახებ და არ მოიხედავს, უნდა მიხვდე, რომ ნათლიად ვერ ივარგებ და უნდა შეუცვალო სახელი... გქონია, თამაზ, შენ ასეთი შემთხვევა?

**თ.ხ.** – დამთავრებულ მოთხრობაში სახელი არ შემიცვლია. მუშაობისას – კი, მომხდარა ასეთი რამე: ადრეც ვთქვი, რომანის პერსონაჟს გზადაგზა რამდენჯერმე შეეცვალა სახელი.

**გ.გ.** – მახსოვს, სანამ **დემნას** დაარქმევდი.

**თ.ხ.** – ოღონდ, მერე, როცა ვკითხულობდი, როგორც სხვის ნაწარმოებს, მაშინ ვიფიქრე, ეს ასე გაუკეთებია-მეთქი ავტორს... მაშინაც ვთქვი, ეს ჩემდაუნებურად მოხდა, თავისით მოვიდა ეს სახელი; მერე მივხვდი, რატომაც... ეს ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესია, მოვლენაა, როგორც ჩანს. ამასაც განსაზღვრავს ის, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“.

**გ.გ.** – ხშირად პროტოტიპი კი ჰყავს პერსონაჟს, მაგრამ ამ პროტოტიპის სახელი იშვიათად თუ გადაჰყვება ნაწარმოებში. რეზონანსიზმს ვსტუმრობდი უჯარმაში. აი, იმ სახლში ცხოვრობდაო **ბიბო** (ცნობილი საბავშვო მოთხრობის პერსონაჟი), დავგანახა. ბადრი ერქვაო და გვიამბო, როგორი ბიჭი იყო... სახელი მაინც სხვა მოერგო – ბიბო... ოტია იოსელიანი ავტობიოგრაფიული მოთხრობების შესავალში გვაფრთხილებს, რომ აქ ყველაფერი სინამდვილეა, მაგრამ ნამდვილი „შეთხზულ სახელს არქმევს“, რადგან მიაჩნია, რომ „ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი“...

**თ.ხ.** – პერსონაჟის სახელის დაარქმევა ასეთივე პროცესი ჩანს და არა მხოლოდ სახელი...

**გ.გ.** – ლუარსაბზე რომ ვსაუბრობდი, ვთქვი, დავანებოთ-მეთქი თავი გვარს, მაგრამ, ეტყობა, პერსონაჟის გვარს მაინც ვერ აუფვლით გვერდს... ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან გძელაძე... ფაქტია, თათქარიძე არ არის რეალური გვარი; მაგრამ არც ისეთი გამჭვირვალეა, როგორც ე. წინოშვილისა და გ. წერეთლის პერსონაჟთა გვარები, თუმცა, ეტყობა, რაღაც სემანტიკური დატვირთვა მაინც აქვს...

**თ.ხ.** – საერთოდ ილია ჭავჭავაძის პროზაში ეს საკითხი საგულისხმო მეჩვენება. აბა დავფიქრდეთ: მოთხრობებში „ოთარანთ ქერივი“, „გლახის ნაამბობი“, „სარჩობელაზედ“ მთავარი პერსონაჟების გვარი არ ვიცი; არ მიჩნია საჭიროდ მწერალმა... „კაცია ადამიანი“ სხვა ვითარებაა: თათქარიძე და გძელაძე...

**გ.გ.** – საგანგებოდ მოვიძიე ცნობარებში და ეს ვარიანტი – გძელაძე – არ ჩანს, გძელაძე – კი. (ასევე რ სონორის გარეშე – გძელიძე არის, გძელაძე – არა). ანუ: რეალური გვარისგან ფონეტიკურ ვარიანტს აკეთებს: ი ხმოვანს ჩაანაცვლებს ა ხმოვანით...

**თ.ხ.** – მსგავსი ვითარება დ. კლიაშვილთანაც იყო: მორბელაძე მორბელაძედ გადააკეთა... იქ თითქოს მოტივირებული ჩანდა: გვარი რბოლა-რბენას დაუახლოვდა ფონეტიკურად... გრძელაძის შემთხვევაში რა ვიფიქროთ?

**გ.გ.** – **ია** შენაცვლებით ირონია შემოაქვს, დასცინის; სიტყვას საპირისპირო მნიშვნელობას აძლევს. ნიგნში ჩავიხედოთ: ლუარსაბის გარეგნობა გვახსოვს; დარეჯანზე იტყვის: „ფერი ერთი ჰქონდათო“; „ეს ამოდენა დედაკაცი, ჩავადრე-ბული, ჩასორსლებული (...) გორგალსავით დავორავდა...“ და გრძელაძეო... ეს ა სუფიქსის გამოყენების ის შემთხვევა ჩანს, სიტყვას კნინობითობის (უქონლობის) შინაარსს რომ აძლევს: კულა უკუდოს ნიშნავს...



მიხომორდილაძე

საქართველოზე თავდასხმა რუსეთმა დიპლომატიურად მოამზადა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას მიაღებინა „ნეიტრალიტეტის“ სტატუსი, რითაც რუსეთის მხარე აგრესიას ყველა ზღუდარი მოუსპო. ამასთანავე საოცრად გაიზარდა რუსეთის ელჩის უფლებები (იმხანად სტალინის მეგობარი სერგეი კიროვი) და მისი სამხედრო „მრჩევლების“ ოფიციალურმა რაოდენობამ, რომელმაც 300 მებრძოლს გადაამეტა!!! შედარებისათვის; ავღანეთში ცნობილი ამინის სასახლე აიღო სულ ორმოცდაათიოდე საბჭოთა მედესანტემ, ვისი საბრძოლო მომზადება დიდადაც არ აღემატებოდა კიროვის „სამხედრო მრჩევლების“ სიჩაუქეს...

აღადგინა რა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ინგლისთან, მოსკოვმა ინგლისიდან ფარულად მოიპოვა თავისუფალი მოქმედების უფლება სამხრეთ კავკასიაში, ამავედროულად, ქემალის თურქეთს დაუთმო უფლებები საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, სანაცვლოდ კი თურქეთი შესაძლო საომარი მოქმედებების შემთხვევაში ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას შეჰპირდა. მიაღწია რა საქართველოს ფაქტობრივ იზოლაციას, რუსეთს დიდხანს აღარ უფიქრია. საქართველოზე თავდასხმისათვის აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში დამატებითი სამხედრო ნაწილები შეიყვანა, რასაც მოჰყვა ლენინის დაუყოვნებლივი ბრძანება:

„...მიუხედავად მოსალოდნელი სამხედრო დანაკარგებისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეჩერება და სწრაფი, გადაუდებელი შეტევით უნდა მოხდეს ტიფლისის აღება, მაქსიმუმ ორ დღეში... და უყოვნებლივ დაიწყეთ საომარი მოქმედებები...“ საჭირო იყო მხოლოდ საბაბი და ბოლშევიკებმა ის სწრაფად შექმნეს. 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოში, ბორჩალოს მაზრის სოფელ შულავერში, ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს „რევოლუციური კომიტეტი“. და ამ კომიტეტის სახელით მოსკოვში გაიგზავნა თხოვნა სამხედრო ძალით დახმარების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული კომიტეტის არც ერთი წევრი იმხანად შულავერში არ იმყოფებოდა. ეგ არაფერი, მოთავრია, საბუთზე მათი ყაღბი ხელმოწერები იდო.

და ფაქტობრივად, როდესაც დეპეშა სამხედრო დახმარების თხოვნის შესახებ მოსკოვში მიიღეს, მაშინ, უკვე, 16 თებერვალს, საქართველოში გააფთრებული ბრძოლები მძვინვარებდა და მოსახლეობა თავგანწირვით იგერიებდა ხუთი მხრიდან შემოჭრილ რუს დამპყრობლებს...

საქართველოს მთავრობაში იმ დროს დამკვიდრებული რუსეთის „არგადიზიანების“ მოლაპატრონივე პოლიტიკით გათამამებული რუსეთის მეთვრამეტე არმია 1921 წლის 16 თებერვალს შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, ერთი ნაწილი აღმოსავლეთიდან, აზერბაიჯანიდან, ხოლო მეორე

სამხრეთიდან, სომხეთის მხრიდან. დასავლეთიდან, დარიალისა და მამისონის უღელტეხილებიდან საქართველოს რუსეთის მე-8 და მე-9 არმიები უტევედა... მე-13 არმია კი ქვეყანაში ჩრდილოეთიდან, სოჭიდან მოიწვედა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს გამოუყვა. თავიდან რუსული არმია წარმატებით მოისწრაფოდა საქართველოს დედაქალაქისკენ, მაგრამ სწრაფი გამარჯვება მაინც არ გამოუვიდათ. ქართველებმა მდინარე ორფოლოზე სარკინიგზო ხიდი ააფუთქეს და იქიდან მომავალი რუსული ჯავშანმატარებლები გაჩერდნენ. სწრაფი შეტევა ჩაიშალა.

23 თებერვალს იაღლუჯას სიმალოს დაცვისას, ქართველებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს მონინაღმდევის მრავალრიცხოვან შენაერთებზე. მე-11 არმიამ საგრძნობი დანაკარგი გა-



# გენერლის საბედისწერო უხელოება

ნიცადა. ქართველებმა ტყვედ ჩაიგდეს 1500-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც მოზიემე ქალაქელთა თვალწინ სირცხვილის დერეფანში გაატარეს თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე, ამჟამინდელ რუსთაველის გამზირზე... მაშინდელ გოლოვინსკის პროსპექტზე.

წარმატებით იქნა ჩახშობილი მე-13 არმიის შეტევა, რუსები დიდი დანაკარგებით, სოჭის გავლით უკან გაბრუნდნენ... მე-8 და მე-9 არმიები ალყაში ჰყავდათ მოქცეული ქართველ მთიელებს. რუსების მეთვრამეტე არმიის მეთაურმა, გენერალმა ველიკანოვმა გენერალ კუიბიშევს უბრძანა დაეკავებინა სადგური ავჭალა, რათა შემდგომში შეერთებოდა მას და ერთობლივი შეტევა განეხორციელებინათ თბილისზე, მაგრამ ეს ჩანაფიქრიც ჩაეშალათ. 23 და 24 თებერვალს საქართველოს იუნკერთა კორპუსმა და ნაციონალურმა გვარდიამ, მოხალისეთა ბრიგადებთან ერთად გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით უმძიმეს ბრძოლებში გადაამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს, ტყვედ იგდეს მტრის მთავარი საარტილერიო პოლკი და ხუთასზე მეტი ჯარისკაცი, ოფიცერი და პოლკის მთელი საარტილერიო შეიარაღება.

24 თებერვალს რუსული არმიების სამხედრო საბჭოზე მიღებულ იქნა მათთვის ძიმივადანწყვეტილება, რომ 25 თებერვალს, ღამის 2 საათზე დაეწყოს საქართველოში მოქმედი ყველა სამხედრო ნაწილების გეგმიური უკანდახევა. მტერი ბრძოლის ველიდან გარბოდა, ტოვებდა სამხედრო ტექნიკას და არტილერიას. სამხედრო ლოგისა და სტრატეგიის წესების მიხედვით, ქართულ შენაერთებს უნდა გაემარჯვებინათ და გაეძლიერებინათ ბრძოლით დაბრუნებული ტერიტორიები, თავდაცვის ტაქტიკიდან ფართომასშტაბიან შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ და ფრონტის საზღვრები აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე გადაეტანათ, საიდანაც განხორციელდა რუსების თავდაპირველი შემოჭრა საქართველოს ტერი-

ტორიაზე. ტაბახმელას ფრონტზე ქართველების შეტევა გრძელდებოდა და მხოლოდ ღამის დადგომისას შეწყდა. საქართველო გამარჯვებას ზეიმობდა... მაგრამ მოხდა გამოუსწორებელი რამ...

24 თებერვალს, საღამოს 11 საათზე გენერალური შტაბიდან სასწრაფო ინფორმაციით გენერალ მაზნიაშვილთან მივიდა საქართველოს პარლამენტის წევრი, მისი უფროსი მეგობარი, რევაზ გაბაშვილი, ორი ქვეშევრდომი პოლკოვნიკის თანხლებით. მათ გენერალს გადასცეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ხელმოწერილი ბრძანება ფრონტის მოხსნის, თბილისის დაცვების, მცხეთაში გადასვლისა და იქ გამაგრების შესახებ.

– საჭიროა შეტევა და არა უკანდახევა!!! – უყვიროდა მაზნიაშვილი ტელეგრაფისტს, რომელიც

თანდათან უფრო კანონმორჩილი ხდებოდა. როგორც უმრავლესი საკადრო ოფიცერი, ისიც თვლიდა, და არც თუ დაუსაბუთებლად, რომ ჯანყის დრო უკანმოზღვრებლივ გასულიყო, რომ ეს ახალგაზრდული თავქარიანობის გამოვლინება იყო უფრო. მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, არაერთხელ დარწმუნებულა მთავრობის ზედა ემელოებში მიღებულ გადაწყვეტილებათა აბსურდულობაში, და საოცრად მტკივნეულად აღიქვამდა, როდესაც მისი თანამებძოლი, უშიშარი გენერლები, რომლებსაც რუსეთის იმპერიის სახელით არაერთი დიდი ბრძოლა ჰქონდათ მოგებული და სახლში დაბრუნებულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, სამშობლოს საკეთილდღეოდ ემსახურათ, მოულოდნელად უკან იხევდნენ. რუსული პროპაგანდით გაბრუნებულნი – როდესაც საქმე რუსეთის სანინაღმდეგო ქმედებებს ეხებოდა.

– ასეთია ყველა ყოფილი კოლონიის ბედი, ფიქრობდა გიორგი, რომლებმაც თავისუფლება მოიპოვეს თავიანთი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში... და ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, შენი სამშობლო აფრიკის ახლადგამოჩენილი ქვეყანაა, გერმანიის სილეზია, ფრანგული ბურგუნდია...

როდესაც ქვეყანა თავიდან აღიდგენს სახელმწიფოებრიობას, ეს ისევე რთული და მტკივნეულია, როგორც თავისუფლების მოპოვება

ტარდებოდა. ნადირობაში გამოცდა წესად იყო მიღებული საქართველოში ყმანვილი კაცის აღზრდისა და მამაკაცური შეუპოვრობის ჩამოყალიბებისთვის. ასწავლიდნენ სროლას ადგილიდან, ფეხზე მდგომს, დაწოლილ მდგომარეობაში, მუხლზე ჩაჩოქილს, ცხენზე მოჯირითეს, ურიკაზე მჯდომს, სირბილით დადევნებისას... ამასთანავე, მომავალ მამაკაცს ასწავლიდნენ ნესრიგს, დისციპლინას, ნებისმიერი იარაღის ფლობას. ახალგაზრდა იუნკერმა იცოდა არა მარტო სწავიპერული სროლა, არამედ შეეძლო ჩასაფრება, მსხვერპლის ლოდინი და საუკეთესო მომენტის შერჩევა ზუსტი შეტევისათვის, შეეძლო ნადირისგან თავდაცვა და სხვების დაცვა. სანადიროდ წამსვლელებს, ტრადიციულად მთელი ოჯახი აცილებდა. კაცად დადგომა რთული პროცესი იყო... თერთმეტი წლის ასაკიდან გიორგი, ისევე, როგორც ყველა მისი თანატოლი, მონაწილეობდა „ნადირობაში“, მართალია, ჯერ მხოლოდ მარეკად.

გამოცდილ გლეხებთან ერთად უნდა აღმოეჩინა მგლების ნაკვალევი, მათი ბუნაგი, ნაკვალევის მთელ სიგრძეზე თოკები უნდა გაეჭიმა და ამ თოკებზე ნითული ზაფხუბი დაემარებინა... მერე კი, რაც ყველაზე მთავარი იყო, მგლები ბუნაგიდან გამოეყარა და „ნითელ დერეფანში“ გაერეკა, რომლის ბოლოშიაც ჩასაფრებული მონადირეები ელოდნენ მგლებს...

გიორგი ცნობისმოყვარე ბიჭი იყო, „კარგი მარეკი“, – ასე ახასიათებდნენ მას სიტყვაძუნწი გლეხები, გენეტიკური მარეკები, თავისი საქმის დიდოსტატები. ბიჭმა, თითქოსდა სხვათა შორის, ჰკითხა მათ, ეს ჭკვიანი, ღონიერი, თავისუფლებებისმოყვარე მგლები რატომ ხდებიან ასეთი უსუსურები ამ ნითელი ალმების წინაშე, რატომ ვერ ბედავენ ამ ნითელი ნაჭრის ნაგლეჯებზე გადახტომას?...

რატომ გარბიან ამ დროშების გასწვრივ პირდაპირ სიკვდილისკენ, სადაც ჩასაფრებული მონადირეები მათ უმოწყალოდ ხოცავენ?...

ასე მარეკებმა, რომლებმაც ყველაფერი იცოდნენ, იცოდნენ, სად რომელი ბუნაგი და სორო მდებარეობდა, რომელ მხარეს გაიქცეოდა იქიდან გამოვარდნილი მელა თუ მგელი, ძალზე უბრალო პასუხი გასცეს, უთხრეს, რომ ასეთია ცხოვრება. მგლებზე ასეთი უსამართლო ნადირობა მოსვენებას უკარგავდა ბიჭს...

– ეს ნადირობა კი არა, მკვლელობაა!.. – უთხრა ერთხელ ბიძას. მგლისთვის ხომ ადვილზე ადვილია ამ ნითელ დროშებზე გადახტომა და თავისუფლებისკენ გაქცევა? რატომ მიუყვება ბოლომდე ამ ნითელ დერეფანს?

მართალი ხარ. – ბიძამ უხეში ქოჩორი აუჩქა და ისწულს სწორედ, რომ მართალი ხარ... ჩანს, გაზრდილობა, მე კი ვერ შევინიშნე... ისე კი, რომ იცოდე, მგელი ქართველი მეომრის წინარეპრისტიანული სახეა. ვახტანგ გორგასალამდე დიდი ხნით ადრეც, როცა ქვეყნის გადასარჩენად აღარაფერი რჩებოდა, ქართველები მგელი იღვიძებდა და იმარჯვებდა

– რადგან, ნითელ დროშებსა და აკრძალვებზე ჩამოვარდა სიტყვა, აი, რას გეტყვი: წარმოიდგინე, რომ არა მარტო მგლები, ადამიანებიც, უმეტეს შემთხვევაში, შიშობენ და ფრთხილობენ ვინმეს მიერ, ან თავისივე დანესებული აკრძალვის ნესებზე გადახტომას... ვერ პოულობენ საკუთარ თავში ძალას, რომ წინ აღუდგნენ, დაანგრეონ რალაც, თუნდაც ძალიან ცუდი, მაგრამ ჩვეული რამ და ამის გამო იღუპებიან...



გენერალურ შტაბს გადასცემდა კოვტორი-ტაბახმელას ფრონტის მეთაურის აღშფოთებას, მაგრამ ყურმილის მეორე მხარეს მას უკვე აღარავინ უსმენდა...

გენერალი შინაგანად მზად იყო ბრძოლისათვის, მთელი არსებით გრძნობდა, რომ საბოლოო გამარჯვება აქვე იყო, ხელის განვდენაზე და ძალაც ჰქონდა მის მისაღწევად. საჭირო იყო მხოლოდ სამხედრო მმართველობის ხელში აღება, ხელისუფლების ჩამორთმევა მათთვის, ვისაც ეს უმეცარი ბედისგან, როგორც დაუმსახურებელი საჩუქარი, შემთხვევით ერგოთ. ისინი არანაირად არ იმსახურებდნენ ამ თანამდებობას...

ბავშვობაში, სიყმანვილეში, მომავალი გენერალი ხშირად ფიქრობდა გიორგი სააკაძისა და მისი მსგავსი გმირების ბედზე. მაშინ, მათ რომ ხელში აეღოთ ძალაუფლება, დღეს ქვეყანა სულ სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ, მიუხედავად უსაზღვრო სიამაყისა და ქვეყნის სიყვარულისა, ეს ვერ გააკეთეს... „მე რომ ვყოფილიყავი მათ ადგილას...“ – ხშირად ფიქრობდა ამაზე ყმანვილობაში, მერე იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის კურსანტი, შემდეგ კი იმპერიული არმიის ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა მოქმედ, მებრძოლ გენერლად, გიორგის ოთხი ჯვრით მკერდდამშვენებული... მაგრამ, დრო გადიოდა და ის

შენი სამშობლოს დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლაში, მით უმეტეს, თუ მისი ბატონობის ქვეშ იცხოვრა შენი წინაპრების რამდენიმე თაობამ... ისინიც და შენც მიჩვეულნი და შეგუებულნი ხართ მის ბატონობას და მმართველობას...

მან იცოდა: ან ახლავე იღებს ხელში ძალაუფლებას, რისთვისაც საჭიროა საკუთარი მეგობრების, თანამებრძოლებისა და ზოგიერთი ნათესავის დაპატიმრება, მოქმედი ხელისუფლების დათხოვნა და მერე გადაწყვეტილებების უფრო და უფრო გამკაცრება და ყველა შემდგომ მოვლენებზე პასუხისმგებლობის პირადება...

ან უსიტყვოდ უნდა დემორჩილოს, როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდებოდა, როდესაც გენერალი არასწორ, სულელურ, და ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ინტერესების სანინაღმდეგო ბრძანებებს იღებდა და მათ არ აპროტესტებდა, არამედ ასრულებდა, რადგან ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი და თავადაც ხშირად იმეორებდა, რომ ბრძანებებს არ განიხილავენ, არამედ ასრულებენ!..

მას რატომღაც მესხიერებაში ამოუტივტივდა შემთხვევა, როდესაც თექვსმეტი წლის ასაკში, თბილისის იუნკერთა სასწავლებლის კურსანტი ბიძამ, დედის ძმამ, ბაგრატ ფალავანდიშვილმა, მგლებზე სანადიროდ წაიყვანა. ეს ნადირობა, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ

მაია კაკაშვილი

# განგებულება და პრეზენტი

## მაკა ჯოხაძის ახალი რომანი - „ისკარიოტის ეკლავი“

რელიგიურ თემებზე წერა იოლი საქმე არ არის. დიდი ოსტატობა სჭირდება შემოქმედს, იუდაზე დაწერილი რომანი თანამედროვე მკითხველისთვის საინტერესო რომ გახადოს. მწერლისთვის დიდ გამოცდად იქცევა ხოლმე ამა თუ იმ სახარებისეული პერსონაჟის საკუთარი თხზულების გმირად ქცევა.

მაკა ჯოხაძემ თხრობის საოცრად მომწონებელი მანერითა და თავისი პერსონაჟების მრავალხანაგოვანი ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ამ რთულ საქმეს ჩინებულად გაართვა თავი. ავტორი მდიდარი ლექსიკითა და თხრობის მოზაიკურობით ემოციის საოცარ ინტენსიურობას აღწევს, რაც მკითხველს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. მართალია, რომანი გარკვეული ინტერვალებით ინერგობდა, მაგრამ მკითხველი ამას ვერ გრძნობს, პირიქით, „ისკარიოტის ეკლავი“ ერთი ხელის მოსმით, „შტორმული ემოციით“ დაწერილი რომანია.

თითოეული ახალი თხზულების განხილვისას საჭიროა განისაზღვროს მისი ადგილი არა მარტო საკუთარი, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოს კაზანძაქის „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნებისა“ და ჟოზე სარამაგუს „იესოს სახარებისგან“ გამსხვავებით, მაკა ჯოხაძის რომანი ეკლავის გულსწომას ნამდვილად ვერ დამსახურებს, რადგან, მწერლის უკიდვანო ფანტაზიის მიუხედავად, რომანი დოგმატიკის ერთგულებით უფრო ფრანსუა მორიაკის „იესოს ცხოვრებას“ ენათესავება.

მაკა ჯოხაძის რომანი ასევე შეგვიძლია დაუპირისპიროთ თუნდაც ჯიბრან ხალილ ჯიბრანის რომანს „იესო — ძე კაცისა“ თუ უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილის) „ნოველებს ბიბლიურ ჰანგზე“, რომლებშიც მწერლები გვიამბობენ იესოზე, როგორც ძე კაცისაზე. მაკა ჯოხაძის რომანში „ისკარიოტის ეკლავი“ კი იესო მესია, ძე ღვთისა და არა მხოლოდ ძე კაცისა.

იუდას ცოდვა იმდენად შემზარავია, რომ თვით მახარებლებიც კი ერიდებიან ამ თემის ფართოდ გაშლას და ქუნდად გვიამბობენ მასზე. არადა ადამიანებს ყოველთვის ებადებოდათ კითხვები არა მხოლოდ იუდასთან, არამედ სახარების ნებისმიერ სხვა პირთან დაკავშირებით. ამიტომაც, „სიცარიელის“ შესვლის მიზნით ინერგობდა როგორც აპოკრიფული, ისე ლიტერატურული სახარებებიც.

მართალია, „ადამიანური ზნეობა, მათ შორის ქრისტიანული, მოღალატესა და გამცემს არ ახალისებს, არც აუცილებელი ბოროტებით ამართლებს“ (მიხეილ ანთაძე), მაგრამ იუდას ახლებური, პოზიტიური, ტრაგიკულ პერსონაჟად დახატვის არაერთი მცდელობა მანაც გვხვდება მსოფლიო ლიტერატურაში.

ნიმუშად მოვიყვანოთ იუდას სახე ნიკოს კაზანძაქის, მიხეილ ქელიძისა და მარინა თექეთუანიძის შემოქმედებაში:

ბერძენი მწერლის რომანში „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ მღვდელი გრიგორისი შემდეგი სიტყვებით უადავლებს პანაოტაროსს იუდას როლის მორგებას სოფელში ტრადიციით გასათამაშებელ სააღდგომო მისტიკაში:

„სამყაროს სახსნელად ქრისტე ჯვარს უნდა ეცვას. ქრისტე რომ ჯვარს ეცვას, ვინ-რემ უნდა გასცეს იგი... მამ, ზედავ, ქვეყნიერების გადასარჩენად იუდა აუცილებელია, ნებისმიერ სხვა მოციქულზე უფრო საჭირო. ერთი რომელიმე მოციქული რომ გამოაკლდეს, არა უჭირს რა, მაგრამ იუდა თუ დააკლდა, არაფერი მოხდება... ქრისტეს შემდეგ ისა ყველაზე საჭირო...“

მიხეილ ქელიძის ლექსშიც „იუდას მონოლოგი“ ამავეს ვკითხულობთ:

„მოკვდება ღმერთი თუ ახლა ვინმემ არ ჩაიდინა ჩვენი ღალატი!  
უნდა ვითავო ეს უმძიმესი



საქმე – გავილო მსხვერპლი საჩინო, უნდა გავნირო კაცი – იესო, ქრისტე – ღმერთი რომ გადავარჩინო!“

მარინა თექეთუანიძე კი იუდას სახის ორივენიარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მისი ერთი ლექსის მიხედვით, ის მოღალატეა, რომელსაც სასჯელი არ ასცდება და ხეზე მარყუი ელოდება („დაგლოდებთ“), მეორე-გან კი განწირული ადამიანია, ურომლისოდაც აღდგომა არ იქნებოდა („იუდა“).

გმირი-ანტიგმირის დაპირისპირებაში მაკა ჯოხაძე ქართული ჰაგიოგრაფიის ტრადიციების გამგრძელებლად წარდგება მკითხველის წინაშე – იუდა მისთვის უარყოფითი გმირია.

მწერალი ეთამაშება მკითხველის ასოციაციურ აზროვნებასა და ემოციებს. ერთი მხრივ, იუდას ცხოვრება ჩასახამდეც კი დადგენილი ჩანს. მკითხველს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ აქ ანტიკურობის ბედისწერით განსაზღვრულ, თავიდან აურიდებელ განსაცდელზე არის საუბარი. მით უმეტეს, რომ მაკა ჯოხაძის რომანში იუდა ოიდიპოსით მშობლებისგან განწირულ, მწყემსების მიერ გადარჩენილ, მამის უნებლიე მკვლელად და დედასთან სარეცლის გამზიარებულ კაცად გვევლინება. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბედისწერას დამორჩილებული და მისი ძალის უპირობოდ მადლიარებული ოიდიპოსიც კი თებეს მეფის მკვლელობის გამოძიებას ბოლომდე სწორედ თავისუფალი ნებით მიიყვანს და სიმართლის დადგენის შემდეგ მონანიე თვალებსაც დაითხრის.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მწერალი ცდილობს, იუდას საქციელი არა მხოლოდ სახარებისეული თხრობის გავლენით, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი თავისუფალი ნებით დაგვეგმობინოს.

მაკა ჯოხაძის რომანის მთავარი გმირი ბავშვობიდანვე ცდუნებებს აყოლილი ადამიანია, რომელმაც უკეთურების გზა თავისუფალი ნებით აირჩია. სახარებასა და „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილმა მკითხველმა კარგად უნყის, რომ „არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა“, თუმცა ეს ავთანდილურ არჩევანსა და დასახული მიზნისკენ სწრაფვას სულაც არ გამოირიცხავს, პირიქით, სწორედ დამოუკიდებლად მიღებული არჩევანი განსაზღვრავს პიროვნებას.

იესო ქრისტე, ჯვარზე გაკრულიც კი, იუდას მონანიებას ამაოდ ელის. სიკვდილის წინ იესოს წყალი კი არა, იუდას მონანიება სწყურია.

იუდას ყოველთვის ჰქონდა არჩევანის საშუალება, მრავალ განსაცდელთან ერთად ღმერთმა მას უამრავი კეთილშობილი ადამიანიც გამოუგზავნა: ჩვილისადმი სიბრალულით სავსე მოხუცი გადია რახილი, მისი გადამრჩენელი მწყემსები და გამზრდელი ბებია-ქალი ბეგონი, 4 წლიდან კი მოსიყვარულე მშობლები – აბიგაილი და სიმონ-როველი. იუდას მათი გულისხმიერების მაგალითით შეეძლო კარგ, მოსიყვარულე ადამიანად ჩამოყალიბებულიყო. თუმცა მან არ იცოდა, რა იყო სიყვარული. დედამისმა აბიგაილმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო იუდასთვის ძმა შეეყვარებინა. იუდას არ მოუწია ახალშობილისთვის თავად შეერჩია სახელი: რომ დაიბადება, უნდა გაიზარდოს კიდეცო? იუდა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სასტიკი ბუნებით...

ცამეტი-თოთხმეტი წლისას უკვე ვეღარავინ ვეღარაფერს უბედავდა. თავდასხმა მისი სტიქია

აღმოჩნდა. ერთხელ ძმის, ანანიას, გასამწარებლად, მისი საყვარელი ძალი ქვებით სავსე ტომარაში ჩასვა, გენესარეთის ტბაში გადაუხაზა და თან დადარდიანებულ ბიჭს დასცინოდა.

იუდა უმცროს ძმას ჩაგრაედა, რომ თამამი და თავისუფალი არ გაზრდილიყო. უფროსი ძმით აღფრთოვანებული ანანია კი ვერაფერს ხედებოდა. ერთხელაც იუდამ ზეინები რომ წააქცია, რითაც 11-12 წლის ხელმარჯვე ანანია თავს იწონებდა, მოთმინებადაკარგული უმცროსი ძმა ეცა უფროსს და გამწარებულმა მუშტები დაუშინა. იუდამ ძმის ნაბორძიკებით ისარგებლა და წაქცეულ ბიჭს ქვა მთელი ძალით ჩასცხო საფეთქელში. დროის მოსაგებად კი, მოკლული ბავშვის სხეული რაც შეიძლება გვიან რომ აღმოეჩინათ, ცხედარს თივა გადაყარა. ჩქარობდა, გენესარეთის ტბა დროზე გადაეცურა და თავი კუნძულისთვის შეეფარებინა.

იუდას მზაკერული გონება ჩიხიდან გამოსავალს ყოველთვის პოულობდა. მან ბევრი მოატყუა, გაანბილა, თავბრუ დაახვია, ბევრის ბედი უღმობლად შეაგდო სასწორზე და მათი დამარცხება იზეიმა. ზუსტად ირჩევდა მსხვერპლს, იცოდა, ვინ რაზე იყო ნამსვლელი, ვის რა ძალა და მოთმინება ჰყოფნიდა.

ჭკვიანი, გამჭრიახი და მიზანდასახული იუდა ჯოუტად მიიწევდა წინ. იერუსალიმში მოხვედრილიც წარწინებულთა სასახლებს, მათ ჩაცმულობას, ქცევებს, სიტყვა-პასუხს აკვირდებოდა და მეფის სასახლეს უმიზნებდა.

იუდად მუყაითი შრომისა და წვრთმის საქმისადმიც კი პედანტური დამოკიდებულის გამო, სულ მალე ჰეროდე ანტიპას ნდობა დაიმსახურა. იგი ჯერ სასახლის საქმეთა მმართველი და მომმარაგებელი გახდა, მერე კი როგორც სამინაო, ისე საგარეო ვაჭრობა და ურთიერთობები ჩააბარეს.

იუდა უმადურობითაც გამოირჩეოდა. ელინმა გულით მიიღო შემოკედლებული უცხო, გადახვეწილი შვილის სამოსი ჩააცვა, კეთილგანწყობით ექცეოდა, მისი გარჯით გამოწვეულ კმაყოფილებას არ მალავდა და თითქმის ოჯახის წევრად თვლიდა. მან კი სამაგიერო ასე გადაუხადა: მისი რძალი ხანა დააოხრულა, ვაჟი კი მოუკლა (იუდამ ბანი ჩამოაქცია და აბიბო ქვეშ მოიყოლა).

ვერცხლისმოყვარეობა იუდას ერთ-ერთი უმძიმესი ვნება იყო. ბავშვობაში მან მშობლების ძვირფას ორსართულიან სახლსა და ეზო-კარს დააღდა თვალი. ჰეროდეს სასახლეში დამკვიდრებაც გამდიდრების წყურვილმა მოანდობა. უცნობი მეზობლის სახლში თავებდურად შესვლაც არეობატივით გამდიდრების დაუოკებელმა სურვილმა აიძულა. მას მთელ ისრაელსა და იუდეაში უმდიდრეს კაცად გახდომა ეოცნებებოდა. იესომაც საშემოსავლო ყულაბა მას ჩააბარა. იუდა ნამითაც არ დაფიქრებულა, იქნებ უფალი იცნობდა მის ყველაზე დიდ ვნებას – ვერცხლისმოყვარეობას – და გამოცდას უწყობდა. იუდა თავს მსოფლიო ხაზინის მმართველად წარმოიდგენდა და იმედოვნებდა, რომ ნახარეველს დღედღეზე მეფედ აკურთხებდნენ.

იუდასთვის სინანულის გრძნობა უცხო იყო. თავი არც მაშინ დაუდანაშაულებია, როცა ძმა მოკლა და არც მაშინ, როცა სხვის სახლში შეჭრულმა ოჯახის უფროსი სიცოცხლეს გამოასალმა. ჰეროდე ანტიპას წინაშეც ცილი მიცვალებულს დასწამა, დედოფლის შურაცხყოფა ვერ ვაპატიეო.

მეფის გადაწყვეტილებით, მოკლული კაცის ცოლი იუდას უნდა შეერთო. ქმარმა ერთხელაც ცოლს კერტზე უკბინა, რამაც ქალს მიჩქმალული მწარე წარსული ნამოუტივტივად და მეუღლეს გული გადაუშალა. მოულოდნელობით გაოგნებულმა იუდამაც მას ცეცხლისფერი თავსაბურავი და გიჟის კაკლები უჩვენა. მალევე შემფოთებულმა აღმოაჩინა, რომ ამიერიდან იგი არა მხოლოდ ძმის, არამედ მამის მკვლელად და „დედასთან სისხლდარეულ ურჩხულად“ ქცეულიყო. ამის მიუხედავად, სინანულის გრძნობა და მონანიების სურვილი მანაც არ გასჩენია.

მაკა ჯოხაძისეული იუდას ცხოვრების ისტორია ბევრი მოულოდნელობით განაცვიფრებს მკითხველს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია რომანის ფინალი. უფლის მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმული ავაზაკები გაბრიელი და ადუი (მეტსახელია დუმასი) არიან. გაბრიელი შვილია სოფელ ექსანიონში მცხოვრები კეთილი ცოლ-ქმრისა, რომლებმაც ჰეროდეს შიშით სამშობლოდან აყრილ მართალ იოსებს, მარიამსა და ყრმას გულით

უმასპინძლეს. გაბრიელს ღვთისმშობელმა ძუძუ მოაწოვა, ყრმა იესომ კი ლოყებზე პატარა თითები მოუთათუნა.

მართალია, ამ გაბრიელს 15 წლის ასაკში ავაზაკებმა მამა მოუკლეს, უბედურებისგან ლოგინად ჩავარდილი დედაც გარდაეცვალა და მამაზე შურის საძიებლად ყაჩაღად გაგარდნილს საყვარელი გოგონას მიტოვებაც მოუხდა, მაგრამ ყაჩაღთა მეთაურის – დუმასის მიერ მკურნალი განდევნილის, „უვერცხო“ ელისეს, სასტიკმა მკვლელობამ უზომოდ იმოქმედა მასზე. განდევნილმა სიკვდილის წინ გაბრიელს მონანიებისკენ მოუწოდა, რამაც ქაბუკი ჭეშმარიტების გზაზე დააბრუნა. მისი და დუმასის შეპყრობისა და ჯვარზე გაკერის შემდეგ გაბრიელმა უფალი აღიარა და იესოსთან ერთად ცათა სასუფეველიც დაიმკვიდრა.

იესოს მარცხნივ ჯვარცმული ყაჩაღი დუმასი („ბოროტს“ ნიშნავს) კი არც მეტი, არც ნაკლები, ელინის რძალ ხანასთან შექმნილი იუდას უკანონო შვილი აღმოჩნდა, რომელსაც დედა ადუის ეძახდა. ადუი კი იუდას პალინდრომული სახელია. ერთხელ იუდამ კინდამ თავისი შვილიც იმსხვერპლა, როცა ყაჩაღმა დუმასმა იუდას გაძარცვა დაუპირა. ყაჩაღი გადარჩა და ახლა იესოს მარცხნივ იყო ჯვარცმული, უნანიებელი. მაკა ჯოხაძე არ ცდილობს იუდას გამართლებას – მამის ცოდვას ვერც შვილი ინანიებს.

რომანში „ისკარიოტის ეკლავი“ ყველა და ყველაფერი მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს და ბოლომდე ვერ თქმულსა და ნაგულისხმევს ავტორი მკითხველს მეტაფორებით უცხადებს.

რომანის ე. წ. „აყვავებული ტყუილი“ აბიგაილისა და სიმონ-როველის განწირული ჩვილის კენოტაფიაა, რომელზეც სურნელების არომატი ხიბლავს საკუთარ ოჯახში უცხო ბავშვად მობრუნებულ 4 წლის იუდას. წლების მერეც ეს სურნელი მიიზიდავს უცხო ეზოში, რომელსაც ოჯახის უფროსის და, როგორც მოგვიანებით აღმოაჩენს, მამამისის მკვლელობის ადგილად იქცევა.

მეორე მეტაფორა გენესარეთის ტბაა, რომელსაც იუდა ორჯერ გადაეცურავს, ერთხელ როგორც კალათაში ჩაწვენილი მოძულეული ჩვილი, მეორედ, როგორც ძმის მკვლელი. ანანიას გასამწარებლად დახრჩობილი ძალის საფლავიცაა ეს ტბა, რომელსაც ავი ფიქრებით ატანილი აბიგაილი ხშირად მიაკითხავდა ხოლმე.

კიდევ ერთი მეტაფორა მიზარვით, ქვის თავში ჩარტყმით დახოცილი ადამიანები არიან: სიზმარში სიმონ-როველის მიერ მოკლული შვილი, იუდას მიერ ცხადში დახოცილი ძმა და მამა, ისკარიოტელის შემთხვევით გადარჩენილი, მაგრამ სასიკვდილოდ გამეტებული, უცნობი შვილი.

უარყოფილი შვილია იუდა, რომელსაც თავის მხრივ საკუთარი უარყოფილი შვილი – ადუი – ჰყავდა.

ნანარმოების კითხვისას რამდენიმე მომენტი მიიქცევს მკითხველის ყურადღებას. მწერალი არ გვიხსნის, როგორ მოხდა, რომ 18 წლის ასაკში მინიდან წასულმა იუდამ ვერ იცნო დედა, რომელთანაც მამის მკვლელობის შემდეგ თვეების განმავლობაში იცხოვრა. შვილის ამოცნობა ვერც დედამ შეძლო. მაკა ჯოხაძე არ თვლის საჭიროდ მკითხველს აუხსნას მიზეზი, თუ რამ გამოცვალა ეს ადამიანები გარეგნულად ასე ძალიან: განვილილმა წლებმა (მითითებული არ არის ძმის მკვლელობიდან რამდენი წლის შემდეგ კლავს იუდა მამას) თუ უმცროსი შვილის, ანანიას, საზარელმა მკვლელობამ და იუდას გაუჩინარებამ?

რომანში ასევე ვიგებთ, რომ იუდას ვაჟი ადუი ყაჩაღია. გაურკვეველია, რა ვითარებაში გაეარდა იგი ყაჩაღად, ის ხომ ელინის შვილიშვილია და პაპამისის დიდძალი თუნბის მემკვიდრე. საინტერესო იქნებოდა, იუდაც მოკლედ, ერთი-ორი წინადადებით, ნათელი მოჰყენოდა იმ მიზეზებს, რომლებმაც ხანას ვაჟს ასე აურია ცხოვრების გზა-კვალი.

მაკა ჯოხაძის რწმენით, საერთო ცოდვა-მადლის ტრიალში, ჩვენი ცხოვრება რომ ჰქვია, ღვთიურ განგებულებასთან ერთად პირადი არჩევანი გადაგვიწყვეტს, საბოლოოდ მაცხოვრის მარჯვნივ დავიკავებთ ადგილს თუ მარცხნივ. ადამიანს ყოველთვის ეძლევა საშუალება სავლედან პავლედ გარდასახვისა, უფალი კი უსაზღვრო მოთმინებით ელის ჩვენგან ცოდვების აღიარებასა და მონანიებას.

განსხვავებული

1981 წლიდან „ლიტერატურული საქართველო“ ჩვეულებრივ პატარა, ავტორმატი გამოდის 16 გვერდის მოცულობით, თუმცა ერთხელ მისი ერთი განსაკუთრებული და საგანგებო ნომერი ისევე დიდ ფორმატზე დაიბეჭდა და დიდ მოვლენასაც მიეძღვნა.

ეს გახლდათ 1989 წლის 26 მაისის ნომერი. მრავალი წლის შემდეგ საქართველოში იმ დღეს ღიად პირველად აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ეს ნომერი არა მარტო ფორმატით, მოცულობითაც მეტია ჩვეულებრივზე – დიდი ფორმატის ექვს გვერდს შეიცავს, რაც ავტორმატის 48 გვერდს შეესაბამება.

გაზეთის პირველ გვერდზე საზეიმო დღისადმი მიძღვნილი შავ-ნითელი პლაკატის ქვემოთ დაბეჭდილია საქართველოს მწერალთა კავშირის სახელზე მოსული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ჩემო ძვირფასებო!

სისხლიანი 9 აპრილიდან მხოლოდ ოცი დღის შემდეგ გავიგეთ, რაც მოხდა საქართველოს უძველეს მინაზე.

სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ გამოვხატო აღშფოთება მინაგან საქმეთა სამინისტროს დივიზიის ჯარისკაცებისა და სამხედრო ნაწილების უღმობობის გამო. ღმერთმა დასწყევლოს ისინი, მათთან ერთად, ვინც გასცა ეს სასტიკი ბრძანება.

დღეს ქართველი ხალხის ტრაგედია მთელი ქვეყნის ტრაგედიაა. მილიონობით საბჭოთა ადამიანი განიცდის თქვენს გულისტკივილს და გლოვობს დიდი კულტურის შემქმნელ ხალხთან ერთად.

რით დაგეხმაროთ ასეთ მიძიმებულ დროში?

ყოველთვის ღირსეულად ატარეთ თქვენი დიდი წინაპრების სახელი, რომელთაც მსოფლიო დონეზე აღამალღეს ქართველი ხალხი და მისი კულტურა“.

იმ პერიოდში ვერ კიდევ ღია და სისხლმდინარე იყო 9 აპრილის ჭრილობა და ეს წერილი მას მალამოსავით ედებოდა. 9 აპრილის შესახებ მერე და მერე არაერთი წიგნი გამოიცა, მაგრამ ეს წერილი, ჩემი ცოდნით, აღარავის გახსენებია.

„თანაგრძობით და თქვენი ხალხისადმი ღრმა პატივისცემით“ – ამ სიტყვებით მთავრდება ეს თბილი წერილი, რომელიც ცივი კალინინგრადიდან არის გამოგზავნილი 1989 წლის 29 აპრილს და რომელსაც ხელს აწერს დიდი სამამულო ომის მონაწილე, გამამდგარი პოლკოვნიკი, სკკპ წევრი ნ. ბელანოვი, ეროვნებით ბაშკირი.

წერილს აქვს პოსტსკრიპტუმიც: „აუცილებელია ბოიკოტი გამოვუცხადოთ გაზეთებს „სოვეტსკაია როსია“ და „ლიტერატურნაია გაზეთას“ ამიერკავკასიაში მომხდარი მოვლენებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო“.

გაზეთის ეს სადღესასწაულო ნომერი გაფორმებული მურმან ჩაჩუას, ბადრი ვადაჭკორიასა და თამაზ ხიზანიშვილის ფოტოებით. მათ ფოტოებთან ერთად გაზეთის მე-5 გვერდზე დაბეჭდილია ხანძისის ხედი, რომლის ავტორი, ჩემი აზრით, ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ვახტანგ ჯობაძე უნდა იყოს, თუმცა ფოტოს ავტორად დავით ჯობაძე აწერია. ვფიქრობ, ეს შეცდომაა და ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ მაშინ ვახტანგ ჯობაძის სახელი ვერ კიდევ არ იყო ჯეროვნად ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. არადა, იგი წლების განმავლობაში იკვლევდა ტაო-კლარჯეთის ქართულ ძეგლებს და ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ პირველი ქართველი მკვლევარია, რომელსაც ამის საშუალება მიეცა. თუ ვცდები, დე მართლა არსებობს დავით ჯობაძე, რომელსაც ეკუთვნის „ლიტერატურულ საქართველოს“ 1989 წლის 26 მაისის ნომერში გამოქ-

ვეყნებული ხანძისის ფოტო, ბოდიშს ვუხდით მასაც, გაზეთის მაშინდელ რედაქციასაც და მკითხველსაც.

გაზეთის ამ განსაკუთრებული ნომერზე საუბრისას გამახსენდა ჩემი ბიბლიოზეუმის ერთი იშვიათობა – „ლიტერატურული საქართველოს“ კიდევ ერთი განსაკუთრებული ნო-



საუკუნეა, რაც ეს მუზეუმი ჩემს საპორტუგალიო ნუსხაში შევიტანე. ყოველ შემთხვევაში 70-იანი წლების ერთ რვეულში ჩამინერია – „ლისაბონში უნდა ვნახო კარეტების მუზეუმი. იხ. გრიგოლ აბაშიძის ლექსი“. მაშინ არ ვიცოდი როდის წავიდოდი ან საერთოდ წავიდოდი თუ არა პორტუგალი-

და იმ დღიდან საბარალო ღვრიდა ცრემლს მის სურათთან, ველად გაჭრის სანაცვლოდ, ზღვა-ზღვა შორს მისცურავდა. ოკეანის უდაბნოს ხომალდების ქარავნით თავს მისცემდა ჯვარით და ცრემლით დაუფარავით. რომ იქ დარჩენილიყო, ზღვის სიღრმეში დაფლული, ან სიმდიდრე ეშოვნა საარაკო, ზღაპრული, რომ შინ მოსულს ჰქონოდა როგორც რაინდს ემართა – საოცნებო კარეტის ახლოს დგომის ნებართვა, რომ დაედნო მის ეშს და ფარულ ღიმილს ჯადოსნურს, ხელით შეშველებოდა კარეტიდან ჩამოსულს, რომ ზოგჯერ ცა გახსნოდა, მის თვალთაც მწუხარეთა... და მოჰქროდა კარეტა, ოქროსფერი კარეტა.

იმის მიუხედავად, რომ ცოტა ხანი დავყავი ლისაბონში, საქმეც ბევრი მქონდა და იმ დღეს გადაუღებლად წვიმდა, კარეტების მუზეუმს გვერდი

# ლიბროკუბიკულარისტის უთანანერები

## ჰაატა ნასვლიშვილი

მერი, თუმცა ეს სიტყვა – ნომერი – მასთან მიმართებაში არაზუსტია, რადგან იმ გაზეთს ნომერი არ აწერია, უნომროა. მას მხოლოდ თარიღი აწერია: 1937 წლის 12 დეკემბერი.

ეს გახლავთ გაზეთი „ხელოვნება და კულტურა“ (ასე ერქვა მაშინ „ლიტერატურულ საქართველოს“ ერთჯერად სურათებიან დამატებას, რომელიც რუსთაველის 750 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა. გაზეთი დიდი ფორმატისაა, 4-გვერდიანი. რედაქტორია შალვა რადიანი, პასუხისმგებელი მდივანი – ნიკოლოზ ჩაჩავა, მხატვარი – ს(ევგენი) კეცხოველი.

საიუბილეო გაზეთის პირველ გვერდზე რუსთაველის პორტრეტთან ერთად დაბეჭდილია ერთი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“. დანარჩენ სამ გვერდზე დაბეჭდილია სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტები და პოემის ილუსტრაციები, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემის ყდების ფოტორეპროდუქციები.

გაზეთი ფერადია, დაბეჭდილია ცარცის ქალაღზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბაში. კლიშეები დამზადებულია სახელგამის ცინკოგრაფიაში. პირველი გვერდი დაუბეჭდავთ სახელგამის ლიტოგრაფიაში.

გაზეთის ფასი მაშინ 50 კაპიკი ყოფილა. ახლა კი... ერთ მეგობარ კოლექციონერს ვაჩვენე და რა შეიძლება ღირდეს-მეთქი, ვკითხე. ძალზე იშვიათი რამ არის, რასაც შენ იტყვი, ის ღირსო!

არაფერსაც არ ვიტყვი! ასეთი იშვიათობის არანაირი ფორმით გასხვისებას არ ვაპირებ! ჩემმა შვილიშვილებმა გაასხვისონ. თუ მოინდომებენ.

## ლისაბონის კარეტების მუზეუმისა

ნიგნის მალაზია „ლელოს“ შემდეგ პორტუგალიის ამბები უნდა გავაგრძელო:

სანახავთა თუ სანახაობათა იმ ნუსხაში, რომელიც წასვლამდე შევადგინე, ლისაბონის კარეტების მუზეუმშიც იყო. ალბათ, სულ ცოტა, ნახევარი

აში, მაგრამ ასეთ სამახსოვრო ჩანაწერებს ყველა ქვეყანაზე ვადგენდი. იმ დროს არავითარი საინტერნეტო მრჩევლები არ არსებობდა და ასეთი ჩანაწერები დიდად მეხმარებოდა უცხოეთში მოგზაურობებისას. ხოლო გრიგოლ აბაშიძის ლექსი იმ შუაშია, რომ სწორედ იმ წლებში, ალბათ „ლიტერატურულ საქართველოში“ მისი ერთი არცთუ ცნობილი ლექსი წამიკითხავს, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ფიქრები ლისაბონის კარეტების მუზეუმში“.

ეს ლექსი არ არის იმდენად პოპულარული რომ მკითხველს ზეპირად ახსოვდეს და თუმცა პატარა არ არის, ხოლო მისი ერთი ფრაგმენტის ციტირებისას ლექსი შეიძლება გაუგებარი დარჩეს, გადავწყვიტე ამ შთანაწერში მთლანად გადმოვიყვანე იგი გრიგოლ აბაშიძის 1980 წლის რჩეულიდან: ზღვათა მწყობრებს, ძალმოსილს, ძლიერ პორტუგალიას ეს რამდენი ჰქონია ეტლი – ოქროს გალია.

უზრუნევიან სატროფთა განდიდების სურვილით, ზოგი – ოქროგრებილი, ზოგი – ოქროცურვილი. მეფენი რომ ზარს სცემდნენ ყველას შინ და გარეთა, სატროფებს და დედოფლებს მიართმევდნენ კარეტას. აი, მოჰქროს კარეტა ოქროს ჩარდახიანი, დგას ღარიბი რაინდი ხალხში ტანახოვანი. ინვეს ფეხის წვერებზე, ღმერთი ეშმაკს დალახვრავს, ცდილობს მზეთუნახავი მეფის სატროფს დაწახვას. ყელს იღვრებს ჭაბუკი, მაგრამ მზერა ვერ სწვდება... ფარდის ოდნავ განევა, ოდნავ თვალის შესწრება... და იმ ერთ ნამს თითქოს მზეც შეირყა და დაბნელდა... იქით – გულის წუხილი, აქით – თვალის დაბნევა... გონს მოსული ოხრავდა და ნატრობდა: „ახ ნეტავ! ჩემს სამარედ გადიქცეს შენი ოქროს კარეტა!!!“

ვერ ავუარე. გარედან თითქოს ერთი ჩვეულებრივი შენობაა – ვერ შეატყობ, რომ შიგნით ფართობია და ამდენი კარეტა – ოქროგრებილი და ოქროცურვილი. შევედი თუ არა მუზეუმში ტელეფონში გრიგოლ აბაშიძის თბილისში წინასწარ ჩაწერილი ეს ლექსი გავხსენი.

არა მგონია, ლისაბონში ჩასვლამდე გრიგოლ აბაშიძეს ეს მუზეუმი აუცილებელ სანახავთა რიგში შეეგულებინა, უნინ იგი მასპინძლებმა – იქაურმა მწერლებმა ნაიყვანეს, როგორც ერთ-ერთი ისეთ მუზეუმში, რომლის მსგავსი ალბათ ცოტა იყო და არის მსოფლიოში. ხოლო პოეტის იმდროინდელმა ფიქრებმა, მისმა ლექსმა ძალიან გამიმძაფრა შთაბეჭდილება, როცა ამდენი ხნის შემდეგ მეც ვწვივებ ამ მუზეუმს. არ ჰყავს კარეტების მუზეუმს ბევრი დამთვალეობელო, არც საგანგებო გიდი არ ჰყავს და ხელს არაფერი მიშლიდა, რომ მუზეუმის თვალთვლებისას თან გრიგოლ აბაშიძის ლექსი მეკითხა. იმხელა დარბაზში მე ერთი ვიყავი უამრავ კარეტასთან და ქართველი პოეტის ლექსთან. ამ ყველაფერმა ჩემი იქ ყოფნა ერთგვარი სტერეოტიპებით გააღრმავა და გამადიდრა – უფრო რომანტიკული გახადა: თითქოს კარეტები გაცოცხლდნენ, გაცოცხლდნენ მისი მგზავრებიც და მეც ანაზღად სხვა საუკუნეში ამოვყავი თავი. მერე თითქოს წარმოსახვით ეკრანზე ბავშვობისდროინდელი ფერად „სამი მუშკეტერი“ გაცოცხლდა თავისი კარეტებითა და კარეტების სრბოლით. უფრო მერე გრიგოლ აბაშიძის ლექსის იმ ღარიბ რაინდს წარმოვიდგინე თავი, რომელიც კარეტაში მზეთუნახავი დანახავს ცდილობდა. რამდენჯერმე იმის წარმოდგენაც კი ვცადე, კონკრეტულად რომელი კარეტასთან უნდა მდებარეობდა ქართველი პოეტი, როცა ასეთი ლექსის იდეა დაებდა. ფოტოებიც ძირითადად, ჩემი აზრით, ამ ყველაზე შთამაგონებელ კარეტებს გადავუღე – მალაღს, მიუწვდომელს... ასეა თუ ისე, ლისაბონის კარეტების მუზეუმი ქართული ლიტერატურის ერთგვარი პერსონაჟი გახდა – არა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც, ვთქვათ, იაპონიის მარშალი ოიამა ან გერმანიის ალფრედ კურელა, მაგრამ მინც.

კარგი იქნება თუ პორტუგალიაში წასვლის წინ ქართველი ტურისტები კარეტების მუზეუმსაც შეიგულეებენ სანახავად, მით უმეტეს, რომ დღევანდელი ტრიპედვიაზერები, გრიგოლ აბაშიძის ლექსისგან დამოუკიდებლად, ეს მუზეუმიც იმ ათ-პუნქტიან ნუსხაში შეაქვთ, რომელიც ლისაბონში თუნდაც ორ-სამი დღით ჩასულმა ტურისტმა უნდა ნახოს.

კარეტების მუზეუმიდან რომ გამოვედი, კვლავაც გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ მე ლექსში ნახსენებ „ცის გახსნად“ მეჩვენებოდა, რომ წლების წინ დაგეგმილ მოგზაურობათა ერთი პუნქტის შესრულება, ვინ იცის – მერამდენედ, კიდევ მოვახერხებ.

## ჰალდორ ლაქსნაისის სიტყვებისა

და გრიგოლ აბაშიძესთან დაკავშირებული კიდევ ერთი ლიბროკუბიკულარისტი:

1980 წლის 9-14 ნოემბერს ლოს-ანჯელესში ამერიკელ და საბჭოთა მწერალთა მე-4 შეხვედრა გაიმართა, რომლის თემა გახლდათ „საკაცობრიო სულიერი ფასეულობანი და ლიტერატურა“. ამის შესახებ ინფორმაცია დაბეჭდილია „ლიტერატურული საქართველოს“ 1981 წლის საახალწლო, 1 იანვრის ნომერში. გაზეთი ბეჭდავს აგრეთვე შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის გრიგოლ აბაშიძის ლოს-ანჯელესში წარმოქმულ სიტყვას, რომლის ტექსტში მე ერთი აბზაცი გამიხაზავს:

„მე, როგორც მცირერიცხოვანი ერის შვილს, დიხაბც სასახლოდ მიმაჩნია დღევანდელი ევროპის ყველაზე მცირერიცხოვანი ერის შვილის – ჰალდორ ლაქსნაისის განცხადება იმის შესახებ, რომ უდიდესი ბედნიერება იყო მწერალი ხალხისა, რომლის რიცხოვნობა რაოდენობა ორასი ათასსაც ვერ აღწევს.“

საქმე ის არის, რომ, გრიგოლ აბაშიძე ლოს-ანჯელესში 250-მილიონიანი საბჭოთა კავშირის წარგზავნილი იყო.

## უმატივეულო კორაქტურისა

30-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ორთოგრაფიულ და კორექტურულ შეცდომებს, იქნებოდა ეს წიგნში, გაზეთსა თუ ყურნალში. გამორიცხული იყო შეცდომა სტალინის სახელში ან მისი ახლო-მახლო სიტყვებში და თუ ასეთი რამ ვაგლახად მაინც მოხდებოდა, კორექტორს და ალბათ რედაქტორსაც ციმბირი უკან მორჩებოდათ. იქნებ არის კიდევ სადმე ამგვარი შეცდომები, მაგრამ ახლა, ძველი გაზეთების თვალთვლებისას მე ციმბირის ფონზე იქნებ შეუმჩნეველი შეცდომა შემხვდა, როცა გაზეთის რომელიღაც თანამშრომლის დაუდევრობის გამო წინადადება საპირისპირო აზრს იძენს.

„ლიტერატურული გაზეთის“ 1935 წლის 6 იანვრის ნომერში, ბოლო გვერდზე დაბეჭდილია პრესის მიმოხილვა, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

„ლიტვაზეთის“ რედაქციამ მიიღო აჭარისტანის კომკავშირული გაზეთის „ახალგაზრდა ლენინელის“ სამი უკანასკნელი ნომერი. მიუხედავად იმისა, რომ აჭარისტანულ ახსნაგებს აქვთ გაზეთის ტექნიკურად უკეთ გამოცემის შესაძლებლობა (პოლიგრაფიული ბაზა, ცინკოგრაფია და სხვ.), გაზეთი მაინც, განსაკუთრებით კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი გვერდები, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს...“

ორიდან ერთი: ან აჭარისტანელ ამხანაგებს არა აქვთ გაზეთის ტექნიკურად უკეთ გამოცემის შესაძლებლობა, ან კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი გვერდები კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.



ენიკო მუხომბაძე

ქართული საზოგადოება

ვმარცვლავ კრილოსანს ოცნებების... მტკივნა... ნურავინ დამიძახოს: დედა... ნურავინ დაუძახოს: შვილო!.. ქარდაკრული სევდისფერი არის ჩემი ყვერძიანები... ვყვირი... ვერავინ დამიძახებს დედას... ვერავინ დაუძახებს: შვილო!.. უფოთლო ტოტებს ვარხევ აქეთ-იქით, ვერ ხედავთ, თორემ ზამთრისა ვარ... განა ვინ დამიძახებს დედას... განა ვის დაუძებ: შვილო!.. მზერა დამეღალა, მოურჩენელ დარდებს ვილოკავ... ვგლოვობ: მე არ დამიძახებენ დედას... მე არ დაუძახებს: შვილო!.. და მაინც იმარცვლება მუდამ კრილოსანი ოცნებების... ვჯიუტობ: მეძახიან დედას... ვჯიუტობ, ვეძახი: შვილო!..

რადიკალური ნაციონალიზმი

სად ვიარე, სად არ ვკრიფე იანი, მაგ თვალების ფერი ჰქონდათ იებს...

რა გინდოდა, რას მერჩოდი, წყეულო, სიყვარულის ნექტარით რომ მძლიე? სიზმარ-სიზმარ მოვიარე კლდეები, თმა გაეშალე - ლამესავით გრძელი... შემოგბედე კრძალვითა და ვედრებით: თამარივით გყვარებოდი, ბეთქილ!.. არ მისმინე, ყური არცკი მათხოვე, თამარს მიეც საჩუქარი ჩემი, ჩემი ხმა - შენ რომ ქარებს გაგონებს, ეს მე ვტირი, ეს მე ვბლავი, ბეთქილ. სიკვდილივით ცივი გაგხდი, სასტიკიც, გავიმკაცრე ხასიათიც, სახეც... ერთგულელებას სიკვდილამდე დამპირდი, ლანდზე სწრაფად თურმე მიღალატე... ჯიხვს ნუ მისდევ, ჯიხვი მე ვარ, ბედკრულო, დავატარებ ნალალატე გრძნობას, ეს მე ვდგავარ ქარაფებზე, ეული, ეს მე გწყევლი, უკვე აღარ გლოცავ... სიზმარ-სიზმარ მოვიარე კლდეები, გავიშალე დალაღები გრძელი... აღარ გელი, აღარც მეიმედები, სიკვდილი დგას ამ კლდის ქიმზე, ბეთქილ! დაგიტირებ, როგორც სატრფოს შეჭფერის, მეც ჩავიცვამ კოჭებამდე ძაძებს, მესმის კენესა ამ ვეება კლდეების, ვხედავ, თმები გაუშლიათ ქალებს. ვდგავარ კლდეზე, თმაგაშლილი ნაწალი - ვგავარ შენი სიყვარულით შემლილს, მე ვარ შენი მშვენიერი ლელათი, მე ვარ შენი ბედისწერა, ბეთქილ!

ქალები

მოაგვირისტა ბუნებამ მარტი, როგორღა ვიყოთ ქალები ჩუმად... ვიზომებთ კაბებს - გაზაფხულის ფერებიანებს, გვაქვს მხოლოდ ჩვენთვის გასაგები სალიმილო ამბები - ქალებს, ვხმაურობთ ჩვენთვის გასაგები ხმაურითაც, საჩვენდაჩვენო სიხარული თვალებით დაგვაქვს. და გაზაფხულის აურზაურში ჩვენი სიჩუმე ვინ გაიგონა? ჰოდა, ვხმაურობთ, გაზაფხულს ვდღესასწაულობთ ქალები - თავად გაზაფხულები...

ჩვენც ვაგვირისტებთ ერთფეროვან დღეებს ცხოვრების - ჩვენივე ყოფით, გამოხედვით, გალიმებითაც. სიარულის მანერითაც კი... მოაგვირისტა ბუნებამ მარტი, ვერა ვარ ჩუმად, გაზაფხულმა მიშვილა ერთ დროს, გაზაფხულმა მომართო ფერებით, მო-მა-გვი-რის-ტა... და დავატარებთ ყოჩივარდებს მზერით ქალები - გაზაფხულის ტრუბადურები...

თვალთვალის

სხვა დარდიც არ მაქვს: ვივადე და დახუჭული მქონდეს დალილი თვალები. რამ დაგლალო, მკითხავთ? ხმაურმა... როცა ყვირიან, ხმაურობენ, დავობენ, მე თვალს ვხუჭავ. როცა არ მინდა გავიგონო, მე თვალს ვხუჭავ. როცა ძალიან მენატრები, კვლავ თვალს ვხუჭავ... თვალდახუჭულს არ მესმის ყვირილი, არ მესმის ხმაური და ყველაზე ნათლად თვალდახუჭული გხედავ... იანვრის ღამეს ყინვისფერი კბილები მოუჩანს, ჩემი თითები კი გააპრილებას ელოდებიან - ძნელია მოლოდინი, მაგრამ უფრო ძნელი ის მოლოდინია, როცა არ იცი, როდის შედგება შეხვედრა იქ... მე თვალს ვხუჭავ - მინდა, რომ შეგხვდე... ატმის ყვავილია ჩემი სიყვარული - თრთის სიოს ოდნავი შეხებისას, მშვიდია ჩემი სიყვარული და შემპარავად მათრობელა - ძველი ღვინოსავით, ყველა ფერი აქვს ჩემს სიყვარულს - ყველაფერიანია ისედაც და ყველაზე ნათელია, რადგან მე თვალდახუჭული ვარ. სხვა დარდიც არ მაქვს: დახუჭული თვალებით ვხედავ...



მარიამ ქაჯანაძე

სანამ ისევ განვიმდებ, დამესიზმრე...

სანამ ისევ განვიმდებ, დამესიზმრე... შარფი ვქსოვო იქნებ ჩვენთვის კვლავ! სანამ კიდევ შემოძლია, იისფერი გალას მერე ჩემ ნანერში ვსვა!

ვთვრები ახლა ისევ შენი ღიმილებით, ვთვრები, როგორც „საუკუნის ხმა“, მინდა ვწერო ლექსი თეთრად თეთრ ღამისთვის! დამესიზმრო იქნებ ხვალაც კვლავ!

გავათენებ, შენს ნაკვალევს, მოგონებას, მოფუძბნი ჩემში ბავშვურ ხმას! ღმერთს ვთხოვ, სანამ შემოძლია, ლექსი ვწერო, შენი სახე სერაფიმად ვწნა!

სანამ ისევ განვიმდებ, დამესიზმრე, ნიავს ვატან ჩემი თმების კვალს, გამოჰყევი, ან დაგისხნი წარსულისგან ბედკრულ ყოფას შევებრძოლოთ კვლავ!

მეშინია, უგრძნობი რომ ნაკვიყვანონ, იმ ქვეყნისა მეშინია კვლავ... ვერ გაუძლებ, მისასვლელი ბევრი არის, სანახავსაც ბევრს განახვებს რა?! ღმერთი, ღმერთი გამოგზავნის შენთან გზამკვლევს და ამ გზაზე ასჯერ ნახავ შმაგს!

მაგრამ, კაცო, იმ ქვეყანას სიყვარული გაგატარებს, გადაგარჩენს კვლავ! სანამ ისევ შემოძლია, ვწერო შენზე, დამესიზმრე, რომ გადავრჩეთ კვლავ!

ვთვრები ახლა უსიზმარო ღამეებით, ვთვრები, როგორც სუფრის თავში სხვა ... ეს თრობაა, ჩემო, შენთვის შენს თვალბეზე!.. თორემ ჭიქას ის სხვაც მარჯვედ კრავს... პირჯვარს იწერს, დასაწყისში მადლით იხსნის თავს! სანამ ისევ განვიმდებ, დამესიზმრე, რომ ჩემს ყელზე თითით ხატო ხსნა!

ღმინი ვაშლი

ღამის ხმები ფერით ფერში ამღერებენ უნახავი სიზმრის ბოლოს! თეთრი მთვარე თმასაც მინნის და ამ ნანწავთ თან აყოლებს გუშინდელი ღამის ბოლოს!..

მე გავავლე თვალი ვაშლებს, ჯამზე დაყრილს, ნითელ-ყვითელს. ზოგი გახლდათ დღევანდელი, ზოგიც კიდევ გუშინდელი!..

გუშინდელ ვაშლს შეპარვია ობი გულში, თუმც გარედან თვალს მოგჭრიდათ გამიზნული ბრწყინვალეებით ახლა უკვე აღარ ვკბუნდი ამგვარ ვაშლებს, მაგონებდნენ მე ისინი წასულ ღანდებს.

მაგონებდნენ მე ისინი მოღალატე კაცთა ჩონჩხებს და მაკრთობდა მათი ხილვა ჩემი ვაზის შიგნით, გულში.

ვაგროვებდი ნავის ყუთში, ვაგროვებდი ღამისთევით... თმის ბოლოებს კი მინწინდა თეთრი მთვარე, თეთრი მთვარე!

ღიმილები

თქვენ გიცხოვრიათ უცხო მხარეში? სადაც დედები, მხოლოდ დედები ოკეანისა თევზთა ფანტელში გარჩენენ, უანგბადს გინილადებენ, უმეგობრობას აღარ გაჩვენენ!.. თქვენ გიცხოვრიათ მლაშე წყლების ქვეშ - მარილისა და სისხლის მორევში? სადაც დედები, მხოლოდ დედები წყალს ატკბილებენ მარწყვის წვენებით!

თქვენ გიცხოვრიათ ომის ქარცეცხლში? სადაც დედები, მხოლოდ დედები იცვამენ აბჯრებს წინახაზისთვის თქვენ გიცხოვრიათ? თქვენ გიძინიათ? თქვენ გიტრიათ დედის მკლავებში? მხოლოდ დედები მხოლოდ დედები, წყალს ატკბილებენ მარწყვთა წვენებით!..

რადიკალური ნაციონალიზმი

აღარ მესიზმრები, ჩემო, აღარ დამიმშვენე ღამე მთვარეს ვატანეო თეთრად ღამის წერილები შენთან!.. აღარ მესიზმრები, ჩემო, აღარ დამიმშვენე ღამე... მიდის ღიანდაგზე თეთრად, მიდის დათოვლილი მთვარე. პირზე მაშრებიან ამბრნი, სულზე მახმებიან დარდნი!.. „გაჰყევი ამ ქუჩებს კალმით, გაჰყევი, გაჰყევი ღამით“. ამბობენ ჩემ გასწვრივ ქალნი, მე ისევ გამიწყრა ბავშვი, მას ისევ უნდისხარ ნავში! თოჯინას დაუნყდა თმები, მოვძებნოთ სამოსი ჩვენი! წასულმა ჩამაცვი ჭრელი, ბაგენი გამიღე მალვით... ქარში მაპოვინე კაცი, მაღალი, ღიმილით, მკრთალით. წასულმა ჩამაცვი ჭრელი, მე ისევ დაგეძებ ბნელში... მსურს გითხრა ამბავი, ლოცვით, მსურს ისევ გაყოცო მალვით! ჩვენ დავრჩით ღიანდაგს მარჯვნივ თითქოს კი ჩავაგდეთ თასში მონეტა ჩემი და ჩვენი... შენ ზეცას ამშვენებ კალთით, კალთა მოგპენტია დარდით, რალაცა გადარდებს, მაინც... ალბათ, შენც გინდება ჩემთან, ალბათ, შენც იცინი ზეცად!.. წასულმა მაპოვინე ქვეყნად ხელის დამჭერი და ფარი...

ბურამ ხარშილაძე

ქორა

– რანაირი ამინდია, არც წვიმს და ქვეც წვიმს... – ნუნუნებს ქორა, ცქმუტავს და ვერ ისვენებს.

ნახერხით და ქვიშით დაფარული საქონლის ბაზრობა ატალახებულა. კიდევ კარგდროს მოვედით, ცოტა მშრალი ადგილი მაინც შეგვხვდა. გათენებას აღარაფერი აკლია და ჯერ მაინც ბნელა. ვდგავართ მე და ორი ქორა ბაზრობის ბოლოს, ოდნავ შემალვებულზე. მოედანი უკვე სავესეა ხალხით და, მიუხედავად იმისა, რომ ბნელა, მაინც გაარჩევ, ამ ხალხში ვაჭარი რომელია. ადრეც ხშირად უთქვამს ქორას – სხვანაირი ხალხიაო. ჭირის დღესავით ეზარება ვაჭრები, ერთ დღეს უნდა განყვიტოს კაცმაო, ამბობს და თან ზურგს უკან ხელიდან ხელში ანაცვლებს ბანარს, დროდადრო ხარსაც გახედავს ხოლმე. ხარი მშვიდად იცოხნება, არც ჩემს ბებერ ძროხას ეტყობა რამეზე დარდობდეს. აშკარად არ იციან, რა ელით. სამაგიეროდ, ქორამ ხო იცის?! ჰოდა, სწორედ ამიტომ, ვერ ისვენებს, ცქმუტავს და აჭყაპუნებს ერთი ზომით დიდ რეზინის ჩექმებს ტალახში.

– ამას რო უყურებ, შენ ჩემზე კაათ ქე ხედავ და დეინახავ ამ სიბნელეშიც. ერთი წლის წინ ვიყიდე ეს ვალინკები – ფეხსაცმელზე მიმითითებს – არც იქნება კიდე ერთი წელი... ვიყიდე და ქე ხედავ, რავარც არი ახლა, აა, დოულია პირი – ქორა იმ ადგილს მაჩვენებს, სადაც ჩექმა გაეხა. სიტყვებს ვერ ვპოულობ მოხუცის სანუგეშოდ.

– ბიჭო, მოუნათე ერთი, დეინახოს. – პატარა ქორიკო ფარანს ჩვენკენ ატრიალებს. წამით ვამჩნევ, რა დღეში მაცქვს შარვალი იმის გამო, რომ ქორა ფეხებს ვერ აჩერებს. მოხუცი თავისას აგრძელებს. სადღა იშოვი ახლა ისეთ ფეხსაცმელს, ადრე რომ იყოო, ხომ გახსოვსო, რომ ვიყიდი, ათი წელი მყოფნიდაო.

მე, რა თქმა უნდა, არ მახსოვს. – ეგ რა არი, ბიჭო, – მაინც თავისას აგრძელებს, – გამძღვე ხო იყო და იყო, მარა თბილიც უფრო იყო, გეიგე?! გემეყინა ფეხები ამამი... ახლა ქე დეიხა და რავარც უნა ისე შედის და გამოდის წყალი, გემეყინება აპა რა იქნება, მარა, მანამდეც... მანამდეც მასე იყო ე ვერანა... ან კიდე წინდები ის სავალი ისეთი, ადრე რო იყო?!.. ჩემ ბიჭს რო ვუთხარი, წინდები მინა-მეთქი, რა ქნა არ იცი?! ნაჭრის რო არი, ეგენი გამოუგზავნია. ჰეჰ... რა სიკვდილად მინა მაგისთანა?! ჯერ ერთი, ვერ ვგუობ ფეხზე და მერე კიდე, აქ რო ზამთარი იცის, მისთანა ჩემ მტერს და მაგისთანა წინდა რას გოშველის აქანა?!

ქორა ცოტახანი ისევე შვილიშვილს უყურებს. – გამორთე ახლა ე ფარანი, დაჯდება... რავა ყველაფერი მე უნა გითხრა?!

პატარა ქორიკო ფარანს რთავს და განითვლებულ ხელებს ქურთუკის გრძელი სახელოების ქვეშ მალავს.

– ეგ რო ვუთხარი ჩემ ბიჭს, არ იცი რა მითხრა?! – თავიდან იწყებს მოხუცი.

– რა მითხრა და დაბერდი და ბჟოტიანობ რაღაცასო – უღვაშებში იცინის – გეყურება?! ჰეჰ, მე მითხრა ბიჭო, მე, დაბერდიო, გეიგე?!

ქორას სიცილი სახეზე ახმება, თავს დაბლა ხრის ისევე. დახეულ ფეხსაცმელს ჩაჰკირკიტებს, თან ბანარს ორივე ხელით მაგრად ებლაუჭება. მერე თავს ამოწევს.

– არა ბიძია, ახლა შენ რო მიყურებ, შეილება ქე იფიქრო, რო რაღაცა, მარა, მე, ბიძია, რო მიყურებ, ორმოხდაშვიდიანი ვარ, გეიგე... ესე იგი, აგერ, ახლა, მარტში, თუ ვავატანე ეს ზამთარი რავარმე, 75 წლის ვხდები და მასე რო შეხედო, 75 წლის ბებერია, აპა რა სიკვდილია, მარა, მე თუ მკითხავ, არც მასეა საქმე, რავარც ჩემი ბიჭი იძახის. ბარეურ ახალგაზრდას ახლაც ვაჯობებ, გინა საქმეში და გინა დაღვებაში, მარა ეიჩემა იმან, აღარ შეილება შენი მად

დარჩენაო და მიყვარ ამ ზამთარს ქალაქში ბატონს.

ქორა ცოტა ხანს ისევე ჩექმებს ჩაჰკირკიტებს და თავს აქნევს. შემდეგ ისევე ალაპარაკდება...

ამასობაში ვაჭარი გვიახლოვდება და ქორა დროებით ჩუმდება.

ვაჭარიც დუმს. ცხვირში იქექება. ხარს გვერდიდან უვლის, ბეჭებზე ჩქმეტს.

– მიუნათე, ბიჭო!

ქორიკოს თვალები ეხუჭება. ფანარს ანთებს. ხარის დიდრონი ჩრდილი ღობის იქით მინდორზე უსასრულოდ იწელება.

ვაჭარი საუბრის წამოწყებას არ ჩქარობს. ქორაც, რომელიც წელან ენით ზურგს იფხანდა, დამუნჯებულა, წელში გამართულა და ვაჭარს ელოდება. მე ჩამოვადგები ერთ-ორ სიტყვას, მარა ჩემი გამჭყნარი ძროხა ვის რაში აინტერესებს.

გამოცდილი კაცია ქორა, ვაჭრების მეტი რა უნახავს, ჰოდა, კარგად იცის,



მხატვარი იაგო ნიკოლაძე

რომ ყველა ვაჭარი ერთნაირია: ყველა ყოყმანობს, ყველა ნუნუნებს და მოთქვამს, ყველა იტყუება. არ ღირს მაგათი აყოლა. მით უმეტეს, მაგათთან ხვეწნა ხო საერთოდ წყლის ნაყვია. რომ მოუწიოს, ერთი დღე იდგება ასე, მაგრამ ცოცხალი თავით ვაჭართან საუბარს თავისი ნებით არ ნა-მოიწყებს, რადგან ასეთია წესი. ეს ყველამ იცის, მეც ვიცი, ვაჭარმაც იცის, თავად ქორამ ხო იცის და იცის, შეიძლება პატარა ქორიკომაც იცოდეს.

ამასობაში ვაჭარს ფიქრში შემოათენდა. გადაწყვეტილების მიღება კი მაინც ჭირს და რაც უფრო რთულდება ამ ხარის შეფასება, მით უფრო ღრმად იტენის ცხვირში თითს.

– რამდენს აფასებ, ნათლი? – ამოიხნავლა ბოლოს თავისუფალი წესტოდან.

– ორ-ნახევარი.

– ბოლო ფასი მითხარი?

– ბოლოც ეგ არი და პირველიც! – ბუზღუნებს ქორა.

– ამ ხარის გაყიდვა თუ არ გინდოდა, გეთქვა, შე კაი კაცო – ვაჭარი ნაწყენი დარჩა და უკან გაბრუნდა.

დაბრუნდება. კიდევ მოვა. იცის ეს ქორამ. მეც ვიცი. ყველამ იცის. პატარა ქორიკომაც იცოდეს იქნება. იმ ვაჭარმა ხო ჩვენზე კარგად იცის, მაგრამ მაინც ისე მიდის თითქოს აღარ მოვა.

– რანაირი ამის ნათლია ვარ, ბიჭო, ამის თათარი დედა კი ვაჭირე და კიდე მაგის ნათლის ცალკე, თუ ყავს საერთოდ – წამოიწყო ქორამ, როცა ვაჭარი თვალს მიეფარა.

პატარა ქორიკო უინტერესოდ ათვალიერებდა ბაზრობას.

– აბა, თუ მიხვდება, რო გამორთოს? გათენდა ბიჭო!

ქორიკო თვალბეჭებით ვერ გვიყურებს. ფარანს აქრობს.

– ამევიდა მზე და იქნება გათბეს პანია, თუ არა, გამძვრა სული. დეინვას უბედური კაცის გაჩენა. სუ სანვალელები და სამაიმუნარი რავა უნა გამიხდეს საქმე, ბიჭო?! სხვის ჭკუაზე თუ გევივლიდი, არ მიფიქრია არასდროს, მარა შემგონი დავბერდი მართლა და ვეღარც ვხვდები, გეიგე?!

– ანი ბიძია, კიდე უფრო იკლებს დღე ბარბალობამდე, მარა გონია ქე გითხარი უკვე... გამოვჩურჩუტდი სულ. მისთანა

ამიღია, ტვინი გემეყინა, ტვინი... ეჰ, ბიძია უმალ რო იყო, სალაა მისთანა... ამიღები, წვიმებიც იცოდა, რავა არ იცოდა... თოვა ხო იცოდა და იცოდა... ჭიშკარზე ზემოდან გადავიდოდით ხოლმე, შენც ქე შეილება გახსოვდეს, არ ხარ პატარა ბოვში... ხოდა რას ვამბობდი... წვიმაც იყო, თოვლიც იყო, ბიძია, შენ გგონია არ იყო?! – იყო, მარა ამისთანა ყივნა მაინც არ ქონია, გეიგე?! ამისთანა სიცივეები არ იყო უმალ და ახლა რაღას გეიგებ. გადასხვაფერდა ყველაფერი. ამიღებ რა ვთქვა, აგერ შვილი ვეღარ მიცნია.

ქორა ცოტახანით ხარს უბრუნდება. აბურძნელ ქოჩორს უსწორებს.

– კიდე თუ იცი, რა დამჩემდა ბიძია ამ ბოლო დროს... ქარიან ამიღში, სულ ცრემლები მამდის, გეიგე?! ამისთანა არაფერი მინახია, ერთს რავარც დამიბერავს სახეში, ვქვითინებ კაი ჭირისუფალივით. ქარიც არ იცოდა, ბიძია ადრე მაგისთანა, შეილება ქე

გეგეცინოს, რა ვიცი მე. აქამდე მაგისთანა არაფერი დამმართნია და რა გითხრა... შეილება კი არი მართალი ჩემი ბიჭი და დაგებდნი...

ამასობაში ჩვენი ნაცნობი ვაჭარი დაბრუნდა, ოღონდ ამჯერად ვილაც მასზე მსუქანიც მოჰყვა თან. ქორა ისევე წელში გასწორდა და გაირინდა...

ბებერი იდგავს თუ ცოტა, ახლადმოსული ქორას მოუბრუნდა

– ბიძაჩემო, რამდენს აფასებ.

– ორნახევარს!

არქეოლოგმა ნიშნის მოგებით გადახედა თავის თანამომძემს.

– ბიძაჩემო, კაი ხარია, შენც კაი კაცი ჩანხარ მარა, არ ღირს ახლა ეს ხარი ორნახევარი, შენც ხო იცი?!

– რატო არ ღირს, ბიძია?

– აი, არა ღირს რა...

– ღირს!

– არა!

– ღირს!

– არა!

ასე სამჯერ-ოთხჯერ მაინც გაცვალეს სიტყვები და ბოლოს ისევე ვაჭარმა მოკაკა თითი.

– ბოლო ფასი მითხარი, მყიდველი ვარ.

– შენ მითხარი, რამდენს გადაიხდი.

– არა, შენ მითხარი..

– არა, შენ!

– ორს მოგცემ, ბიძაჩემო.

– დაუჯერე, ბიძაჩემო, კაი ფასია. – საუბარში ჩაერთო პირველი ვაჭარიც, მაგრამ ქორამ ქვა ააგდო და თავი შეუშვია, ან ორნახევარი ან არაფერიო და ვაჭრები ბუზღუნით გაბრუნდნენ უკან.

– გეყურება, ბიჭო, – ისევე მე მომიბრუნდა ქორა, – დაბერდიო, ასე მითხრა, დაბერდიო, გეიგე?! ჰეჰ!.. ბარეურს მოვუგრისხავ კიდე კისერს, არ იცის მაგან, არ იცის... დაბერდიო... ხარი გაყიდეო, გეიგე, ხარი გაყიდეო. შვიდი წლიდან ხარებს ვუძღვივარ და მაგან, დაგამტვრევსო, გეიგე, დაგამტვრევსო... ჰეჰ!.. ნიქარაზე თქვა, ნიქარაზე, დაგამტვრევსო – ქორა ხარს მიუბრუნდა და რქაზე ემთხვია.

მტერი, მარა დეიჟინა იმან, ი ქალი შეუწდა ეტყობა, თუ არა, არ იყო ეგ მაგისთანა. ჰო, ქალის ბრალია, ქალის! აქამდე რავა ვერ ვიფიქრე?!

რადგან ქორას ხარის დაბერების ამბავი წამოსცდა, ჩვენს ირგვლივ კიდევ ერთხელ მოგროვდა ვაჭრების არმია.

– რამდენს აფასებ?

– ორნახევარს!

– ძვირია, ბებერია!

ქორას პასუხი აღარ აქვს, მაგრამ ფეხს მაინც არ იცვლის. გაბრაზებული ვაჭრები ისევე უკან იხევენ. ქორა ისევე აუღლებელი ციხესიმაგრესავით დგას ატალახებული მოედნის ბოლოს, ოდნავ შემალვებულზე.

– ბებერი, ბებერი, რას ამიჩემა ყველამ.

ბებერი თუ ვარ, რავა, აღარ ვარგვივარ თუ რაშია საქმე. ბარეურ ახალგაზრდას მოვუჯოკრავ კიდე, ხო გეიგე! – ცოტა ხანს გულმოსული ქორა თავჩაქინდრული ბურტყუნებს, თითქოს დახეულ ჩექმებს უწყრება. ამასობაში მსუქანი ვაჭარიც ბრუნდება, ქორას წინ დგება და საფულეს იღებს.

– მონიე ხელი.

ქორა მარჯვენა ხელს წინ წევს. მარცხენათი ბანარი უჭირავს და ზურგს უკან უშალავს ვაჭარს.

– ერთი, ორი, სამი, ოთხი – ვაჭარი ქორას ხელზე ასლარიანებს აწყობს

– ოცი – აქ ხმას იმალვებს – ოცდაერთი, ოცდაორი და ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი.

ქორა მარცხენა ხელით მაგრად უჭერს ბანარს და ცოტა ხანით ჩუმდება. მერე ხარს მე გადმომბარებს და თავად ორივე ხელით ფულს ითვლის. ცოტა ხანით მიჭირავს მისი ხელებით გამთბარო თოკი. ფულის დათვლას რომ მორჩება, ბანარს იბრუნებს.

– დაამატე ასიც და წეიყვანე.

– დავამატე უკვე ბიძაჩემო. მაგდენიც არ ღირს ეგ ხარი, მარა კაი კაცი ჩანხარ და მაგიტო გიმატებ ფულს.

– ორი და ორად არ ვყიდი მე ამ ხარს!

– ხმას უწევს ქორა.

– დამიჯერე ბიძაჩემო, მეტს არავინ მოგცემს ამ ხარში, მეტს კი არა, ამდენსაც არავინ მოგცემს.

– არ მომცემს და ნუ მომცემს, რავარც მევიყვანე აქამდე, ისე წევიყვან სახლში, დამიშლის ვინმე?!

– აგერ, ბიძაჩემო, ოც ლარს დაგიმატებ, სახლში რო მიხვალ პივა დალიე ჩემ სახელებზე, გეყვარება...

– ასი დაამატე-თქო, გითხარი!

– არ ღირს, ბიძაჩემო მაგდენი და რა გიყო?!... აგერ კიდე ოცდაათი ან აიღე და მომეცი ეგ ხარი, ან კიდე შენი საქმის შენ იცი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

– მომეცი, მომეცი, განყდეს ვაჭრების სახსენებელი!

როგორც იქნა, შეეღია ბანარს ქორა. ხარს სწრაფად დაესვივნე ვაჭრები და გასასვლელისკენ გააქცუნეს. ქორა თვალს არიდებდა ამ სანახაობას. როგორც კი ხარ გაიყვანეს, თავადაც დაავლო შვილიშვილს ხელი და წავიდა გასასვლელისკენ ისე, რომ სიტყვაც აღარ უთქვამს ჩემთვის. ერთადერთი, ქორიკოს გაუწყრა რაღაცაზე და თვალს მიეფარა.

მე კიდეც ცოტახანს დავრჩი ბაზარში, მაგრამ კაციშვილს არ უკითხავს ჩემი ძროხის ამბავი. ამ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა, ჰოდა გამოვირეკე წინ ეს ჩემი გამხმარი ძროხა და წამოვედი სოფლისკენ.

ამინდიც იცვლებოდა. ქარი ამოვარდა და ისე ჩანდა, კიდევ იწვიმებდა მალე. ვიფიქრე დასველებას მაინც გადავურჩები-მეთქი და ვარბენინე ეს ჩემი საწყალი ძროხა რაც შეეძლო. იმდენი ვარბენინე იმ უბედურს, სოფლის ბოლოსკენ ბაბუა შვილიშვილსაც კი წამოვეცი.

აღარ საუბრობდნენ, ნელა მიდიოდნენ და ჩუმად. ქორას ზურგსუკან შეეკრა ხელე-ბი და მაგრად ჩაებლუჯა ბანარი.

დავამძახე, როგორ ფიქრობ, განვიმდე-ბა-მეთქი?

შემობრუნდა. ბანარანი ხელით ინსტიქტურად მოიჩრდილა შუბლი. ძლიერი ქარი პირდაპირ სახეში სცემდა და ლაპალუპით სდიოდა ცრემლები.



ზურაბ ლუღუშაური

ღირსი

„გარედან ყველაფერი სხვანაირად ჩანს“.

შორენა ლალიძე

იასონ ბუცხრიკიძე ორმოცდაცხრამეტი წლისა იყო. ეს ის ასაკი გახლდათ, რომ...

ახალი წლის ზეიმზე, პატარა იასონ ბუცხრიკიძეს, მთავარი მეტყვევის როლის შესრულება ხვდა წილად. მან გმირული მითითებებით მოახერხა ნითელქუდას როლის შემსრულებლის, უსაყვარლესი ნინა ნოზაძის დახსნა ვერაგი მგლისგან, რომელსაც იური აფთარაშვილი ასრულებდა, რადგანაც ჯგუფში, მტაცებელ ძუძუმწოვართა რიგთან უახლოესი კავშირი სწორედ ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა. იასონის პირველი ხელქვეითები ტყუპი ძმები – დიმიტრი და დემეტრე ცხვარიაშვილები აღმოჩნდნენ, რომლებმაც იასონის გამჭრიახი გონების წყალობით, მუსიკის მასწავლებლის მიერ აღებული პირველი ნოტის გაგონებისთანავე ცხვარიაშვილობა ცოტა ხნით გვერდზე გადადეს და იური აფთარაშვილი ბექებზე დაანარცხეს.

იასონს მეტი ხელქვეითი ზეიმზე არ ჰყოლია. მხოლოდ და მხოლოდ ეს ორი ულაპარაკო ძმა მიუჩინეს ბალის მასწავლებლებმა (ისიც ხეებისა და სოკოების როლების გადანაწილების შემდგომ). იასონმა სწორედ ცხვარიაშვილებთან წარმატებული კომუნიკაციის შემდეგ განიცადა ის დირექტორული ექსტაზი, რომლის დროსაც მუხამბო და სხვები უხმოდ ასრულებენ გაცემულ ბრძანებებს. ბიჭი ამ საინტერესო განცდამ მეტისმეტად გააკვირვა. საბოლოოდ კი, იასონის თამაშობით, ზეიმზე დადგმული სპექტაკლით, აფთარაშვილების ოჯახის გარდა, ყველა საკმაოდ ნასიამოვნები დარჩა.

დირექტორობის დანარჩენი მსხვილ-მსხვილი გამოვლინებები იასონის სასკოლო პერიოდიდან გაგრძელდა. იგი ჯერ პიონერთა ჯგუფის ლიდერი გახდა, შემდგომ – სკოლის კომკავშირის ხელმძღვანელი, სკოლის დამთავრების შემდგომ – კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის განათვისუფლების მდივანი, შემდეგ მეორე მდივანი – პროპაგანდის ჯგუფში და ბოლოს – კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი. იასონმა საკმაოდ მნიშვნელოვანი კარიერული საფეხურები განვლო წარმატებისკენ, თუმცა პარტიის რაიონულ კომიტეტზე ვეღარ მოუხერხდა მობრძანებლობა, რადგან კომკავშირი საბოლოოდ ჩამოიშალა და ხელში, დასაფხრნად გამზადებული ნითელი მანდატიდან შერჩა, გალიმბულს.

იასონი რისი იასონი გახლდათ, ამ მცირედით რომ დაკმაყოფილებულიყო და თავისი დირექტორული ტემპერამენტი ბოლომდე არ გამოეხატა ყოფა-ცხოვრებაში? კომკავშირის დაშლიდან სულ რაღაც ორ წელიწადში, ბევრთადა სწავლის ხარჯზე (რომელიც ვინ დათვლის რამდენი გოჭისა და ინდაურის სიცოცხლის ფასად დაუჯდა), იგი ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი საწარმოს, ჯერ – ტექნოლოგი, შემდეგ – მთავარი ტექნოლოგი, ბოლოს კი – აღმასრულებელი დირექტორი გახდა. დასაწყისისთვის საწარმოში, იასონმა თავის გარშემო, უახლოესი კლასელები შემოიკრიბა, რომელთა რიცხვშიც, ბალიდან კლასში გადმოყოლილი ტყუპი ცხვარიაშვილებიც

იყვნენ. ძმები ცხვარიაშვილები არც აქ გამოირჩეოდნენ დიდი კომუნიკაბელურობით. თუმცა მაინც საქმის, სამაგალითო შემსრულებლები გახლდნენ, რადგან იასონი უკვე ბალის სპექტაკლისგან განსხვავებით ახლა უკვე დირექტორი და მართლაც დიდი კაცი იყო. მათ კი სხვა თანამშრომლებთან შედარებით ყველაზე კარგად ჰქონდათ გამოუმუშავებული, მისდამი უსიტყვოდ მორჩილებისა და ერთგულად მსახურობის უნარ-ჩვევები. იასონიც ამაყობდა თავისი ერთგული ხელქვეითებით და ცდილობდა ათასგვარი დირექტორული ბენეფიტები მოეფიქრებინა, წახალისებინა დასაქმებულები და მუდამ მონოდების სიმალლეზე ჰყოლოდა საკუთარი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი თანამშრომლები. საერთოდ, ხელგაშლილობა არ სჩვევიათ ხოლმე დირექტორებს, თუმცა იასონი გამონაკლისი



გახლდათ. ის ხომ დირექტორობისთვის იყო დაბადებული, სხვა ცრუ მმართველებისგან განსხვავებით.. თანაც მის ხელგაშლილობას თავიდან კვაზი-სახელმწიფოს მიერ გაცემული ინვესტიციებიც უწყობდა ხელს, თუმცა მზრუნველმა მესვეურებმა ვერაფერი ინტერესი რომ ვეღარ ნახეს, მაღევე შემოუთვალეს საწარმოს მფლობელებს, – ამიერიდან საკუთარი თავი თავად გადაირჩინეთო და ნელ-ნელა იასონის ფაბრიკამაც კომკავშირის ბუდი გაიზიარა. ისიც თავის-დაუნებურად ჩამოიშალა და იასონს ნითელი მანდატის მაგივრად ახლა ათასგვარი ქალაქები შერჩა ხელში, რომლებიც შემდგომ მისი კურორტებზე გაშვების ძირითადი დოკუმენტალური მასალები აღმოჩნდნენ.

იასონი ციხიდან ორიანთასიანების დასაწყისში გამოვიდა. უახლოესი განვლილი წლები ქარს გასატანებელი გაუხდა. ქსნის გისოსებში რომ გედირექტორა, იქ შემოსვლამდე სხვანაირი ცხოვრებით უნდა ყოფილიყავი დაკავებული. იასონს ეგ ცხოვრება არ გამოუვლია, მაგრამ მისი განვლილი წლების შესახებ რომ გიგიგეს იქაურმა დირექტორებმა, სანდო ვაჟკაცად მიიჩნიეს და ორასი კაცის მაყურებლობა ჩააბარეს. იასონი ათი წლის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა თავის მენეჯერულ მოვალეობას. ორასიდან ოთხას კაცამდეც კი გაუზარდეს სამეთვალყურეო პირების რაოდენობა. იასონი კი იმდენად მიეჩვია ციხის მყუდრო კედლებს, რომ მზის შუქის ნახვა დიდად აღარ ენატრებოდა და მიჰყვებოდა წლების მდორე მდინარებს. თუმცა ასეთი დირექტორული ტემპერამენტის მქონე კაცმა როცა იგრძნო, რომ იმ ოთხასი პატიმრის იქით გასაქანი აღარ იყო, მაინც თავისი ქნა, გამოფხიზლდა და შესაბამისი ყოფა-ქცევის გათვალისწინებით ფრთხილად დაიწყო იასონი, ხუთი წლით ადრე გაათავისუფლეს საპრობოლიდან. თავიდან კი გაუჭირდა ახალ დროებასთან ადაპტირება ჩვენს დირექტორს, მაგრამ იასონი რისი იასონი იყო, რომ სესხი არ აეღო და საკუთარი ოფისი არ გაეხსნა, რომელმაც გაუმართლა კიდევ და მართლაც მოგებაზე იმუშავა რამდენიმე წელი. ამ რამდენიმე წელში იასონმა ბევრი რამ მოასწრო. მოიყვანა ცოლი – თავისი კლასელი, დაწყებითების პედაგოგი შორენა ლალიძე, რომელიც თორმეტი წელი ელოდებოდა იასონის გან-

თავისუფლებას და მასთან ერთად იზიარებდა იმ რთულად ასატან წამებს, რომელსაც მისი საქმრო ატარებდა იმ შავ-ბნელ ჯურღმულში, წარმოდგენაც რომ ზარავდა გულჩვილ მანდილოსანს. იასონმა ამდენი ტანჯვა – წამების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გადაიხადა უმშვენიერესი ქორნილი, იმოგზაურა სამ ქვეყანაში, ოცი კვადრატით გააფართოვა შორენას მშობლების მიერ დატოვებული კოხნა ბინა და რამდენიმე წელში, მისდა საბედნიეროდ და შემდგომ კი სამწუხაროდ, დაიბადა პატარა მალხაზ ბუცხრიკიძე, რომელმაც ძლივს აწყობილი ცხოვრება, ისევ თავდაყირა ამოუტრიალა უბედურ მშობელს.

პატარა მახო ოცდაერთ სექტემბერს, ქალაქ თბილისის მეექვსე სამშობიაროს მეთერთმეტე პალატაში მოევიწინა ქვეყანას. იასონს მისი ბიჭობა თავიდანვე ძვირი

დაუჯდა. სახედარეჯილი მახარობელი, სანამ მიღებული ხუთმანეთიანი ხუთ თუმინიანად არ გადააქცია, იქამდე ვერაფრით დაკმაყოფილდა. ოთხი კილოგრამი დაბადებული პატარა მალხაზი. ხარივით ძლიერი. სიძლიერეები სამომავლოდაც უამრავი გამოავლინა ბუცხრიკიძეების პირმშომ, რომელსაც არც ტკბილი სიტყვა ესმოდა, არც ახსნა-დარიგება, არც ნკეპლის ენა, არც ჭინჭრის, არც ქამრისა და არც სიბნელეში მარტო დარჩენისა. ძლიერ ურჩი გამოდგა ჩვენი პატარა მალხაზი. ალბათ, დაუმორჩილებელიც კი. ვაჟიშვილი იასონის დირექტორული გამოცდილებისა და თანდაყოლილი ალღოსთვის უდიდესი თავსატეხი აღმოჩნდა. თავსატეხებზე თავის მტვრევასა და პასუხგაუცემელ კითხვებზე ღამიეების თენებში, იასონის ოფისი ნელ-ნელა დასახური გახდა. ნაგებში ნასულმა ჯერ ერთი ცხვარიაშვილი გაუშვა, შემდეგ მეორე, მეტი არც არავინ ჰყავდა და ბოლოს თვითონაც სახლში დაჯდა. შვილის დამორჩილების არადაამიანურმა წყურვილმა ბოლო მოუღო, შორენა ოჯახის მარჩენალად აქცია და იასონი მიხვდა, რომ თავისი პატარა კერა ისეთ ადგილად გადაიქცა, სადაც იგი ვეღარასდროს გახდებოდა დირექტორი.

წლები გაიქცა. ოჯახს კიდევ ერთი წერი შეემატა. შორენას კი – კიდევ ერთი მეტი სარჩენი და სადარდებელი. ჩვენი იასონი?.. ჩვენი იასონი დირექტორობას არ კარგავდა. დილაადრიან იღვიძებდა, ფეხსაცმელს ლაქს უსვამდა, სუფთა პერანგს იუთოვებდა, შარვალ-კოსტუმსაც იხდენდა, შორენას დატოვებულ ფულს თვლიდა, ხელში იკუჭავდა და ცხვარიაშვილების მიერ გახსნილ, ორსართულიან სუპერმარკეტში მისეირნობდა ძვირისა და პროდუქტების შესაძენად. სუპერმარკეტიდან სავეჯ ცელოფანის პარკებით დაბრუნებული, ნასიამოვნები ესვენებოდა სავარძელში, თითებგადაჭობილ ხელს თავქვე იდებდა, მზერას ყვითლად დალაქავებულ ჭერს აპყრობდა, თვალებს ხუჭავდა და ფიქრობდა... ასე ფიქრობდა ყოველდღე. ან, შეიძლება, ოცნებობდა კიდევ... ვინ იცის..

გარედან ყველაფერი სხვანაირად ჩანდა, მაგრამ სადირექტორეთში დაბადებული იასონისთვის ყველაფერი ნათელი გახლდათ..

თარგმანი აზორონი და თორგმანი ბაქსი

„ცისკარი“ № 2

რაც კრებულში არ ითქმოდა ანუ განხილვა, განხილვა, შეფასება და დაფასება კრებულისა „კრიტიკა“ (1957-1980 წლები).

მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობენ მანანა კვაჭანტირაძე, ამირან გომართელი, თამაზ ვასაძე, მაკა ელბაძე, ლია ბაშალიშვილი, გია არგანაშვილი, ადა ნემსაძე და ზოია ცხადაია, ეხება ჟურნალ „ცისკარის“ 170-ე საიუბილეო წლისთავისადმი მიძღვნილ კრიტიკული სტატიების კრებულს. დიალოგი გამართა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 2023 წლის 26 აპრილს.

საინტერესო დიალოგი, საინტერესო დასკვნა: „1957 წლიდან ქართულმა ლიტერატურამ და კრიტიკამ სრულიად უკუუგადო სოცრეალიზმი და გახდა თვისობრივად ახალი, გაბედული“ („ცისკარი“, №2, 2024, გვ. 9).

პოეზიის რეზიუმე იხსნება რაულ ჩილაჩავას ლექსებით, რომელთაგან მკითხველის ყურადღებას ეს სტრიქონებიც მიიპყრობს: „ვემორჩილები საკუთარ თავს... მან უკეთ იცის, რა გამიხარდეს, რა მეწყინოს, რა ვთქვა და როგორ!“

ოთარ გოგალაძის ორი მოთხრობა „ჭაობი“ და „გაბო, ანუ კაპიტანი აქაბი“ ჩვენი დღევანდელი ყოფიერების შუქ-ჩრდილებს ასახავს თხრობის თავისუფალი, ეკლექტიკური სტილით, რომელშიც ერთიანდება პოსტმოდერნისტული, სიურრეალისტური, რეფლექსიური ნაკადები. აქვს ასეთი დეტალებიც: „ბაბუჩემი დონ კიხოტი იყო. იყო, თუმცა აღნაგობით სანჩო პანსას ჩამოჰგავდა. მომრგვალებულსა და მუდამ მეოცნებეს, ყველა რაღაცას ეკითხებოდა და იმასაც პასუხი ყველაფერზე ჰქონდა. სწორი პასუხი, რაც მუდამ მოცებდა“.


ქეთი ჯოღორდისა და ირინა ტაბაღუას ლექსები – ორი რადიკალურად განსხვავებული ფორმა, შინაარსი, ინტონაცია.

კრიტიკა-ეესეისტიკას ორი ავტორი ჰყავს – ადა ნემსაძე და თემო ჭახნაკია. კრიტიკოსი ადა ნემსაძე განიხილავს ბექა ქურხულიას ახალ რომანს „თვალდაკარგული ყოფილის ჩანაწერები ანუ დემთო-ყიფნალი“. კრიტიკოსის დასკვნა ასეთია: „რომანში მოთხრობილი ამბით ჩვენ, მკითხველმა, კიდევ ერთხელ დავინახეთ – ადამიანი სამყაროს შექმნიდან დღემდე ერთ ტკივილს ებრძვის და ეს არსებობის, ყოფის ტკივილია...“ პოეტი თემო ჭახნაკია მართლაც პოეტურ თემას შესჭიდებია: „მშრალი ხიდის თემა ქართულ პოეზიაში“. როგორ ვასწავლოთ ჰაგიოგრაფიული თხზულებები სკოლაში? სკოლის დღის წესრიგის მუდმივ თემა. ოქტაი ქაზუმოვი წარმოგვიდგენს თავის მოსაზრებებს ამ აქტუალურ თემაზე და აყალიბებს ექვს პუნქტს, რომლებშიც იძლევა რეკომენდაციებსა და წინადადებებს: სკოლის მასწავლებლები, რომც არ უნდოდეთ, მაინც დაინტერესდებიან ამ წერილით, რადგან ოქტაი ქაზუმოვს ისეთი შენიშვნები აქვს გამოთქმული, როგორც იშვიათად ნაგვიკითხავს მეთოდურსა თუ პედაგოგიკურ კვლევებში.

ბესო ხვედელიძის ირონიულ-პაროდიული პიესა მოთხრობასავით ანუ საკითხავი პიესა „არტიმ და რიტა“, რომელიც ძველი ვოდვეილივით რიტმულ-ინტონაციური გაბაასებით მთავრდება.

ახალ თარგმანებში: ელჩინ აფანდიევის მოთხრობა „ბაღდადაშის საქორწინო აბანი“. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა. აფმერონის ნახევარკუნძულზე მომხდარი დრამატული ამბავი ჰეფი ენდით.

ჯოის კეროლ ოუტისის, თანამეგობრე ამერიკელი მეცნიერის, პედაგოგისა და მწერლის, ნოველა „ბედნიერი“ უცნაური სასიყვარულო სამკუთხედით: გოგონა, დედა და დედის ახალი ქმარი... ნოველა ინგლისურიდან თარგმნა მია ბოლაშვილმა.




ორმოცდაათი წლისა განეშორა წუთისოფელს პოეტი და პროზაიკოსი, მხატვარი და რესტავრატორი პაატა გვარჯიანი. მთელი ცხოვრება ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისში გაატარა, თუმცა მოგზაურობა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

საოცარია მისი პირველყოფილი სისავსით დახატული მეტაფორები: „ცაზე ჰკიდია დაღლილი მთვარე და მინდა ვიგრძნო კვირტების სუნთქვა“ ან კიდევ, „ნოემბერია. ქართველი გლეხი ზამთრის პირიდან ეძებს გაზაფხულს.“ და კიდევ უამრავი, გაბნეული მის მშვენიერ წიგნში „მთას მონატრებული პოეტის ლექსები.“ ტერენტისეული გაშინაურება გარდაუვალ სიკვდილთან დრამატიზმის შარავანდედით მოსაგს მის ლექსებს, უგულწრფელესი პოეტის ნატურას...

„განა დიდების მწვედნენ ლანდები, გაზაფხულების ცეცხლით ვიდაგე.“ – წერს ერთგან პოეტი და ეს უბრალოება, მშობელ მინასთან სისხლისმიერი სიახლოვე, დიდვლიდან მონატრული გრილი ნიაგი საკუთარი მძიმე ცხოვრების სურათს დაახატავინებდა: „იფიქრებდი, ღვინოს სევამდა და სიმღერით ჩაეძინა“.

**თამაზ ბარჯაია**



პაატა გვარჯიანი

**რწმის სოფელი**

რალა სოფელი – ორი ღურგალი, ორი ღურგალი და მესაფლავე. შემოღვევით საქმე სამთავეს და ერთმანეთის დარდი აწვალბეთ.

რალა სოფელი – ყანა ოხერი, ტყე გაჩეხილი, ვაზი გამხმარი. აღარც ღობე და ვარდი ღობეში, აღარც ნახირი მწვანე ჭალაში.

ნასახლარებზე ეკალ-ღიჭები, დამპალ ღობეზე რუხი ყვავები, დამშრალ წყაროდან ლაქაშ-ჭილები, ჩაძეძეული ვაშლის ბალები.

რალა სოფელი – მხოლოდ ტკივილი, თითქოს ამქვეყნად უამი გაჩერდა – სამი მოხუცი – სასომიხილი, მინის დამყრელი რომ ენატრება.

**შვილ. რა წაქრო გაქვს ამწირი**

როცა ცა ღრუბლებს გადიფარებს და ყველა წვიმას ელოდება,

ხეები ნელა ირხევიან, სიო მგლოვიარე ბალახს წენავს.

დარდი მორევი ყველა სულდგმულს, მზის მაცოცხლებელ სხივებს მისტირიან. ყვავილებს თვალები დაუხუჭავთ, ცელქები აღარ იღიმებიან.

სევდას დაუპყრია ყველაფერი, კრაზანაც აღარ რეკავს მინდვრად. მზეო, რა ჯადო გაქვს ამნაირი, რომ ყველას შენი ცქერა გვინდა.

**ძვილი ნუგეში**

არ მინერია მე დავინყება. წვიმის ცვარვით ხავსში ჩავრჩები. დამინდეს გვამი, თუ დამინდება, შეერთოს ფოთლებს ხიდან დაცვენის.

არ მინერია მე დავინყება, სიკვდილის მერე ქართან ვიქროლებ. დამინდეს გვამი, თუ დამინდება, – მე ხომ ვიცოცხლებ.

**შვილ ჩაქროც**

მზე ჩადიოდა, მზე ჩადიოდა, დრო იყო ჩასვლის და ჩადიოდა... ხურმაზე შაშვი თვისას ჩიოდა, ცოტაც სციოდა, ცოტაც სტიკიოდა.

მთებზე დაყრილი ვერცხლი დნებოდა ... და ნელა-ნელა ბინდში ქრებოდა და დღე კვდებოდა...

ქარში ფოთოლი კენტად ჰკიოდა, ცოტაც სციოდა, ცოტაც სტიკიოდა,



ქარს მოეწყვიტა და მიდიოდა... დრო იყო წასვლის და მიდიოდა...

\*\*\*

რამ მომანატრა, არ ვიცი, თოვლი, ძვლებს დასვენება მოსწყურდა ალბათ... ნავიდა უამი სიცოცხლით თრობის, მე მინდა სხვა ხმებს ვუსმინო ახლა.

ცივი წვიმები მღერიან ღამით და შიშველ ხეებს ბავშვივით სცივით, სულში იჭრება მუსიკის ღვარი, მუსიკის ღვარი, მძიმე და წმინდა.

თვლებს მუსიკაში ღრუბელთა სუნთქვა, რომელიც ცეცხლად დაღვობას ღამობს, თურმე სიბერეს ის ჰანგი უყვარს, რაც მოგონებას ალვივებს ამოს.



მზია სალვარიძე

**სუროს ქალი**

მე სუროს ქალი ვარ! მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვიტან, როცა მეხვევიან და მით უმეტეს – მახრჩობენ, მაინც მიყვარს სურო. სულ რომ შემისრუტოს, სულ რომ შემისახსროს, რომ რამე, მაინც ამოვსხლტები მისი მარწუხებიდან ჯინივით და მტრის ჯინაზე ცაში ავფრინდები. მე სუროსავით ბლამნარაც მიყვარს, ასე ეძახიან ჩვენში გარეული ბალის ჯიშს და მიკვირს, ასე რამ გაგამნარათ ეს ხარისგულა ბლის მოყვარული ხარბუნიები. მე ხომ ის ქალი ვარ, თქვენი თურაშაული ერთ შაურადაც რომ არ მიღირს და ჩემი ედემის პანტა ვაშლი, სამოთხის მ(ი)სხალ სასელასავით, ქვეყანას მირჩვენია... მე ის ქალი ვარ, ოდესმე ოცნების ბალი თუ მეღირსა, ვარდების ნაცვლად რომ მოვაშენებ გვიმრას და დაველოდები, ვინ რა უნდა მითხრას, ვინ რა უნდა დამიწუნოს, ან ვინ რა უნდა დამაკლოს ამ ერთ კაკალა უკუღმართს და მერე ნახავთ, ჩემ მიერ ნკიპურტით აყრილ არამკითხავების ყირამალა ვარდნებს მათი ვარდების ბაღში... მე კი ამ დროს, სუროსა და გვიმრებს შორის მზეზე გველივით განოლილი, შორიდან დავაკვირდები, თუ როგორ ძრწინან ჩემი შემყურე, მოძრავ სტადიებს მოკლებული ძონეულები.

\*\*\*

ყოველთვის ობიექტური ვიყავი, ახლა სუბიექტური ვარ. სხვისი განცდების თანაგანცდის ცდუნებებს ვძლი

და გავხდი უბრალოდ სუბიექტი. ახალი პატიმარვით თითქოს ციხის კარებთან დავტოვე ყველაფერი. ბევრი არაფერი მეზადა, მაგრამ რაც იყო, ღირდა... მხოლოდ ნამუსსა და რეპუტაციას ვერ შეველე. სხვა ყველაფერზე დაუფიქრებლად ავიღე ხელი. ახლა აღარც მკითხველი ვარ და მწერალი ხომ – მით უმეტეს... ხასიათის შტრიხები გადავტახტე, ტიხრებს შორის გარეულ ტახივით მოვამწყვდეი ცუდი თუ კარგი გუნების გამომწვევი მიზეზები, ჩემი განწყობის ხანგრძლივი, ემოციური ფონი გავანეიტრალე და მედიტაციით გატაცებულმა, გონებრივი დისციპლინა დავამყარე. ყველა ჩაკრა ეტაპობრივად გამეხსნა... ახლა ერთადერთი მიზანი მაქვს, სამყაროს ენერგია უნდა მოვიზიდო და ზოდებად შემოვუნყო ჩემსას, რომ აღარ დაიღვაროს, აღარ გადანაწილდეს სხვებზეც... რა ვქნა?! მე ხომ იმდენად სუბიექტური გავხდი რომ აღარავისზე მეფიქრება...

**იანვანა ყფროსებისთვის**

შენს მკვლავებს თუ ვერ, ჩემს შალის შარფს შემოვიხვევ მხრებზე ამაღამ. წინდებს ჩავიცვამ თივთიკისას, ჩავრთავ აბაჟურს, სხვა გვარის ვარო, – არ იქნები, თუმც მაინც მეტყვი და დაბუჭებულ ფეხზე დამკრავ სამჯერ ალერსით...

(ჩვენ არ ვართ ერთად, თუმც ყოველ ღამე გვალვიძებს სუნთქვა მიჩვეულ რიტმით... ჯანდაბას, მინის თავი და ბოლო, ერთ ნამში მოვალ, თუ კი შენ იტყვი...)

შენს გვერდით თუ ვერ, შენს ფიქრებში ხომ მაინც ვწევარ... სკამსარწვევლას ვაქანავებ სანოლის გვერდით ვით დედა აკვანს, გრძელი ბანრით მაჯაზე მობმულს და ვმღერი, ვმღერი იანვანას უფროსებისთვის...

**ილოზის ნეგაციი**

ყველაზე მეტად ისეთი დღეების მეშინია, შეულამაზებელი თვალით რომ გიყურებთ, გაჭრილად რომ გხედავთ, ეპითეტებს რომ არ გიძებნით, თქვენს შესაძლო იდეებსა და თემებს არ განვიხილავ, მეტაფორებს არ ვკითხულობ თქვენს ყოველ მიმოხრაში... მხოლოდ ასეთ დღეებში ვხვდები, რომ თურმე საკუთარი სივრცის დიაპაზონს თავადვე ვიმრავალფეროვნებ, ვიმინარსებ

და ვიღრმავებ... რომ თქვენ მხოლოდ ზღარბები ხართ... და რომ არა ჩემი სული, როგორც კუს ბაკანი, ალბათ ისიც ისევე ადვილად გასკდებოდა, როგორც ჩემი თქვენდამი გაბერილი წარმოდგენები სკდებიან ასეთ დღეებში. არა, სრულებით არ ვარ ნეგატიური, ზერეალური ვარ და მხოლოდ იმ იმედით ვცხოვრობ, რომ როცა იშვიათ შემთხვევებში სალად აზროვნების სურვილი გამიჩნდება, ჩემს გვერდში, იმ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთა მსგავსად, მოიძებნებიან კიდევ ისეთებიც, ვის გამოც პროზაული ცხოვრების პოეტურ ჭრილში განჭვრეტა იქნება შესაძლებელი...

**ლიტერატურული ეჭო**

შემოფრინდება სულში ჩიტი და დამფრთხალ ფრთებით, გაფრთხავს გულის ბალიშიდან დამტვერილ სიზმრებს, მერე თავადაც გაფრინდება, წამწამთა მხებზე წამოისკუპებს და დილამდე ორჭოფით მიმზერს...

მე კი შიშველი სხეულით და გამხეილ ცოდვით დამლრალ ოცნებებს ბუმბულისგან დაუწყებ პუტვას, რათა დავფარო სარცხვენილი სხვის თვალში თორემ წესით – იქნება იარების მყისიერ ფუთვა...

შენ, ჩიტო ჩემო, განა მსხნელო, უფრო მტარვალო, რად გამიფინე ხელის გულზე შუქის ჩრდილები ... მე ახლა წესით უნდა გგმობდე, მაგრამ უნებურ, ნამუსახილის ხსნად შემხილები.

!!!

უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე გვერდით ყოველთვის მყავდნენ ენერგოვამპირები. როგორც არა მარტო სისხლის, არამედ ენერგიის დონორსაც, ეს არასდროს მიქმნიდა პრობლემას, უფრო პირიქით, მოჭარბებული ძალებისგან ვთავისუფლდებოდი... მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ ჩემ მიერ დარწყულდებულნი, ზედმეტად ნაპატივბნი და სულიერად დანაყრებულნი, მერე ჩემზევე ცდილობდნენ ზედმეტი პატივების ამოწყვევას... ამ დროს სულ მახსენდებოდა ბებიამის შეგონება იმის თაობაზე, რომ ღორებს მარგალიტები არ უნდა დავუყარო... მე კი ვუყრიდი, ვუყრი და ისევ დავუყრი მომავალშიც უშურველად, იმ ბრალიანი მიზეზის გამო, რომ ღორების სალაფავი უბრალოდ არ მაქვს!



# ის აქ არის

## ვაჟა აზარაშვილის სსოვნა

კიდევ ერთი დიდი ადამიანი დააკლდა სამშობლოს.

კიდევ ერთი ადამიანი დავითრიგოკისის ვაჟი, სიმარტოველი.

ვიდრე საქართველოში ვიყავი, წლების განმავლობაში უფაქიზესი მეგობრობა მაკავშირებდა დიდ მაცხოვრებელს ვაჟა აზარაშვილთან.

დავაზუსტებ, მეც ერთი იმთავითავე გახლდით, ვინც თავს მის ახალგაზრდა მეგობრად მიიჩნევდა, სიყვარულითა და მუდმივი აღტაცებით შეხვაროდა და მისგანაც სიტობს გრძნობდა. ასეთი კი ცოტანი როდი ვიყავით.

იგი მუდამ ის პიროვნება იყო, სხვისი მცირე ნარმატებაც რომ გულს უხარებდა.

თვით კოლეგებისაც კი, – რაც საქართველოში, სახელოვნებო გარემოში უმშვიდადეს ამბავია, სხვაგანაც ალბათ, მეტნაკლებად ასეა.

ჩვენს „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტში“ ხომ გენიოსი – ყველა მხოლოდ თვითონა;

უნიჭიერესი – მისი უახლოესი მეგობარი/ მეგობრები, ნათესავები და ა. შ.;

ისე, რა! – საზოგადოებრივად აღიარებული დიდი სახელები, მთლად უარყოფაც რომ არ გამოდის, ხოლო დანარჩენები – ყურადღებასაც არ იმსახურებენ ან უბრალოდ, უნიჭიანი არიან.

ბატონ ვაჟას ფართო საზოგადოება ძირითადად საყვარელი საესტრადო პოპულარული სიმღერების ავტორად იცნობდა, არადა, ოდენ კოლეგებმა და ნათესავებმა, ახლო მეგობრებმა და ზოგიერთებმა თუ იცოდნენ, რომ იგი კონსერვატორიის პროფესორი, ქართული კლასიკური მუსიკისთვის დიდად მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოებების ავტორია.

მისი საყოველთაოდ პოპულარული „სანტიმენტალური ტანგო“, ჩემი და არა მხოლოდ ჩემი რჩეულია და ქალბატონი ბელა მახარაძის სავილიძის რეპერტუარის წყალობით – საერთაშორისოდაც კარგადაა ცნობილი.

ბუნდოვნად მახსოვდა მისი ნათქვამი, რომ ამ მელოდის საფუძვლად გალაკტიონის ლექსი დაედო „ქარი და ცხრა სიბოძოქრის“, მისით იყო ინსპირირებული. ერთხელ დავუსტებაც მოვიზინადინე, მაგრამ აქედან ხმა ვერ მივანვინე. არ ეტანებოდა ინტერნეტს, საქართველოსთან ჩემი კომუნიკაციის საშუალება კი ესაა.

ვგულსსხმობ გალაკტიონის ამ ლექსს:

\*\*\*

ქარი დასცხრა სიბოძოქრის...  
ქარი დასცხრა სიბოძოქრის,  
შავი ზღვიდან სიო მოქრის,  
მე გიცქერი, როგორც ოქროს,  
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...  
მე გიცქერი, როგორც ქარვას,  
შორითშორად ფიქრი წარვალს,  
თან გაატანს ქართა ქარვას  
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.  
ო, ფიქრებო, მშენო ტაძრად,

ო, ქცეულნი მტვრად და ნაცრად,  
რად მიყვებით ასე მკაცრად  
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

ვაჟა აზარაშვილის „სანტიმენტალური ტანგო“ ჟღერს რეზო თაბუკაშვილის რომანტიკულ ფილმში „მზე შემოდგომისა“, აქვე იყოს აღნიშნული, რომ ბიძინა კვერნაძესაც აქვს გალაკტიონის ამ ლექსით ინსპირირებული საფორტეპიანო ნაწარმოები, ჟანრი აღარ მახსოვს.

ქართული პოეზიისთვის უჩვეულო ამ ლექსის რიტმი თავის მხრით, თითქოს გენეტიკურად, რუსთველური მაღალი შაირი (4/4/4/4) თავისი „სხარტად მარცვალმოკვეცილი“ დაბოლოებით (4/4/3) – მე ტანგოს პოპულარულ მელოდებს მაგონებს.

ვვარაუდობ, რომ გალაკტიონმა რიტმულ მოდელად აიღო არგენტინული ტანგო, მაგრამ მე ამას მხოლოდ ვვარაუდობ.

\*\*\*

ერთხელ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანებში ბატონ ვაჟას სიმღერის ტექსტიც კი დავუნერე და ეს მთელი ცხოვრება სამაყოდ მექნება.

ჩვენი პირადი მეგობრობაც – იქიდან დაიწყო.

უნდა ვალიარო, ძალიან ძნელია პოეტისთვის მზა მელოდიზე კარგი ტექსტის „დასმა“.

ძალიან გამიჭირდა, სამაგიეროდ, კარგი ცოდნა მივიღე მისგან, რომელიც შემდგომში არაერთგზის გამომდგომია...

პეტრე გრუზინსკიზე, როგორც საესტრადო სიმღერების ტექსტთა ავტორზე რა აზრისა იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მისი ლექსის სტრიქონს განუწყვეტლივ იმეორებდა.

„ის აქ არის!“ – მისი საყვარელი პერსევერირებადი ფრაზა იყო.

„მაცხოვრო ის აქ არის“ – ასე მოვიხსენიებდით მას საერთო ნაცნობები საუბრისას.

ის აქ არის! – ამას ამბობდა, როცა რამე ან თვითონ, ან სხვას კარგად გამოუვიდოდა, სხვაფრივ, უფრო ხშირად რალაციანირ გულდაწყვეტილი ინტონაციით ჩაილაპარაკებდა – „არაა, ის – აქ არ არის“.

ეს ფრაზა პ. გრუზინსკის ლექსიდანაა. მუსიკა ამ ლექსზე, როგორც მე მახსოვს, კომპოზიტორმა გააყინა ჩემსა საგანგებოდ დაწერა რეზო გაბრიაძის სცენარით („უცხო ჩიტი“) ელდარ შენგელიას ფილმისთვის „მერევილები“.

თუმცა, რაკი მათს შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩახედული არა ვარ და ვერ ვიტყვი, რომელი რომელს მოერგო, რომელი დაინერა პირველად, ლექსი თუ სიმღერა?

ქვეყნად ერთდროულად გაჩენილებს კი ჰგვანან!

პეტრე გრუზინსკი დახვეწილი ლირიკოსი იყო. მის სტილს ახასიათებდა: კარგი ქართული (ასე სანატრელი დღეს!), ხალხური ზემირისტიკვირებითი, მოქნილი ფრაზები, საერთოდ, ფრაზის სიმსუბუქე, რემინისცენციები – ქართული კლასიკური მემკვიდრეობიდან, ძირითადად სვედა და არა ნაღველი, არა ტრაგიზმი, ოდნავი, ელეგანტიური ირონია, აწურული ტექსტურა... კმარა!

მოკლედ, მეც კი მიყვარს გრუზინსკი. გაიხსენოთ მისი ლექსის ტექსტი:

\*\*\*

სვედიანი მოლოდინის დასასრული თვითონ მოდის!  
ეს ლოდინიც დასრულდება,  
დაბრუნდება, მაგრამ როდის?!  
მღერის ქარი, მღერის ქარი  
და სიმრეცე ჩამწურჩულებს: –

ის აქ არის!  
ის აქ არის – ამბობს მტკვარი,  
გული ყვირის საგულედან  
ის აქ არის!  
არ შეიძლება, მკითხველს არ დაეხადოს კითხვა „ის“ – ვინ?  
ვინ უნდა დაბრუნდეს? როდის?  
რაკი „მერევილებში“ თამუნისადმი სიყვარული შეემკრავი თუმცა, შევეძლო მარტივად ჩავგვეთვალა, რომ „ის“ უკეთეს ქვეყნად წასული თამუნია და ამაზე გაჭიერებულიყავით, მაგრამ...  
ხომ გახსოვთ ვეფხისტყაოსნიდან, „სიღბო ჰქონდა ქსოვილისა და სიმტიციე ნაჭედისაო?“  
მიუხედავად კითხვას!  
ვინ „ის“ არის აქ? ვის დაბრუნებას ელის ლირიკული სუბიექტი?  
გავიხსენოთ სახარება. კერძოდ, ებიზოდი, როცა შესუდრული მაცხოვარი, უკვე შესვენებული, სატორლად მისულ ქალებს იქ არ დაუხვდათ. შესასუდრი სახვევები იქვე იყო. ანგლოზმა, რომელმაც ჰკითხა, ვის ეძებოთ და მათი პასუხი მოისმინა, მიუგო:  
„ის აქ არ არის, რადგან ალსდგა, როგორც ამბობდა“ (მათე 28:6).  
მაცხოვრის აღდგომა ცისა და მიწის დიდი, საერთო ზემიმა.  
ქრისტიანშია ცოცხალი ღმერთი.  
ანუ „ის აქ არის!“  
ეს მორწმუნის გვიანი, აღდგომის-შემდგომი პასუხია ანგლოზის სიტყვებზე, რომ „ის აქ არ არის!“  
ბატონ ვაჟასთან ბიბლიაზე არასოდეს მისაუბრია,  
მჯერა, ისიც ამას გულსსხმობდა, როცა რაიმე კარგს, განსაკუთრებულს, ნიჭიერების რაიმე გამოვლინებას აღტაცებით ეგებებოდა:  
„ის აქ არის!“

### ნიმო დარბაისელი

## ბია ხოფარია

### როგაიების დედოფალი

ელგუჯა მარლიამ კოკისპირულად რომ დასცხო რობაიები, მანამდეც ცნობილი პოეტი გახლდათ, წუნს ვერ დასდებოდა, ვერც ოსტატობით, ვერც გულის გადაშლით და, რასაკვირველია, წნევის ცვალებადობის გამოც, რომ ავანრიანებდა, რომ ავასისხლმდინარებდა. როგორც ჩანს, ამინდის გამოცვლას დაეპირა, უფრო შევიწროებულად ცხოვრება მოინდომა, უფრო რეპერსიული გახდა საკუთარი ხელგამოღობის მიმართ და ახალ ციხეში დაივიანა, ალბათ, ახლოდანაც სურდა თავისი ბორკილების დანახვა ან ამ ბორკილების სურნელის შეგრძნება.

თვითნასურვილებმა „რეფორმაციამ“ ტერიტორია შეუმკირა, მაგრამ გული გაუდიდა, ვითომ მომცრო სინჯარაში მოექცა მისი სისხლი, თუმცა ღონიერებითა და აღმოფრთხილ ზღვის აფრთოვანებას არ ჩამოუვარდებდა.

სინჯარაში ავარდნილ ზღვას, გამიგია, სხვა გაგებაც აქვს ქართულში, მაგრამ აქ არავითარ ალეგორიას არ ვგულისხმობ, პირდაპირ რობაის მივადექი ჭიშკართან, ელგუჯას რობაის, განსხვავებულად ცეცხლი და გამოწათება რომ აქვს, სიმაღლეცა და სიგანეც, მიუხედავად მომცრო სხეულანგაობისა.

მოგეხსენებათ... და სიტყვას არ დაეძრავ რობაის შორეულ წყაროებზე, მისი უკვდავების მიზეზებზე, ჩვენიც რომ იგრძნო სიცოცხლე უბადლო მთარგმნელობით, იმდენად უბადლოთი და თანაც თემატური განმტოვებით, შესაძლებელია, ბარეორს ჩააქენინა ხელი, რობაისთვის საჭირო ერთ ციცქნა მიწაზე აქმენებინა სახლი. თუმცა ზოგიერთმა პოეტმა მინც შეძლო, აქა-იქ ძალა მოესინჯა სარობაოდ და არ ნახდომია იმედი. მხოლოდ ელგუჯა მარლიას სარობაო შემოებანიც საკმარისია, თამამად ვთქვათ, რამდენად ნოყიერი ყოფილა ამ ოთხტაბიანი და თოთხმეტარცვლიანი ენერგის აღმოსაცენებლად ქართული სიტყვის მინა, ფიქრითაც რომ ნამდვილად გაფიქრებინებს, სწორედ რომ ზედგამოჭრილია ამ მიწის ნოყიერება რობაის უხვი მოსავლის მისაღებად და მხოლოდ ლიტერატურულ-კულტურულ მეგობრობა-ურთიერთობების მაგალითებად თუ ჩავთვლით სხვა ენიდან რობაის გადმოქართულება-გადმოკეთებას. იქნებ ვინმე გააღიზიანოს ჩემგან ასეთმა სითამამემ, მაგრამ, რასაკვირველია, არ მიგულისხმია,

თითქოს წყალში ვყრიდე ჩვენი რჩეული მთარგმნელების ნაღვანს, მართლაც დიდებულად ნაშრომს, მაგრამ მშობლიურობის შესაძლებლობამ გადაძლია და ესაა სულ!

რობაი ჭკვიანი ლექსია. ფაქტობრივად ოთხად დაჭრილი ერთი სტრიქონია, ერთი ამოსუნთქვაა, ერთ სათქმელს ამოვადებს მორევიდან და ჯიქურ დაგიდგება, სხვაგან, სხვა სანახაობისკენ არ გიტაცებს, სახურდაფულო სურვილს არ გაგიჩენს, საწერილმანოდ არც იქნება და არც იხარვება, იგი ბურღი, ბურღივეთი შედის გონებასა და გულში, უცებ გეუფლება, უცებ გინერს რეცეპტს, უცებ გახედებს უფრო შორს, ვიდრე მანამდე ხედავდი, იგი ახალი საქმე და ფიქრია, ახალი საზომია და თუ არ გაგებურდა, თუ არ ავატკივილა, თუ არ დაგძრა, ან მოთავებული მკვდარი უნდა იყო, ან თვითონაა უმაქნისი, უსაქმური, უუნარო მებრძოლი, ამიტომაც შეიძლება ვთქვათ, რომ უბურღლო რობაი რობაი არაა.

თანაც ის ერთი სტრიქონი, გაოთხებულად რომ გეჩვენება, როგორ გინდა გადააქციო ისეთ ენერგიად, შეძრას მკითხველი, იგივე დარტყმა მიიღოს, ბევრად უფრო მოზრდილი ლექსის, პოემის, ნოველის, მოთხრობის ან რომანის ნაკითხვისას რომ განსუცხია! ამიტომაც ვკვირდები იმარ ხაიაძის გონების ძალმოსილება, ცალ ფეხზე დგომისთვის სამყოფი ფართები უკვდავ შეგონებათა ვრცელ აეროდრომებად რომ გადაუქცევია.

არაფერი შეუცვლია ელგუჯა მარლიას, ვერც შეცვლიდა, სხეული იგივე დატოვა, მაგრამ ერთბაშად რომ ნამოედო დრო-ჟამის გახორკლილ გზას, ცალ-ცალკე ნაფლეთებად ნამოედო, ჩვენც ავკვტკივილა ზურგი და იმდენად დაგვიახლოვა ის ტკივილები, სხვაგან გახედვას არ ვეჭქარებთ, ნაკლებად მოგვენადინება სხვისი ბოსტინის კვლებისა და ჭრილობებისათვის თვალის გასწორება, ვინაიდან აქაც, ამ რობაიებშიც თავსაყრელადაა ყველაფერი: მთელი საუკუნე, ათწლეულებიცა, ცალად მაგალი ნლებიც, სამოსელითაც რომ გვეცნობიან, მიხვრა-მოხვრა გავლილობითაც. როგორც ჩანს, რობაით ყოველთვის შეიძლება სახლის აშენება, ეზო-კარმიდამოს მოწყობა, ღვედმოჭერლობითი წერით სულის ამოხდომა-ამონათება.

რა თქმა უნდა, ჩემიუფრას რობაიების გადმოწერით არ მინდა ამ საქალადე გვერდების გამრავლება და მათი ჭკუა-გონების გამობერტყვა. მართალია, ამით მათ არაფერი დააკლდებათ, უფრო სანახაობითი გახდებიან, მაგრამ სწორედ

სანახაობითობა არაა მათი შემკულობის ნარმომდგენი, ისინი უფრო მოსაცდელ ადგილებს ჰგვანან დალლილი მგზავრისთვის, სული რომ მიიბრუნო და ჩაუფიქრებ, საით და რატომ მიდინა, ესეც გააკრკვიო და შენი თავიც ნაკითხობ, მხოლოდ შენივე ნასაკითხი ხარ, თუ სხვასაც რაიმე სარგებელს მისცემს შენი აზნათგანყობილობა.

თუკი რამ მომეძევებოდა წიგნებად თუ გაზეთებთან, ძველიცა და ახალიც („110 რობაი“, „ომარ ხაიაძე, შეიწყალე ჩემი რობაი“, „საგანძურის რობაი და სხვა“, „დროის ართიმია“, „პიკარესკული ჟანრის რობაიები“, აგერ კიდევ „მიმინოსაკით მოთმინებას ვათვინიერებ“ – „პოეტის ქონის რობაიები“ რომ ქვესათარდება, ჩემს პატარა მდელოზე მაქვს გამოლილი და ავაყოლ-ჩამოვაყოლებ ხოლმე ამ გასიტყვებულ ქვაფენილებს თვალს. დიდი გალურება, ნამდვილად დიდი და მრავალფეროვანი ხატვითაც, აზონებობაც, სიღრმეების აწვე-დანევეითაც, ნებონასმულობითაც, უფრო ამით, ჭიშკართან მიახლოებისთანავე, რომ მიგირაგს და მიგიმანგინტებს.

ისევ და ისევ იკვეთება თემატის ზინები. არ ილევა სალაპარაკო, დამამშვიდებელიცა და საგანგამოც, ახალსა და რეულიად საუცხოოს ვინ გამოიგონებს, მაგრამ ჩაველი ნაკადების სიმღერეცა და სინმინდეც ისევ და ისევ რომ მოკოკისპირულობს, ნამდვილ წვიმასაც ეტყობა და ჩვენც. ელგუჯა მარლიას, ავტორს ამ დიდებულ ოთხტაბეებისა, ალბათ სრულიად გამკრთალი აქვს ძილი, რაც მას ტკივილები აწუხებს, იმ ტკივილებით ძილი შეუძლებელია. ეს ტკივილები სიყვარულის, საერთოდ ესთეტიკის, კაიკაციობის, კი გულსფეთქებისა და ა. შ. მორალ-ზნეობათა სიცოცხლითაცაა მოსული და დამძალბული მსოფლიო სუნითაც, ქარის ყოველ ნამობერვაზე ნერვები ნაფლეთებად რომ გვაქცევს და არც აპირებს ამგვარი მსოფლიოს მზე ჩასვლა-ჩაქრობას. ორი ვეებერთელა საწუხარი – კარგაცა და ცუდიც არასდროს დასცილებია ერთმანეთს და არც ახლა აპირებენ უერთმანეთობას. არ იცვლება მარადიული სურათი, მაგრამ არც ამ რობაიების დაუნერლობა იქნებოდა, ვინაიდან სწორედ მათ და, საერთოდ, დიდ ხელოვნებას შეუძლიათ, ნაცხმარონ ადამიანს, ყველა ნათურა რომ არ გადაინვას მის გონებაში, ერთბაშად არ ჩაიქნოს ხელი წუთისოფელზე.

სწორედ ამის გამო მეჩვენება პოეტი ამ ოთხეულელებით შემოზღუდულ კაცად, ზოგჯერ ჩირალდანი რომ უჭირავს საბედნიეროს სათქმელად და უმეტესად მათრახი, რევეენტა გასარანდა.

ეს ლირსებანი მართლაც თვალსაჩინოა, მაგრამ უფრო დასაკვირვებელია სხვა მდინარებანიც: მაგალითად, სისადო-სიმარტივის თავისებობანი, კალმის ერთ მოსმას რომ ვეძახით, რომ არც გეუცხოება და თანაც ზმანობ, არც ისე იოლად იკვერება სიზუსტეცა და სიტყვა-სიტყვაზე მიკერებულობა, ნაკლებად ცნობილ მელოდისა რომ იახლებს ხოლმე და ცდილობს, არც გაცივდეს და არც გაგცილდეს, მეტიც, ზოგჯერ, რომ ვერ ეტევა სათქმელის სიუხვე-ბარაქიანობა ერთ ოთხკუთხედში, იქვე მორე წნდება, მერმედ მესამეცა და ათეულზეც გადადის, უკვე პოემა-რობაი იბადება, გახანგრძლივებული სიმძაფრე, ნაღვლიანობა და სვედიანი სერუნდები გადი-გამოდიან კიბორჩხალეზით, იქაცა და შენიც, ცოცხალი მკითხველო, მაგრამ საჩივართი კი არ აივსები, თითს კი არ უქნევ პოეტს, რომ ავადულა და ამოგადო ბუდიდან, არამედ, თუ უღრანში მიდის, მიჰყვები, თუ ტირის, შენც გეტორება, თუ გასახარისა სადმე, შენც სიხარულის ცრემლი გადმოგივარდება. ამას აყოლიება ჰქვია სიტყვათქმანზე, სიტყვამუსიკაზე, სიტყვამზიდილობაზე, სიტყვასიმართლეზე, სიტყვასიზუსტეზე, მოკლედ – სიტყვაზე. ელგუჯა მარლიას ხელშეუხებულ და გულმეკვლეულ რობაიების ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს შეუძლია ამის გაკეთება. და ზაალ ბარათაშვილის არ იყოს – მეტი რაღა გინდა, ვეჟო!

აქ დაეცხრები. მეტს აღარ გაავარძლებ. ბევრია თქმულიცა და გარკვეული ელგუჯა მარლიას რობაიების შესახებ საყურადღებო, გასახარებელი. შეიძლება იმ წერილებზეც გამოხმაურება, ჩემი ეს მომცრო შთაბეჭდილებებიც გამეშალა, ე.წ. „მეცნიერული ანალიზები“ ჩამეტარებინა და მძიმე-მძიმე უცხოური სიტყვებიც მომეშველებინა, შემდგომ მკითხველი რომ დამესაქმებინა და ხელში ლექსიკონი აელო, იქეთაც, აქეთაც, მაგრამ, ბოლოს, ისევ, რაც ახლა ვთქვი, იმაზე მეტი მინც არც სიგრძეში იქნებოდა, არც სიგანეში.

ურობაოდ მინც ვერ დავდექი და ესეც იყოს უკომენტაროდ:

დედოზარის რობაი  
ზარი რეკს, შემოთუბილი და სულისგამყინავი...  
როსტომ ჩხეიძის ფეხბურთსტატუსიდან

რეკს დედოზარი, საგანგაშო, სულგამყინავი,  
გულზე დაანვა ეკლესიას ცოდვის მყინვარი...  
ვაი, სამშობლოვ, მომაკვდავის გადავს ელფერი, –  
ხილულ მტერზედაც ვერავია სხვა – უხილავიც...



►► ბაბრძილა. დსაწყისი "ლს", № 2-6

შალვა საბაშვილი

ნების კალაქი

42. ახლა ცოტა დავასვენოთ მკითხველი და ვაჩვენოთ, რომ ზოგჯერ ისეთი შეცდომებიც გვხვდება, კლასიფიკაციამაც რომ ვეღარ მოუჭევთ. ისინი, უბრალოდ, მონაბოხნი, რომ მათი ავტორები თითქმის არ აკონტროლებენ საკუთარ ნაწერს, ისე ჩქარობენ ინფორმაციის მონროდებას.

ა) „საინტერესოა, რის მაქნისია საქართველოს ელჩი იტალიაში, რომლის შენახვაზე დიდძალი თანხა იხარჯება და რომელიც ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბიდან არის ამოღებული?“. ნახეთ, რამდენი უყურადღებობა! სიტყვა „რომლის“ უშუალოდ მოსდევს სიტყვას „იტალიაში“, ამიტომ ტექსტის სიტყვა-სიტყვითი აღქმისას იქნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იტალიის შენახვაზე იხარჯება ჩვენი დიდძალი თანხა და, ასევე (რახან წერია „და რომელიც“), თითქოს იტალია ამოღებული ჩვენი მოსახლეობის ჯიბიდან. ასეთი შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნას, „რომელიც“ უნდა მოსდევდეს სიტყვას „ელჩი“, ხოლო სრულიად უფუნქციო „და“ რომ მოვიშოროთ, დანარჩენი ტექსტის გარდაქმნაც მოგვიწევს. და მივიღებთ: „საინტერესოა, რისი მაქნისია იტალიაში საქართველოს ელჩი, რომლის შენახვაზე ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული დიდძალი თანხა იხარჯება?“ ცოტა გადატვირთული ნინადადება კი გამოგვივიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში რაიმე უზუსტობა, სადავო ან განსხვავებულად ნაკითხვის საბაზი აღარ არსებობს.

ბ) „ჩვენს სახელმწიფოს სახელმწიფოებრივად და ეროვნულად მოაზროვნე ჩინოვნიკების ნამდვილად უჭირს“. ამ ნინადადებაში ბურუსი ამკარად მეტია, ვიდრე სინათლე. თითქმის ყველა მონაკვეთი უხერხული ან სადავოა. რას ნიშნავს „ეროვნულად აზროვნება“ – ბუნდოვანია. „სახელმწიფოებრივად“ და „ეროვნულად“ თუ ერთსა და იმავეს ნიშნავს, მაშინ ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი იქნებოდა საკმარისი, ხოლო თუ სხვადასხვას, მაშინ გაუგებარია, აზროვნება ერთდროულად როგორ უნდა იყოს ორი სხვადასხვა სახისა. ამას გარდა, „ჩინოვნიკი“ ლამის დამტკამებულია, ყოველნაირ ფორმალობათა უსიტყვოდ შემსრულებლის სიმბოლოა და მის აზროვნებაზე, მით უფრო სახელმწიფოებრივზე საუბარი ირონიულ ღიმილს იწვევს. ისიც კურირიზებულია, სახელმწიფოს რომ მაინცადამაინც „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ ჩინოვნიკები უჭირს“. ეს ხომ იგივეა, წითელს წწორედ სინითლე არ ახასიათებდეს? აზრს კი არ ვიზუნებ, არამედ მისი მიზნობის ფორმას. „ჩვენს ქვეყანას“ მაინც დაენერათ! რას ნიშნავს : „სახელმწიფოს უჭირს ჩინოვნიკების?“ კერძოდ, ჩინოვნიკების რა უჭირს: მოძებნა, აღზრდა, დასაქმება თუ რამე სხვა? ან იქნებ ეს რაღაც იდიოზისებური წარმონაქმნია, როცა მსაზღვრელს („ჩინოვნიკების“) არ სჭირდება საზღვრული ობიექტი თუ სიტყვა? ძალიან ვეჭვობ! იქნებ ის უნდოდათ ეთქვათ, სახელმწიფოს ამგვარი ჩინოვნიკები ცოტანი ჰყავსო? მაშინ ასეც ეთქვათ! რატომ დგას სიტყვა „ჩინოვნიკების“ ნათესაობით ბრუნვაში? ისედაც, სახელმწიფოებრივად აზროვნება თვით ხელმწიფებებსაც იშვიათად ახასიათებთ და ამას ჩვენ რიგითი მოხელეებისგან ვითხოვთ? პირადად მე ამ ნინადადებას ვერაფერი გავეუფებ.

ვ) „აპარნელმა ხალხმა ან ატაშეს ძეგლი დაუდგა, როგორც ქვეყნის ინტერესებისთვის თავგანწირული ადამიანი“. ეს ნინადადება უფრონაღისტის კალამა შექმნა? რა გავიგოთ? ძეგლი დაუდგა, როგორც ადამიანი? ეგებ „როგორც ქვეყნის ინტერესებისთვის თავგანწირულ ადამიანს?“ უნდოდა ეთქვა? მერედა ეთქვა – ვინ შეუძლავს ხელი? ამკარად აცდენილი არიან აქ სიტყვები ერთმანეთს!

ამგვარ ნინადადებებთან ავტორისთვის კონკრეტული რჩევის მიცემა ძველია. მათ, უბრალოდ, მშობლიური ენის უფრო მეტ შეგრძნებას უნდა მიალწონ.

43. ზემოთაც დავწერე: ხანდახან რაღაც ინსტანცია თუ ადამიანთა კოლექტივი ქმნის ახალ, მანამდე უცნობ სიტყვას და იწყებს მის დაფინეულ დაკანონებას. ხალხიც მორჩილად ასრულებს განაწესს. არავინ სვამს კითხვას – სად იყო დღემდე ეს სიტყვა? რატომ ასე გვიან გამოვიდა ასპარეზზე? ნუთუ ის მოვლენა თუ საგანი, რასაც ეს სიტყვა აღნიშნავს, აქამდე ბუნებაში არ არსებობდა? ხოლო თუ არსებობდა, როგორ მოიხსენიებდნენ მას? თუ საერთოდ უგულვებელყოფდნენ და არ ეხებოდნენ? უკვე განვიხილე „ახალი“ სიტყვები: „იკავებს“ („უკავია“-ს აზრით) და „იკავებდა“ („ეკავა“-ს აზრით). ახლა შევეცხოთ „ახალი“ სიტყვას „პასუხისმგებელიანი“, რომელსაც იყენებენ ყველაფრის მიმართ, დაწყებული პარტიებიდან და დამთავრებული თუნდაც მერქვითი. თან ამ სიტყვის წარმომთქმელი უარეს სულიერ კმაყოფილებას გრძნობს, რომ „ღირსეულად“ პასუხობს თანამდროვეობის „გამოწვევებს“ და ძველურად „პასუხისმგებლობის მქონედ“ კი არ მოიხსენიებს ყოვლის ამწონ-დამწონ და შესაძლო შედეგათა ყოველმხრივად განმჭვრეტადამიანს, არამედ „პასუხისმგებლიანად“. ჩვენ კი გვიკვირს – რით სჯობს (ან შეედრება კი?) „ახალი“ სიტყვა „ძველს“? მართლაც, „პასუხისმგებლობის მქონე“ ისეთი ადამიანია, ვისაც ახასიათებს პასუხისმგებლობა თავის ნამოქმედარზე. „პასუხისმგებლობა“ კი არის მზაობა – პასუხი აგოს ყველაფერზე, რასაც ჩაიდენს. მაგრამ რაღაა „პასუხისმგებლიანი“? რაღაცის მქონე? მაინც რისი? „ცვრიანი მწვადი“ ისაა, რასაც ცვრის წვეთები ახლავს. „ნამიანი“ – რასაც ნამი აქვს მოფრქვეული. „ქუდიანი“ – ვისაც ქუდი ახურავს. „იანი“ რაღაცის ქონაზე მოუთითებს. მაგრამ „პასუხისმგებლიანს“ რა აქვს? თუ დავშლით ამ სიტყვას ნაწილებად, გამოვა, რომ, მას აქვს „პასუხისმგებელი“. მაგრამ როგორ შეიძლება „გქონდეს“ რაღაც თითოელობის მქონე პირი? ასეთი მხოლოდ თვითონ შენ შეიძლება იყო ან იყო. გასაგებია: „ჩინოვანი“, „ზეთიანი“, „გემოვნებიანი“, „ალერსიანი“, „ახალისიანი“, მაგრამ „პასუხისმგებელიანი“, ანუ „პასუხისმგებლის მფლობელი“ ბუნებაში ადეკვატური შესატყვისის არქონე ცნება და ამიტომ გრამატიკულადაც გაუმართლებელია.

მოვიტან მაგალითს: „მმართველ პარტიას, როგორც პასუხისმგებლობის პოლიტიკურ ძალას, ერთი დღე არ შეუწყვეტია კომპრომისების ძიება“. მიმანია, რომ უნდა იყოს „პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკურ ძალას“, რადგან ის, რაც ამ ძალას აქვს, არის „პასუხისმგებლობა“. „პასუხისმგებელი“ კი მას არა აქვს და არც შეიძლება „ჰქონდეს“.

მეორე ნიმუში: „ამ წერილის მიზანი არის ის, რომ როგორც საზოგადოების პასუხისმგებლობა წვერმა, კიდევ ერთხელ დაგანახოთ, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე“. კომენტარიც არ უნდა – ზუსტად იგივე სიტუაციაა, როგორც ნინა ნიმუშში, ოღონდ იქ „პასუხისმგებლობა“ გამოდიოდა პარტია, აქ კი კონკრეტული ადამიანი. ცხადია, უნდა იყოს „როგორც საზოგადოების პასუხისმგებლობის მქონე წვერმა...“ (მინაარსობრივად კიდევ უფრო ზუსტით იქნებოდა „პასუხისმგებლობისთვის მზადყოფნა“, ხოლო გარეგნულად უფრო კომპაქტური – „პასუხისმგებელმა“). სიტყვა „პასუხისმგებლობის“ ხმარების ნიმუშები პრესაში უთვალავია.

ამ ყველაფრის გააზრებისას დამეცვა სიტყვამ: „უპასუხისმგებლო“, რადგან სიტყვა-სიტყვით იგი აღნიშნავს იმას, რასაც არა აქვს „პასუხისმგებელი“. ასეთი რამის „არქონა“ კი ისევე შეუძლებელია, როგორც მისი „ქონა“. ხანგრძლივი ფიქრის მერე დავასკვენი, რომ სტრუქტურულად, მისი „შემომღების“ აზრის მდინარეების გათვალისწინებით, „უპასუხისმგებლო“ არის იგივე „უპასუხისმგებლობა“, ანუ ასეთი განიზრახვოდა თავიდან მისი წერილობითი თუ ბერითი სახე, რომელიც ბოლო გაუცნობიერებელი კანონით „შემოკლდა“ – ჩამოსცილდა ენის მარცვლი „ბო“ (ეს შესაძლოა მომხდარიყო ამ სიტყვის ფორმირების პროცესშივე ანუ მისი „ანონ-დანონის“ მსვლელობაში, ან შემდგომ, ბუნებრივ სამეტყველო პრაქტიკაში). „პასუხისმგებლობიანი“ კი განსხვავებული სტრუქტურისაა – მასში „ობ“ სიტყვის შუაშია მოქცეული და არა ბოლოში – ამიტომ იგი ამკვრივ „შეკვცას“ არ ენარცხვის – პირიქით, მიუღვეკლია განვრცობისკენ („პასუხისმგებლობის მქონე“-დ). არც შესუკვეციათ ჩვენი ნინაბრებს და ამიტომაც არ გვხვდებოდა ბოლო ნღვამდე სიტყვა „პასუხისმგებლიანი“. გამორიცხული არაა, რომ იგი მისმა თანამედროვე „შემომღებლებმა“ „უპასუხისმგებლო“-ს თარგზე მოჭრეს, ამ უკანასკნელის სტრუქტურის პირობითობის გათვალისწინებულად და მისი მარტივი შებენების გზით. ასეა თუ ისე, თავდაპირველ აზრზე ვერბო: სიტყვა „პასუხისმგებლობის“ სტრუქტურულად მცდარია და ენაში მისი დამკვიდრების დაფინეულ მცდელობას ვერ მივესალმები. ...13000

44. ორმაგი უარყოფის ძნელად მისახვედრი ეფექტი.

ეს კიდევ ერთი, გარეგნულად მაცდური ფენომენია, როცა მოსაუბრე უნებლიეთ ამბობს იმის საპირისპიროს, რისი თქმაც სურს. ამას ზოგჯერ რალაისი დაუფინებელი უარყოფის მცდელობა იწვევს. „წარმომთქმელს“ ამ „რალაისის“ ერთი უარყოფა ეცოტავება, ამიტომ უარყოფს მეორედაც, მაგრამ ღრმა ჩაკვირება ნათელყოფს, რომ მეორე ჯერზე მან თავისთვის მიუღებელი რალაც კი არ უარყო, არამედ მისი პირველი უარყოფა გააბათილა. მეტიც, საბოლოოდ გამოუვიდა, რომ ის, რის მიუღებლობაშიც მტკიცედ უნდოდა დაკვირვებუბინეთ, სინამდვილეში მისთვის ძალიან ძვირფასია.

ამ დაუჯერებელ ფაქტს ადასტურებს ამონერილი ნიმუში: „მე ჩემი მეგობრების უნახაობის გარეშე ერთ დღესაც ვერ ვძლებ“ (ტექსტი აზრობრივად აბსოლუტურად ზუსტადაა მოტანილი). ზოგმა ჩემმა თანამოსაუბრემ აქ ეკონკრეტული შეცდომა ვერ დაინახა, და არც ის მჯერა, რომ ჩემი კომენტარების შემდეგ ისინი ბოლომდე გაერკვნენ ხარეზის არში. სიტუაცია კი დამაბნეველია. ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ ძალიან უყვარს მეგობრებთან შეხვედრა (ეს დანარჩენი თხრობიდან ირკვევა), სინამდვილეში კი გვეუბნება, რომ მისთვის მათი ხილვა აუტანელია. რატომ ხდება ასე? ან მართლა ხდება კი? იქნებ მოტანილი ფრაზაში მართლაც მეგობრებთან შეხვედრების გარეშე ცხოვრების აუტანლობა გაცხადებული? ამის ჩვენება ვერ ტერმინთა ზუსტი განსაზღვრებით ვცადე, მაგრამ ყველაფერი უფრო გაბუნდოვანდა. ახლა იმავეს უკვე მკითხველის ნინაზე ვცდი! ჯერ ჩამოვწერ მარტივ, ცხად დებულებებს: 1. „ნახვის“ საპირისპირო „უნახაობა“. 2. „ნახვის გარეშე“ იგივეა, რაც „უნახავად“. 3. რაიმეს საპირისპირო საპირისპირო თვით ეს რაიმეა (მაგალითად, ჩრდილოეთის საპირისპიროს (ანუ სამხრეთის) საპირისპირო ჩრდილოეთია. ვგონებ, ჯერჯერობით მეთანხმებით. ახლა ოდნავ „დავწუროთ“ განსახილველი ნინადადება: „მეგობრების უნახაობის გარეშე ვერ ვძლებ“. იმის გათვალისწინებით, რომ „რის გარეშეც ვერ ვძლებ, ის კარგია“, ბოლო ნინადადებად გამომდინარეობს, რომ „მეგობრების უნახაობა კარგია“, აქედან კი ის, რომ „მეგობრების ნახვა ცუდია“. და ავტორმა თავს საპირისპირო იმისა, რისი თქმაც უნდა.

მეორე გზა: ავტორს სურდა ეთქვა: „მეგობრების ნახვის გარეშე ვერ ვძლებ“. მან თქვა: „მეგობრების უნახაობის გარეშე ვერ ვძლებ“. თუ ეს ნინადადებათი აზრობრივად ერთმანეთის იდენტურობა, მაშინ ასევე იდენტურობი იქნებოდა „უნახაობის გარეშე“ და „ნახვის გარეშე“, ანუ, საბოლოოდ, იდენტურობი იქნება „უნახაობა“ და „ნახვა“, რაც აბსურდია. ანუ ავტორი შეცდა – თქვა განზრახვლის სინამდვილედგეო.

ამგვარი მსჯელობანი ფორმალური ლოგიკის სფეროს განეკუთვნება და იქ ყველაფერს მეტი დახვეწა ესაჭიროება, მაგრამ მკითხველისთვის არის ამ დონეზეც ნათელი უნდა იყოს. ოღონდ იკითხავთ – ორმაგი უარყოფა სადღააო. სად და სულ ახლოს! მივყვით მსჯელობას. ავტორისათვის მეგობრების ნახვა კარგია. მათი უნახაობა (ეს პირველი უარყოფაა!) ცუდია. ამიტომ ჯერ მოიფიქრა: „მეგობრების უნახავად ვერ ვძლებ“. მერე მოისურვა მტკიცების გაძლიერება და „უნახაობა“ შეცვალა „უნახაობის გარეშე“-თი („გარეშე“ მეორე უარყოფაა!), ანუ გვითხრა: „მეგობრების უნახაობის გარეშე ვერ ვძლებ“. სინამდვილეში კი ამ „გაძლიერებამ“ გააბათილა პირველი უარყოფა, რადგან „უნახაობის გარეშე“ იგივეა, რაც „ნახვა“, და ხელი შეგვარჩა აზრი: „მეგობრების ნახვას ვერ ვიტან“. ეს ნიუანსი ყველა ავტორის მიერ გასათვალისწინებელია.

თუ ვინმე მაინც დარჩა ძველ აზრზე, რომ „მეგობრების უნახაობის გარეშე“ ვერ გაძლებს, მაშინ მის გადარწმუნებას სხვა მსგავსი ნინადადებების დახმარებით ვცდი. ვეკითხები: თვითონ ის თუ გაძლებს „უშუქობის გარეშე“? „უშუქობის გარეშე“? „უფულობის გარეშე“? ვერა? მაშინ გამოდის, რომ უშუქობაც, უშუქობაც და უფულობაც ბრწყინვალე რამ ყოფილა, შუქის, პურის და ფულის ქონა კი უბედურება. ასეა?

ზემოგანხილული დაუფიქრებლობა მარტო ერთ ავტორს არ დამართნია. ახლახან ერთ ძალიან კარგ წერილშიც შემხვდა ფრაზა, რომელიც ასე უღერდა: „ჯერჯერობით ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მოუგვარებლობის გარეშე ვრჩებით“ (ზუსტი ციტატა ვერ მომეცა, მაგრამ აზრი და ძირითადი საკამათო ადგილი – „მოუგვარებლობის გარეშე“ – აბსოლუტური სიზუსტითაა აქ მოტანილი). სიტუაცია ემთხვევა ზემოთ განხილულს. ავტორს სურს თქვას, რომ საკითხი მოუგვარებელი (ანუ მოუგვარებლად) რჩება, მაგრამ „მოუგვარებლად“ სხვადა „მოუგვარებლობის გარეშე“ სულ სხვა, მისი საპირისპირო, იმიტომ, რომ „მოუგვარებლად“ ნიშნავს „მოგვარების გარეშე“-ს. მამასადავამ, ავტორს უნდა დაენერა, რომ „საკითხი „მოგვარების გარეშე“ (ან „მოუგვარებელი“) რჩება“. „მოუგვარებლობის გარეშე“-ც სწორედ ორმაგი უარყოფის ნიმუშია – პირველს ასო „უ“ ახორციელებს, მეორე კი კავშირი „გარეშე“-ს. მეორე უარყოფა პირველს აბათილებს, რის გამოც „მოუგვარებლობის გარეშე“ დარჩენა საკითხის „მოგვარების“ ეკვივალენტურია. ანუ ავტორმა უნებლიეთ სათქმელის საპირისპირო მოგვახსენა.

45. მცდარი გრამატიკული ფორმების წარმოშობა სხვა ენათა გავლენით

ყველაასათვის ცნობილია, რომ, ისტორიის საკმაოდ გრძელ მონაკვეთებში, საქართველოს რამდენიმე სხვადასხვა მძლავრი სახელმწიფოს შემადგენლობაში ან მათი გავლენის სფეროში მოუხდა ცხოვრება, რასაც არ შეიძლებოდა დიდი ზემოქმედება არ მოეხდინა ქართულ ენაზეც. საბედნიეროდ, ეს ძირითადად გამოიხატებოდა ზეპირმეტყველებაში (თუმცა მერე, თანდათან, უკვე წერილობით პრაქტიკაშიც) უცხოენოვანი ლექსიკის მზარდი შემოჭრით (ასეთ რაიმეს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ვერც მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე მძლავრი ქვეყნები ასცდნენ), და ვერ ეხებოდა ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურას. ამ ამბობს ჩვენი ენა მრავალჯერ უფრო შეუღწეველი და აუღებელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენივე ციხე-სიმაგრეები. და მაინც, თუნდაც ის ლექსიკური თავსმოხვევანი უნდა თანდათანობით შერბილდეს და განეიტრალდეს უძველესი ქართული ლექსიკის ნინ წამოწევიით (ჯერაც ბევრს ეხსოვება, თუნდაც რა საგრძნობლად იყო გამოდევნილი ყოფა-ცხოვრებიდან ქართული სიტყვები რუსული შესაღწევისების მიერ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ).

მაგრამ ქართულ სახელმწიფოებთან რუსული ანალოგიებით პირდაპირი შეცვლის გარდა (სტოლი, სტაქანი, პოლი, ... მაგიდის, ჭიქის, იატაკის ... ნაცვლად), ხდებოდა შედარებით შეუმჩნეველი, არაპირდაპირი შემოჭრაც, რაც გამოიხატებოდა ქართულ ტერმინთა წარმოქმნით, ოღონდ არაქართულ, კერძოდ რუსულ ტარზე, რუსული ენის სტრუქტურის შესაბამისად. ეს საკითხიც შესასწავლია და ის, რისი გამოხატობაც ვერ კიდევ შესაძლებელია, გამოსასწორებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი რამ უბრალოდ რუსული ენის არასაკმარისი ცოდნით იყო გამოწვეული, ანუ ამ შემთხვევებში უნებლიე შეცდომებთან გვაქვს საქმე და არა ნინასწარგამიზნულ ძალმომრეობასთან. მაგრამ არსს ეს არ ცვლის – დამახინჯებანი უნდა გამოვინდევს.

სულ ორ მაგალითს მოვიტან ამ ხრივ.

ა) ნინა საუკუნის შუახანებში, ჩემს ბავშვობაში, იმ ადგილებში, სადაც რკინიგზას საავტომობილო ან შიდასასოფლო გზები ჰკვეთდნენ, ბოძებზე მიჭედებული, დიდი ასოებით შესრულებული, ადვილად შესამჩნევი ნარწერები იყო: „გაუფრთხილდით მატარებელს“. სულ მივიკრდა, ამხელა გიგანტებს (მატარებლებს) რა გაფრთხილება უნდათ, ჩვენ საკუთარ თავს უნდა გავფრთხილდეთ, რათა რკინიგზაზე გადასვლისას უბედურებას არ გადავყაროთ-მეთქი. მერეღა გავიაზრე, რომ ეს იყო გრამატიკული შეცდომა რუსული „Берегись поезда“-ს თარგმნისას. ქართველ „მთარგმნელთათვის“ ძნელი იყო სრულად გაეაზრებინათ რუსული ენ. უკუქცევითი ზმების შინაარსი. მართლაც, „Береги“ კი ნიშნავს „გაუფრთხილდით“-ს, მაგრამ „Берегись“ უკვე „მოერიდე“-ს ეკვივალენტურია, ანუ რუსული ნარწერა გვეუბნებოდა – „უფრთხილდი მატარებელს“ და ასეც უნდა ყოფილიყო თარგმნილი. მსგავსი სიტუაცია სხვა სფეროებშიც შეიძლება იყოს და ადრეც გვხვდებოდა, მაგალითად, მალაიკის ძაბვის არეგები ნარწერები: „არ შევხვ, სასიკვდილოა“. ამაზეც ვიციონოდ ხოლმე – „სასიკვდილოს“ ჩვენთან იმათ უწოდებდნენ, ვინც სიცოცხლის ღირსი არ იყო. რომელიც უსულო აპარატურა კი არა „სასიკვდილო“, არამედ მომავლითელი იქნებოდა!

ბ) ძალიან მკვირვებდა ქართულში დამკვიდრებული გამოთქმა „სიყვარულის ახსნა“. ძნელად წარმოგედგინა, რანაირად უნდა აეხსნათ ერთმანეთისათვის 15 წლის გოგონებსა თუ ბიჭუნებს, თუ რას ნარმოადგენს ეს ურთულესი ფენომენი, რომლის სრულად კომენტირება თვით შოთა რუსთაველსაც გაუჭირდა. ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ აქაც რუსული უკუქცევითი ზმნა იყო „დამნაშავე“. ამკარაა, რომ „სიყვარულის ახსნა“ სწორედ რუსულიდან შემოვიდა ქართულში ამ ენასთან ჩვენი მჭიდრო კონტაქტის ენობრივ. მამასადავამ, ვერ გავარჩიეთ, რომ „ОНЬЯСНИТЬ В ЛЮБИИ“ სულ სხვაა და „ОНЬЯСНИТЬ“ სხვა. პირველი ნიშნავს სიყვარულში გამოტყდომას (ანუ როცა ერთი ადამიანი მეორეს ამცნობს, რომ მას იგი უყვარს), მეორე კი ახსნას (გაკვეთილის ახსნა, ტერმინის განმარტება და სხვ.). აქედან გამოდინარე, ქართულ ტექსტებში შენახვილი ყველა „სიყვარული აუხსნა“-ს ტონის გამოთქმები უადგილოა, მცდარი, არაზუსტი, არაქართული. მათ ნაცვლად უნდა იყოს „სიყვარულში გამოტყდა“, „სიყვარული გაუმტლავნა“, „სიყვარული ამცნო, აუწყა“, „უთხრა – მიყვარხარო“ და ა.შ. ფორმა ბევრი მოიძებნება, მით უფრო მხატვრულ ტექსტებში. მაგრამ „ახსნა“ რომ ექ უნდა იყოს არსად, ეს ცხადია.

და უცბე ეჭვმაც გამკრა – ხომ არ ექორწინებ გრამატიკულ ნრებში, რომ ის, რაც უკვე დიდი ხანია იხმარება, კიდევაც დაკანონებულად ითვლება ენის მიერ? არ ვიცი, ეს ცალკე მხარეა საკითხისა (ეს ესაა, ჩავიხედე ქველში და: „სიყვარული აუხსნა“ თურმე უკვე „სასაუბრო“ მეტყველების ნიმუშად ითვლება. თითქოს სასაუბრო ენა ლიტერატურული ენის საფუძველი არ იყოს!).

მსგავსი, რუსული ენის თარგმნილი მჭიდრო ქართული გამოთქმები ალბათ სხვაზე ბევრია და მოძიება უნდა. აქ მეტად აღარ ჩავლრმავდები. ალბათ შესასწავლი იქნება ჩვენს ენაზე სხვა, უფრო ძველ ეპოქებში მოხდენილი გავლენებიც.

# მზის ხანის ნიშნები ქართულ პითოსში ბრიტოლ რობაქიძის შემოქმედებით ნააზრავის მიხედვით

გრიგოლ რობაქიძე თავად აღნიშნავს, რომ მისი შემოქმედება მითოსსა და სიმბოლოებს დგას (იხ. მისი ნაშრომი „სათავისი ჩემი შემოქმედების“). მითოსს ქართველი ავტორი გააზრებს გოეთეს ურფენომენის მოძღვრებაზე დაყრდნობით, რომელსაც შემოქმედებით მეტოდად აქცევს. ამავე სწავლებას იყენებს ის ტრადიციის ცნების გადასაზრებლადაც. რობაქიძე ტრადიციის სათავეს ხედავს არა ისტორიულ, არამედ მითურ დასაწყისში. მისი თქმით, სწორედ მითურ დასაწყისში ნარმოიშობა პირველხილვა და პირველმოქმედება. მითურ ხილვაშივე ნარმოიშობდება მზის, იგივე სოლარული ხანის ნიშნებიც.

მცენარეებზე ერთნაირი დაკვირვების შედეგად, გოეთემ დაასკვნა, რომ განვითარების ყოველ ეტაპზე მცენარის თითოეული ნაწილი პოტენციურად შეიცავს მთლიანი მცენარის აღმოცენების შესაძლებლობას. გოეთეს აზრით, მცენარის ცალკეულ ნაწილთა აღნიშნული შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ ეს ნაწილები ატარებენ მთლიანი მცენარის შინაგანსახეს, ანუ თაურფენომენს. მცენარის შემთხვევაში თაურფენომენი არის პირველმცენარე. „ამ რიგად: „პირველმცენარე“ შინაგანი სახეა მცენარის და როგორც ასეთი, ასე ვთქვათ, მისი მითური რეალობა“ (გრ. რობაქიძე 2012: 87). აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, ემპირიული სინამდვილის მრავალსახეობებს საფუძვლად უდევს ერთი, საყოველთაო შინაგანი. მცენარის შემთხვევაში გამოდის, რომ მცენარეთა მრავალფეროვნება თავმოყრილია პირველმცენარეში, ანუ ერთი, საყოველთაო მცენარისეულ ურფენომენში (გრ. Urphänomen – პირველსახე, სიმბოლო). ქართველ მწერალზე ამ აღმოჩენამ უდიდესი გავლენა იქონია: „გოეთეს მოძღვრება ურფენომენის შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა“ (გრ. რობაქიძე).

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ ჰესიოდე კაცობრიობის ისტორიას ჰყოფს ოთხ ხანად: ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის. ქართველი მწერლის თქმით, ამ პერიოდთა ცვლა უნდა წარმოვიდგინოთ არა ისტორიულად (მაგალითად, ოქროს მერე ვერცხლის მოდის, შემდეგ სპილენძის), არამედ მითურად იმის მიხედვით, როგორ დადგინდა მითური რეალობა და არაღვთიური ერთმანეთს. პირველი ხანა მიჩნეულია მზის ხანად. მზის პერიოდს ახასიათებს თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც, რობაქიძის აზრით, გამოვლენილია ქართველთა მითურ ხილვაში. ამ მოსაზრების დასაბუთებლად, მას ქართული ყოფიდან მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში“. ეს ნიშნავს, რომ მტევანი დამნიფდა. რობაქიძე წერს: ერთია, რომ თვალი აქ მზის სიმბოლოა და მეორე, რომ „მზე თვალად ისხმის მტევანში და თვალურ აესებს მას, ამნიფებს“. მზის თვალის ჩასვლა მტევანში და

მისი დამნიფება პროცესია. აქ ქართველი მოაზროვნე ხედავს მზისა და მტევნის ურთიერთქცევის ამბავს, რაც, მისი აზრით, მითოსია. ის პარალელს ავლებს პლოტინის „თვალი მზიურთან“



და გოეთეს ერთ სტრიქონთან: „თუ არ იყოს თვალი მზიურ, ვით შექმნოს მას ხილვა მზისა“. მისივე შენიშვნით, პლოტინთან და გოეთესთან თვალთა მზიური, ხოლო ქართველი მევენახისთვის კი თვალი მზეა თვითონ.

რობაქიძე ასევე გამოთქვამს საკუთარ ჰიპოთეზას სვასტიკის შესახებ. სვასტიკა არის ბორბალში მოქცეული კაკვიანი ჯვარი. აქ ბორბალი მითითებს მნათობის კოსმიურ ბრუნვაზე. მისი შექმნის დროს ურემი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ქართულ ენაში კი გვხვდება „ურმის თვალი“. მისი აზრით, აქ თვალში სწორედ ბორბალი იგულისხმება. ამდენად, ქართულ ხილვაში ნარმოიშობა სვასტიკა. ამ ხილვაში მზე მიჩნეულია თვალად, ურმის გამოვლენისას ბორბალი ჯვარისა გადმოვიდა თვალად, როგორც საგანი.

გრიგოლ რობაქიძე შენიშნავს, რომ ქართველები ფიციასს მეტყველებაში ვიყენებთ ფრაზებს – „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“. ის ამაში ადაამიანის მზესთან თანაზიარობის იდეას ხედავს. ამავე იდეის გამოვლინებად მიაჩნია სტრიქონი „ვეფხისტყაოსნიდან“: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“, რომელიც ქაჯეთის ციხეში დატყვევებულმა ნესტანამ მისწერა ტარიელს. ქართველი მწერალი იქვე დასძენს, რომ ნიკო მარი ამაში ნეოპლატონიზმს ხედავდა, მაგრამ არ იცოდა, რომ თავად ნეოპლატონიზმში მზესთან თანაზიარობის იდეა სწორედ სოლარული ხანიდან გადავიდა.

მზის ნიშანს ხედავს რობაქიძე ვაზის ჯვარშიც: „ქრისტესს ჯვარს ჩვენში არ შეუმუსრავს უძველესი სიბრძნე: პირიქით, სწორედ მზეში გამობრწყინდა ქრისტიანობის უღრმესი არსი. ამის საუკეთესო სიმბოლო ვაზის ჯვარია“. მისი თქმით, ვაზის ჯვარში მზე და მინაა შეუღლებული. მართალია, ვაზის ჯვარი ისტორიულად, მაგრამ ის ისეთი სიღრმით ვლინდება, რომ მითური ხილვის სინამდვილედ გვევლინება.

გრიგოლ რობაქიძე ფართოდ მიმოიხილავს მზისა და ქართველების კავშირს რომანში „მცველნი გრაალისა“. აღნიშნულ ნაწარმოებში ის წერს, რომ მცხეთელ მოგვებს ჰქონდათ ცოდნა მზის შესახებ, რაც მიგვანიშნებს ქართველების იდუმალ, ღრმა კავშირზე მზესთან, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ წარმართულ საქართველოში. რობაქიძის აზრით, შემდგომში ეს ცოდნა და, საერთოდ, მზის თაყვანისცემა, შეესისხსორცა ქართულ ქრისტიანობას.

მზისა და ქართველების კავშირის რობაქიძისეული ხედვის ნამოსაზრებად, საკმარისია გავიხსენოთ „მცველნი გრაალისა“ მთავარი გმირის, ლევან ორბელის (რომლის პროტოტიპიც თავად გრიგოლ რობაქიძეა), სადღეგრძელო. ორბელის სიტყვა ასე იწყება: „ჭეშმარიტად მზის ნიშნულია საქართველო“. მისი თქმით, ქართულ შეგნებაში სიცოცხლე მზის ნიშნითაა აღბეჭდილი, რაც, მისი აზრით, ნიშნავს, რომ მზის რჩეული ადაამიანი ყოველ წუთს მზადაა საკუთარი თავის მზესავით განაჩუქებულად. მზე ხომ თავის ნათელს, სხივებს უანგაროდ ჰვენს სამყაროს. თუმცა ადაამიანისაგან საკუთარი თავის მზესავით უანგარიშოდ გაცემას გამბედაობა სჭირდება. ორბელი აღნიშნავს, რომ ვინც ამ გამბედაობას გამოიჩინებს, მხოლოდ ის დაამორჩილებს ბედს-წერას. ასე ესახება მას ჭეშმარიტი ბედნიერების შეცნობის გზა. ლევან ორბელი ფიქრობს, რომ ქართველისთვის ცეცხელი და მზე ყოფიერების არსი და სიმბოლოა. მას მაგალითად მოჰყავს თემურ ლენგის ისტორიოსის დასკვნა: ქართველებს მოთმინება არ აქვთ, სულსწრაფები არიან და მთელ თავიანთ ძალას პირველივე შეტაკებისას ხარჯავენო. ორბელი ამ დასკვნას ეჭვის თვალთა უყურებს. მისი აზრით, ქართველს მოთმინება აქვს და მტკიცე ხასიათიც, უბრალოდ, ერთია: ის არაფერს ანგარიშობს, რადგან მზით სულდგმულობს, მზის ნიშნულიანი ქვეყნის შვილია და ცივი გონებით გათვლა არ ეხერხება. როგორც ზემოთ ვთქვით, მზეც ხომ არ ანგარიშობს თავისი ნათელის გაცემას. აქ სადღეგრძელოს წარმოქმნილი აღნიშნავს, რომ ქართულში ანგარიში ანგარებას უკავშირდება. მაშასადამე, ქართველი არ ანგარიშობს, ის უანგაროდ გაცემს საკუთარ თავს, განსაკუთრებით, სიყვარულში. ამის საუკეთესო მაგალითი კი, ორბელის თქმით, „ვეფხისტყაოსანია“, რომელიც მზიურ სიყვარულს აღგვიწერს.

რობაქიძის მოსაზრებით, ოქროს ხანაში ჩამოყალიბებული იყო გარკვეული წმინდა იერარქია, რომელიც აისახა ქართულ ყოფაშიც. ავტორს ამის მაგალითად მოჰყავს შემდეგი: მანდილოსანს ვკოცნით, ხატს ვეამბორებით. დარბაზში ვმღერით, სალოცავში ვგალობთ. საღვთო წერილისთვის ვიყენებთ ხუცურს, საერო წიგნს ვწერთ მხედრულით. კაცს მივმართავთ ბატონოთი, ღმერთს – უფალოთი.

ის საკრალურ ბუნებას ხედავს სიტყვაში „უფლება“ და აღნიშნავს, რომ უფლება უფლისგან მოდის და არა ბატონისგან.

რაც შეეხება ხელმწიფეს, რობაქიძის აზრით, აქაც საკრალურობასთან გაქვს საქმე. ქართველი მწერლის განმარტებით, ხელი, კულტურული თვალსაზრისით, ზღვარს სდებს ადაამიანსა და ცხოველს შორის. მაშასადამე, ყველაზე მეტად მის მნიშვნელობას ვინ უნდა გრძნობდეს, თუ არა მმართველი, ხელმძღვანელი. მისი ხელი უნდა იყოს მწიფე. მწიფე გულისხმობს მდიდარსა და უხვს. ის იშველიებს მიხილწერეთლის აზრსაც, რომ მწიფე ნიშნავს მინდომასაც, ანუ მწიფე ხელით მინიშნებულია მწვდომელზე, ე.ი. ადაამიანზე, რომელიც უნდა მისწვდეს ისეთ რამეს, რაც სხვებისთვის მიუწვდომელია.

გრიგოლ რობაქიძე იქვე გვამცნობს სოლარული პერიოდისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ ძალიან საინტერესო ნიშანს იმავე ხელმწიფესთან მიმართებით. ოქროს ხანაში მმართველი მეფეც ყოფილა და მღვდელიც. ანუ ერთ პიროვნებაში ერთიანდებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო ძალაუფლება. მაშასადამე, ქართველი მწერლის მტკიცებით, ხელმწიფეში მოცემულია მთელი კონცეფცია „Priester-könig“-ისა, ანუ მღვდელ-მეფისა. ქართველთა მღვდელ-მეფე კი, მისი თქმით, არის დავით აღმაშენებელი. აღმაშენებელი თავის მოჭრილ მონეტაზე საკუთარ სახელს ტვიფრავდა ხან როგორც „ხრმალი ქრისტესი“, ხანაც როგორც „ყმა ქრისტესი“. რობაქიძე მიიჩნევს, რომ პირველ შემთხვევაში იგულისხმება მეფე, მეორეში კი – მღვდელი.

გრიგოლ რობაქიძე ასევე გამოყოფს ქართულ სიტყვაში ნარმოიჩნილ მზის, მზიურობის ნიშნებს. ამის მაგალითად ის მოიხსენიებს რამდენიმე ქართულ სიტყვას. ქართველი მოაზროვნე ფიქრობდა, რომ სიტყვა – მზერა – მოდის მზიდან („მზე მზერს“, „ადაამიანიც მზერს“, ანუ უმზერს, უყურებს საგანს ან მოვლენას). მისივე აზრით, მზესთანაა დაკავშირებული სიტყვა დამარხვა, მარხვა კი იგივე დამარხვაა. „მზე თითქოს „იმარხება“ ზამთარში, ებრძვის სიბნელეს. სძლევა მას, შემდეგ ამოდის, იშლება ნათელი, „იხსნება“.

მზესთან თანაზიარობის, ნილობის იდეის გამოვლინებად მიაჩნია რობაქიძეს ქართული ზმნის უნარი – ანარმოოს მარადი მყოფადის დრო. მისი თქმით, მითური დრო არის მარადი ანმყო, რომელიც ვერ იქცევა წარსულად, ხოლო მომავალს თავის თავში გულისხმობს. ნესტანი ტარიელს წერს, არა გნახავ, ან დაგსახავ, არამედ გნახო, დაგსახო. ქართველი მწერალი ხაზს უსვამს იმას, რომ ქართული ზმნის ზემოაღნიშნული უნარი აძლიერებს თავის მზის ნილად აღქმას, მარადიულ განსხვავებას.

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით ნააზრავის თანახმად, ქართველთა მითური ხილვაში ვლინდება მზის ხანის ნიშნები. ისინი წარმოიჩინილია ქართველი ხალხის როგორც ყოფაში, ისე მათ ენაში და ხასიათში.

**ირაკლი რობაქიძე**

# ოთარ ჯანელიძე - 70

საქართველოს უახლეს ისტორიაში არცთუ მცირედი მეცნიერული ნაკვლავია ისეთი, რომელიც კონიუნქტურითაა დალდასმული. XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის პერიოდი ჩვენი ქვეყნისათვის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ვენებათაღვლევათი იყო დატვირთული და იდეოლოგიისადმი ბეგარის გადახდის მიზნით, კონიუნქტურულმა მომენტმა ბევრი რამ შეცვალა და გადაასხვაფერა ამ ისტორიაში. ჩვენს თაობას კარგად ახსოვს ტომეულუბის ლაშქარი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით რომ უნდა გამოეწვრთნა ჩვენი გონება... ახლა ამ ნიგნებს ბუკინისტური მალაზიის ბნელ კუთხეში თულა წაანყდება ადაამიანი და მათმა გადაშლამ შეუძლებელია, სინანულის გრძნობა არ მოგვგვართ დახარჯული შრომის გამო, რომელთაც ჭეშმარიტ ისტორიულ სიმართლესთან არაფერი აკავშირებთ.



ჩვენ გვახსოვს ისტორიკოსების ის მცირე ჯგუფიც, რომლებიც თავიანთ შრომებს არ იწყებდნენ კანონად ქცეული მარქსიზმის კლასიკოსთა ციტატებით და დისიდენტური სიჯიუტით ცდილობდნენ ისტორიის სიმართლით გაშუქებას (შეუძლებელია აქ არ ვახსენო ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი ბატონი უშანგ სიდამონიძე). არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ პროფესორი ოთარ ჯანელიძე, როგორც მეცნიერი, ამ ჯგუფის მენტალობითაა განმსჭვალული, მან ბევრი რამ ისწავლა და გადახარჯა წინა თაობის კოლეგების მემკვიდრეობიდან და აირჩია გზა ისტორიკოსისა, რომელიც თავისუფალია კონიუნქტურის უსიამო ლაქებისაგან. აქედან გამომდინარე, ოთარ ჯანელიძის მეცნიერული მოღვაწეობა სრულიად შესაძლებელია შეფასდეს მაღალი პროფესიონალური ნიშნით, რომელიც შორსაა ყოველგვარი მიკერძობისაგან და მასში მხოლოდ ამოიკითხება ობიექტურად მოაზროვნე ისტორიკოსის პოზიცია, – ასე პატივსაცემი და დასაფასებელი ასეთივე ობიექტურად განწყობილი მკითხველისაგან.

ოთარ ჯანელიძის ამ თვისებათა ჭეშმარიტებას ადასტურებენ მისი ისეთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, როგორებიცაა: ნიგნები ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი მანაბლის შესახებ, სპირიტუალ კედისა ცხოვრების მატინე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ტრაგიკული თავგადასავალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია, ნარკვევების ციკლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან, ქართველი მოღვაწეების: დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარისა, მიტროფანე ლალიძის და ჩვენი სხვა თანამემამულე მრწველთა მადლით მოსილი ქველმოქმედების წარმოჩენა, საქართველოს თანამედროვე ისტორია, სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოცემული აქ თუ უცხოეთში. ისტორიკოსი არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილეა, რაც მის ფართო აღიარებაზე მეტყველებს.

ოთარ ჯანელიძე ჩინებული პედაგოგი და სტუდენტებისათვის პატივსაცემი ლექტორია. საზოგადოების ინტერესსა და დადებით შეფასებას იმსახურებს მისი საჯარო ლექციები თუ სატელევიზიო საუბრებიც.

ოთარ ჯანელიძის შემოქმედება მაძლევს საფუძველს განვაცხადო, რომ იგი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და ამავე დროს, აღსაყვება მაღალი პასუხისმგებლობით, რაც პირველხანისთვის თვისებაა მკვლევრისათვის განსაკუთრებით მაშინ, როცა წარსულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავლის უკეთ გასააზრებლად. მოსაწონია მეცნიერის საზოგადოებრივი აქტივობა და სამოქალაქო პოზიციაც.

მიმდინარე წლის 24 მაისს ოთარ ჯანელიძეს უსრულდება დაბადებიდან 70 წელი. ჩვენი იუბილარი მაძიებელი, მოაზროვნე და შრომისმოყვარე, თავმდაბალი და ღირსებით შემკული პიროვნებაა და რომ იტყვიან, ანგარიშგასანევი კაცია ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთელი შემადგენლობის სახელით მივესალმები სახელოვან მეცნიერს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და კვლავ და კვლავ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

**ელდარ ნადირაძე**



### ფრანსის სკოტ ფიცჯერალდი

ფეთ ჰობი მწერლების სახლში, თავის კაბინეტში იჯდა და დილის სამუშაოს უყურებდა. რომელიც სასცენარო განყოფილებიდან ახლახან დაუბრუნეს. ბოლო დროს მას მხოლოდ „გასასმალაშინებელი“ სამუშაოს აძლევდნენ. საჩქაროდ უნდა გაესწორებინა სცენარის უხარისხოდ დანერგული ეპიზოდი, თუმცა სიტყვა „საჩქაროდ“ მას არც აშინებდა და არც შთაგონებდა; ფეთი ჰოლივუდში ოცდაათი წლიდან იყო – ახლა ის ორმოცდაცხრისაა. მთელი სამუშაო, რაც ამ დღით შეასრულა, სტრიქონების უმნიშვნელო გადაადგილება და მცირე შესწორება იყო. ერთადერთი ბრძანების ფრაზა, რომელიც მან მოიგონა, ექიმს უნდა წარმოეთქვა:

„წყალი აადუღეთ, ბლომად წყალი!“  
 ეს კარგი რეპლიკა, სრულიად მნიშვნელოვანი და გამაზღვრებელი, მის გონებაში მაშინვე აღმოცენდა, როგორც კი სცენარი წაიკითხა. ძველ, უხმო კინოს დროს ამ სტრიქონის სათაურად გამოიყენებდა, ახლა სცენის სხვა მონაწილეთათვის დიალოგის სიტყვები სჭირდებოდა, მაგრამ, თავში არაფერი მოსდიოდა.

„წყალი აადუღეთ – იმეორებდა თავისთვის, – ბლომად წყალი!“

სიტყვამ „აადუღეთ“ მოიტანა სწრაფი და სასიხარულო აზრი ბუფონის შესახებ. ეს პატივსაცემი აზრი იყო – პატივით ძველი თანამშრომლისთვის, რომლისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვისთან სადილობ და ვისთან ურთიერთობ, ვიდრე რას ჰკარნახობ საკუთარ კაბინეტში. ეს უბრალოდ რაღაც კი არა – მრეწველობაა, რასაც ის ხშირად იმეორებდა ხოლმე.

– ეს ხელოვნება კი არა, – ერთხელ მან ეს მარქ ლომსაც უთხრა, რომელიც აუჩქარებლად სვამდა წყალს დერეფნის მაცივრიდან. – მრეწველობაა!

მაქსმა ეს „გასასმალაშინებელი“ დროული ძვალი ოთხის თხუთმეტ წუთზე მოიგდო.

– მითხარი, ფეთ, ქალაქზე უკვე ჩანერილი გაქვს რამე?

– გეუბნები, მე უკვე მაქვს ისეთი რამ, რაც იმათ... – საოცარი თავდაჯერებით დაასახელა ის ბიოლოგიური ფუნქცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ის რომელიღაც თეატრში დაიდგმებოდა.

მაქსი შეეცადა შეეფასებინა მისი გულახდილობა.

– არ გინდა, რომ ახლავე წამიკითხო?

– თქვა მან.

– ჯერ არა, მაგრამ მასში არის ის ძველი ჯიგარი, თუ გესმის, რასაც მე გვეულისებობ.

მაქსს ეჭვი აწვავდა.

– კარგი, საქმეს დაუბრუნდი, მაგრამ თუ რამე სამედიცინო წინალობას შეეჯახე, ექიმს მიმართე პირველი დახმარების პუნქტში.

ფეთის თვალეში პასტერის ძლიერმა მორალურმა სულიერებამ გამოანათა.

– ჰო, ასეც იქნება.

გაიფიქრა, კარგი იქნებოდა მაქსთან ერთად სტუდიაში გაესერინა – რა კარგია, რომ გადაეწყვიტა პროდიუსერს აკიდებოდა და მასთან ერთად დიდ მაგიდას მისჯდომო-

## წყალი აადუღეთ, ბლომად წყალი!

და, თუმცა მაქსმა უარი უთხრა, „მოგვიანებით განახავო“ და ბარში შეაჭრა. ერთ დროს ფეთი დიდ მაგიდასთან ნაცნობი პიროვნება იყო, მისთვის საუკეთესო დროს ის ხშირად სადილობდა ხოლმე აღმასრულებლებთან ერთად მათ პირად სასადილოში. როგორც ძველ ჰოლივუდელს, მას კარგად ესმოდა მათი იუმორი, პატივმოყვარეობა, სოციალური სისტემა და არამდგრადობა. ახლა იმ დიდი მაგიდის ირგვლივ ბევრი ახალი სახეა, ეს სახეები კი მას უნივერსალური ჰოლივუდური ეჭვით უყურებდნენ. პატარა მაგიდებთან მსხდომი ახალგაზრდა მწერლები სამუშაოში არიან ჩაფლული – ფეთს მდივნებთან ან მასობრივ სცენებში მონაწილეებთან ჯდომას, ერჩია სადმე კუთხეში ჩაეკბინა თავისი სენდვიჩი.

ფეთმა წითელი ჯვრის ოფისამდე გაიკვლია გზა და ექიმი იკითხა. გოგონა-ექთანმა, კედლის სარკიდან, რომლის წინაც გულმოდგინედ იღებოდა ტურებს, იკითხა:

– გასულია. რა ხდება?  
 – არაფერი, მერე შემოვივლი.

გოგონამ ღებვა დაამთავრა და შემობრუნდა გაბრწყინებული, ახალგაზრდა და დამამწვიდებელი ღიმილით.

– მის სთეისი დაგეხმარებათ. მე სასადილოდ უნდა გავიდე.

ფეთი, რაღაც ძველისძველი გრძობით, დარწმუნებული იყო, რომ თუ ამ პატარა მშვენიერებას სადილზე დაპატიჟებდა, ეს მას უსიამოვნებას მოუტანდა. თუმცა უმაღლესი გაახსენდა, რომ ახლა არც ერთი ცოლი არ ჰყავდა, ორივე ყოფილი ცოლმა კი აღიშენების მოთხოვნას თავი დაანება.

– სამედიცინო საკითხზე ვმუშაობ, – თქვა მან. – დახმარება მჭირდება.

– სამედიცინო?

– ვნერ რაღაცას – ერთი აზრი მომივიდა, იქნებ სადილზე დაგეხმარებოდით. მინდა სამედიცინო საკითხზე რამდენიმე კითხვა დაგისვათ.

ექთანმა შეეცადა.

– არ ვიცი. ეს ჩემი პირველი დღეა, რაც აქ ვარ.

– არა უშავს, – დაარწმუნა ფეთმა. – სტუდიაში დემოკრატიული არიან; ყველა მხოლოდ „ჯო“ ან „მერია“, – იმათთვის, ვინც სტუდიაში ამინდს ქმნის.

მან ეს სასადილოსკენ მიმავალ გზაზე შესანიშნავად დაამტკიცა, როცა შემხვედრი მამაკაცი, ვარსკვლავი მსახიობი, მიესალმა, ფეთმა კი სახელით მიმართა. კაფეში, სადაც ისინი არცთუ ადვილად მოუსხდნენ გრძელ მაგიდას, მისმა პროდიუსერმა, მაქს ლიმმა დაინახა: „აბა, შენ იციო“, ანიშნა და თვალის ჩაუკრა.

ექთანმა ჰელენ ერლი, – ასე ერქვა მას – ყველაფერს სიამოვნებით აკვირდებოდა.

– ვერავის ვხედავ, – თქვა მან. – გარდა რონალდ ქოლმენისა, არ ვიცი, რომ რონალდ ქოლმენი ცხოვრებაში ასე გამოიყურება.

– უცებ ფეთმა ხელი იატაკისკენ გაიშვირა.

– ეს კი მიკი მაუსია!

გოგონა წამოხტა. ფეთმა თავის ხუმრობაზე გაიცინა – ჰელენ ერლი კი უკვე მეოცნებე თვალეში მისწერებოდა კოსტუმირებულ მასობრივ სცენებში მონაწილეებს, რომლებმაც დარბაზი პირველი იმპერიის გერებით აავსეს. ფეთს ეწყინა, რომ ჰელენი ამ არაბრაობებმა დააინტერესეს.

– გავლენიანი პირები გვერდით მაგიდას უსხედან, – საზეიმოდ და ოდნავ დანანებითაც წარმოთქვა მან, – რეჟისორები და ყველანი, უდიდესი აღმასრულებლების გარდა. მათ შეიძლება რონალდ ქოლმენის მსგავსი საცვალი ეცვათ. ჩვეულებრივ, მეც მათთან ერთად ვზოვარ ხოლმე, მაგრამ მათ ქალები არ უნდათ. ქალები სადილზე არ უნდათ.

– ოჰ, – ამოიხრა ჰელენ ერლი, ზრდილობიანად, მაგრამ არა აღფრთოვანებით. – ალბათ, რა შესანიშნავია, იყო მწერალი. ძალიან საინტერესოა.

– ამასაც თავისი სისუსტეები ახლავს, – თქვა ფეთმა... უკვე წლებია ფიქრობდა, რომ ეს ძალღული ცხოვრება იყო.

– მედიცინასთან დაკავშირებით რა უნდა გეკითხა?

ეს ისევე ძნელი სათქმელი იყო. ფეთის გონებიდან რაღაც ისევე ამოვარდა, როცა საკუთარ ეპიზოდზე ფიქრობდა.

– იცით, მაქს ლიმს – კაცს, რომელიც ჩვენ პირდაპირ ზის, და მე, გვაქვს ხელნაწერი ექიმის შესახებ. ხომ გესმით? ფილმია საავადმყოფოს შესახებ.

– დიახ, ვიცი. – იქვე მაშინვე დაამატა, – ამისთვის წავედი სასწავლებლად.

– ჩვენ ეს სწორად უნდა გავაკეთოთ, იმიტომ, რომ ასობით მილიონი მასურებელი ნახავს და გადაამონწმებს. სცენაში ექიმი იმათ ეუბნება, რომ წყალი აადუღონ. ის ამბობს: „წყალი აადუღეთ, ბლომად წყალი“.

ჩვენ გვაინტერესებს, რას იზამენ ისინი.

– რატომ? ალბათ წყალს აადუღებენ, – თქვა ჰელენმა, მერე კი, თითქოს კითხვაში რაღაცამ დააბნია. – ისინი ვინ არიან?

– ვინ არიან? ვიღაც ქალიშვილი და ის მამაკაცი, ვინც იქ ცხოვრობს, და კიდევ იმ კაცის ადვოკატი, რომელიც დაშავდა...

პასუხის გაცემამდე ჰელენი შეეცადა, კარგად გაეაზრებინა შეკითხვა.

– ... და კიდევ ვიღაც სხვა, ვის ამომლასაც მე ვაპირებ, – დაასრულა ფეთმა.

ამას პასუხი მოჰყვა. მიმტანმა ქალმა მაგიდაზე ტინუსიანი სენდვიჩების თეფშები დააწყო.

– რა გითხრათ, როცა ექიმი გობრძანებს, ეს ბრძანებაა, – თქვა ჰელენმა.

– ჰმ. – ფეთის ინტერესმა დიდ მაგიდასთან, ძველ პატარა სცენაზე გადაინაცვლა და დაბნეულად იკითხა, – გათხოვილი ხართ?

– არა.

– მეც არ მყავს ცოლი.

დიდ მაგიდასთან იდგა მასობრივი სცენის მონაწილე. ეს იყო მძვინვარე გამომეტყველების მქონე უღვაშა რუსი კაზაკი, რომელსაც ხელი რეჟისორ პატერსონისა და პროდიუსერ ლიმს შორის მდგარ თავისუფალი სკამის საზურგეზე ჩამოედო.

– ეს თავისუფალია? – იკითხა მან ძლიერი ცენტრალურ-ევროპული აქცენტით.

– უცებ, დიდ მაგიდასთან მსხდომი ყველა მას მიაშტერდა, სანამ ეგონათ, რომ ეს ვიღაც ძალიან ცნობილი მსახიობი იყო, მაგრამ ასე არ გახლდათ – მას ისეთივე ფერადი უნიფორმა ეცვა, როგორც სხვებს, რომლებიც მათელი დარბაზი იყო გაქვდილი.

მაგიდაზე ვიღაცამ უთხრა:

– დაკავებულია. – მაგრამ კაცმა სკამი გამოწია და დაჯდა. – რამე უნდა ვჭამო, – თან დაამატა.

ახლოს მდგარ მაგიდებს თრთოლამ გადაუარა. ფეთ ჰობი პირდაფრენილი უყურებდა. ისეთ სცენას ჰგავდა, თითქოს ბოლო ვახშამს ვიღაცამ იხვი დონალდი მიახარა.

– უყურე ამას, – უთხრა მან ჰელენს. – ნახე, რას უზამენ!

დიდ მაგიდასთან გაცივებით გამოწვეული სიჩუმე ნედ ჰარმანმა, წარმოების მენეჯერმა დაარღვია.

– ეს მაგიდა დაკავებულია, – თქვა მან. კაზაკმა მერიუდან ამოხედა.

– მე მითხრეს, სადაც გინდა, იქ დაჯექიო.

მან მიმტანს ანიშნა, მოდიო – ის კი მერყეობდა, პასუხი თავისი უფროსის სახეზე უნდოდა ამოეკითხა.

– მასობრივი სცენის მონაწილენი აქ არ ჭამენ, – ჯერ ისევე ზრდილობიანად უთხრა მაქს ლიმმა. – ეს არის...

– მე უნდა ვჭამო, – ჯიუტად წარმოთქვა კაზაკმა. – თითქმის ექვსი საათი ვიდექი, სანამ მაგ ნაგავს იღებდნენ და ახლა უნდა ვჭამო.

სიჩუმე გაგრძელდა, ფეთის აზრით, დაძაბულ ჰაერში.

კაზაკმა უხალისოდ გააქნია თავი.

– არ ვიცი, ეს რას ჰგავს. – თქვა მან. მაქს ლიმი სკამიდან წამოიწია. – ეს უსაზღვრესი რამეა, რაც ჰოლივუდში გადაულიათ.

ფეთი ფიქრობდა, რატომ არაფერს აკეთებენ, დაუფიქრონ და აქედან გაათირონ. თუ ეშინიათ, სტუდიის პოლიცია გამოიძახონო.

ის ყურადღებით უსმენდა მაქს ლიმის გაღიზიანებულ ხმას.

– მეგობარო, ადექი და გაეთრიე აქედან, სწრაფად, მე ვიცი ჩემი უფლებები.

– ...  
 – სწრაფად!  
 კაზაკი მოიღუშა.

– ამას ვინ მეუბნება? – იკითხა მან.

– ნახე. – მაქსმა მთელ მაგიდას მიმართა, – სად არის ქუშმანი? სად არის პერსონალი?

– შენ ცდილობ გაამაგდო, – თქვა კაზაკმა და ქარქაშიდან ხანჯალი მაგიდის დონემდე ამოწია. – მე კი ამას ყურზე ჩამოგაკიდებ.

მაგიდასთან მსხდარი მამაკაცები, რომლებიც ხელფასის სახით საათში ათასობით დოლარს იღებდნენ, განცვიფრებული ისხდნენ. საკმაოდ მოშორებით, შესასვლელთან, სტუდიის ერთ-ერთმა პოლიციელმა იყნოსა, რომ რაღაც ხდებოდა და გადაჭედო დარბაზში მათკენ წამოვიდა. დიდი ჯიკ უილსონი, კიდევ ერთი რეჟისორი, უკვე ფეხზე იდგა. წამში მაგიდასთან გაჩნდა.

მაგრამ მათ დივივანეს – ფეთ ჰობიმ მეტის მოთმენა ვერ შეძლო. წამოხტა, ხელი დაავლო მომსახურების დახლებზე დადებულ დიდ, მძიმე სინს. ორიოდ ნახტომში გაჩნდა კონფლიქტის სცენაზე – მაღლა შემართული სინი კი კაზაკს მთელი ორმოცდაცხრა წლის მამაკაცის ძალით თავში ჩააფარა.

კაზაკმა, რომელიც უილსონის საფრთხის მომასწავებელი გამოხტომის საპასუხოდ დგებოდა, დარტყმა მიიღო მთელ სახესა და შუბლზე და როგორც კი წაიქცა, მისი გრიმიანი სახე სისხლის წითელი ზოლებით დაიფარა. ახლა ის უკვე სკამებს შუა ედო.

ფეთი, სინთ ხელში, მძიმედ სუნთქავდა.

– ბინძური ვორთხა! – დაიყვირა მან.

– ნეტავ რას ფიქრობდა...

სტუდიის პოლიციელმა ადგილამდე მოაღწია; უილსონმა უკან დაიხია – სხვა მაგიდასთან მჯდარი გაოგნებული მამაკაცი წინ გამოვარდა, რათა დაენახა, რა ხდებოდა.

– ეს გათამაშება იყო! – ვიღაცამ იყვირა. – ეს უოლტერ ჰერიკია, მწერალი. ეს მისი ფილმია.

– ღმერთო ჩემო!  
 – ის მაქს ლიმს აშაყირობდა. ეს გათამაშება იყო, გეუბნებით!

– გარეთ გაიტანეთ... – ეს ვინ გააკეთა? ვინ ჩასცხო თავში?.. ექიმი გამოიძახეთ... ფრთხილად, გესმით?!

ჰელენ ერლი სწრაფად წამოდგა; უოლტერ ჰერიკი იატაკზე თავისუფალ ადგილას გადაიტანეს. იქიდან კივილი ისმოდა: „ეს ვინ გააკეთა? ვინ ჩასცხო თავში?“

ფეთმა საკუთარი არასწორი ქმედების „იარაღი“, სინი სკამზე დაამხო, ამ ალიაქეთში მისი ხმა არავის გაუგია.

დაინახა, რომ ჰელენ ერლი მამაკაცს სწრაფად შემუშავებდა სახეს სუფთა ხელსახოცით.

– რატომ უნდა ექნათ ეს მისთვის? – ვიღაცამ იყვირა.

ფეთმა თვალი მოჰკრა მაქს ლიმის მზერას, რომელმაც ამ დროს სხვა მხარეს გაიხედა. ფეთს უსამართლობის გრძობამ გაუელვა თავში. ამ კრიზისში, სინამდვილეში თუ წარმოდგენით, მხოლოდ მან იმოქმედა. მხოლოდ მან ითამაშა მამაკაცის როლი მაშინ, როცა ამ გაბლენილბემა თავს უფლება მისცეს, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინათ და გაელანძღათ. ახლა ის უნდა დაისაჯოს, რადგან უოლტერ ჰერიკი ძლიერი და პოპულარულია, კვირაში სამი ათას ხუთას დოლარს იღებს, ნიუ იორკში კი ჰიტად ქცეულ შოუებს დგამს. ვინ იფიქრებდა, რომ ეს მისი მხრიდან გათამაშება იყო?

ახლა ექიმიც ადგილზე იყო. ფეთმა გაიგო, რომ მან მენეჯერ ქალს რაღაც გადაუღაპარა, მენეჯერის ნიკვინა ხმის ბრძანებაზე კი მიმტანები სამზარეულოსკენ ფოთლებით გაიფანტნენ.

– წყალი აადუღეთ! ბლომად წყალი!

ეს სიტყვები მძიმედ და არარეალურად მოხვდა ფეთის დამძიმებულ სულს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან ახლა ნამდვილად იცოდა, ამას რა მოჰყვებოდა, თუმცა იმაზე აღარ ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა სცენარის რედაქტირებას.



ნათელა ქურციკიძე

თქვენ

გამორჩეულად ლამაზი შენ ხარ, თელავო ჩემო. სხვა შენი ცა, შენი მზე, შენი ცხოვრების გემო!

შენი ციხა და შენი მზით ძალებს იკრეფავს ერი, პატარა კახის ქალაქო, გულის ფეთქვა ხარ ჩემი!

ცივ-გომბორიდან მოგახსი, ზღაპარს გაიმბობს მთები,

ალაზნის დიდი მდინარეც შენ გეფერება, მღერის.

უძველესო და უტკბესო, წყალობას გაძლევს ღმერთი და მარიამის კალთის ქვეშ ხარობს, იზრდება ერი.

შენს სიყვარულზე სწავლობენ ჩემი ერიც და ბერიც, მთელი კახეთის მშვენიერება შენ ხარ, თელავი ჩემი!

სიყვით

სიკეთე მზესავით ანათებს, თავისით იკავავს გზა-კვალს... არ კვდება, პირიქით. მრავლდება, გულში რომ ანთია სანთლად.

სიკეთე ღირსების ნიჭია, არ გვაძლევს უფლებას შურის, სხივებით შეგვაფასებს, გვახარებს მთელი არსებით და გულით.

და მინდა, ეს ნიჭი სულ ყველას ჰქონდეს საგზლად და აფრად,

ყოველთვის დავთესოთ სიკეთე, თვითონაც მოვიმკათ მრავლად!

სიკეთე განძია, სიმდიდრე, ალალი, წრფელი და წმინდა... მინდა, რომ სულ ვთესო სიკეთე, მე სხვა არაფერი მინდა.

თოლია

ჩემს თვალწინ ფრთხილ-ფრთხილით, მიგოგავს თეთრი თოლია, საბრალოს, თურმე მარჯვენა ფრთამოტეხილი ჰქონია!

ვერ გაფრენილა ვერსაით, მხოლოდ ერთი ფრთის ამარა, გულმონყალებით შემეყურებს, ხან ემინია, ხან არა.

დავიჭირე და ვაკოცე, ფიქრს სინანული ერია, ნუ შიშობ, ჩემო საბრალოვ, კეთილი ხალხიც ბევრია.

ნუ ლელავ, მაგ ფრთას მოგიჩრჩენ, სიყვარულია წამალი,

მერე მოძებნი მეგობრებს, იქნები ისევ ფრთამალი!

R


დიდ ზღვასაც გადაუქროლებ, ფრთებსაც დაიბან ზღვაშია, ხოტბას შეასხამ ბუნებას, კვლავ აიჭრები ცაშია.

მეტი არაფერი მინდა

სხვა არაფერი არ მინდა ქვეყნად, არც მსურვებია ამაზე მეტი; ამ ნუთისოფლის ვინრო ბილიკზე, გვიყვარდეს, ტკბილად გავლით დღენი!

ძმა ძმისთვისაო! – ჟღერდეს ყოველთვის, კარგად გვესმოდეს ამ სიტყვის ძალა, ძლიერ სიყვარულს, ერთუროს გვერდით, აჯობებს რამე ამ ქვეყნად განა?!

შევთხოვეთ უფალს, მოგვცეს შენდობა, და... სიყვარული გექონდეს – მზიანი; უფლის კურთხევით და მისი მადლით, ვთესოთ ვარდი და ვთესოთ იანი!



ქოაზის ნიგნი

ლებთან, რუსებთან, არაბებთან, თურქებთან...) ურთიერთობა მოუხდებოდა, ხელს მოჰკიდებდნენ სასა-უბროებს, ისწავლიან და პრობლემაც გადაჭრილია. და ეს საფასურია – თავისუფლებისა! დაე, ალაჰი ფარავდეს მას განკითხვის დღემდე! ქართველების უფროს თაობას ჩვენი, ლილივების, კარგად ესმის, რადგან ჩვენთან ერთად ისინიც სხვათა ძალმომრეობის ქვეშ ცხოვრობდნენ. თქვენ – თავი დააღწიეთ და თავისუფლება მოიპოვეთ, ჩვენ კი...

...თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაიგოთ, რა გამოვიარეთ. ჩვენ კი, ლილივებმა, უნდა ვუწყოდეთ, თქვენ რა განიცადეთ ისტორიის განმავლობაში, დასაბამიდან. ასე უკეთესაც გავუგებთ ერთმანეთს. წაიკითხეთ და იცოდეთ: ყველაფერი, რაც აქ წერია, ჩვენი ცხოვრებიდანაა აღებული, – გამოგონილი არაფერია. ღმერთმა დაგლოცოთ! მწერალი ისა ქოაზოი, სოფ. ტოიურთი (ინგუშეთი)".

ისსა ქოაზოის პროზა დოკუმენტურ წყაროებზეა შექმნილი. აქ არაფერია გამოგონილი, არაფერია გადაჭარბებული, ყველაფერი მოთხრობილია ისე, როგორც იყო და არის სინამდვილეში. უნდა აღინიშნოს თხრობის სტილიც – ეს არის სადა, უბრალო, ლიტონი სიტყვით გაცოცხლებული სიუჟეტები, რომლებსაც თუ ერთხელ წაიკითხავ, აღარასოდე დაგვიწყდება.

გელა ცინცაძე

ახალი ლიტერატურული კრებული აერთიანებს მწერლის შემოქმედების ვრცელ პერიოდს, დაწყებულს გარდაქმნის ხანიდან დღევანდელის ჩათვლით. რომანი – „ფანტაზია არაფრის შესახებ“, მოთხრობები: „გამოფენა“, „დიდი აფეთქების თეორია“, „ნადირობა სიტყვების ნაკრძალში“, „იყო და არა იყო რა“, „გვოვე ტაძარი“... სატირული მოთხრობები, მცირე პროზა ნოველების და ჩანახატების სახით, მისი გახმაურებული პიესა „მდგმურები“ და სხვა პიესები – მთელი ეს მრავალფეროვანი მხატვრული მასალა გვიხატავს თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციური კრიზისის პრობლემას და კოლიზიებით სავსე სამყაროს, სადაც წარმოსახვა და სინამდვილე მსოფლიო მოვლენათა ერთიან თეატრალურ წარმოდგენაშია ჩართული.

ცხოვრების სინამდვილის და პიროვნების შინაგანი სამყაროს ერთიან წარმოსახვა ქმნის მწერლის მხატვრული თხრობის ალეგორიულ განზომილებას. ალეგორია ერთი მხრივ ფაქტობრივ სინამდვილეს ეხება, მეორე მხრივ კი ამ რეალობის პირობითობას, მის სიმბოლურ ხასიათს გვიჩვენებს. თხრობის ასეთი სტილი თანდევს მამუკა დოლიძეს მთელი თავისი ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ეს ენობრივი თამაში განსაკუთრებულ პოლიტიკურ უღერადობას იძენს მის პიესაში „მდგმურები“ და რომანში „ფანტაზია არაფრის შესახებ“.

რომანში ავტორი პერსონიფიცირებულია და როგორც მთავარი გმირი, ჩართულია ამბის გადმოცემის დრამატურგიაში. მწერალი სხვა პერსონაჟებთან ერთად მონაწილეობს მხატვრულ მოვლენათა სპონტანურ განვითარებაში. ავტორის და პერსონაჟების ასეთი შერწყმა ზოგადად ახასიათებს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნე-

ბის „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თანამედროვე ქართული ინტელექტუალური პროზაც ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი საინტერესო გამსჭოტებაა. სწორედ ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას განეკუთვნება მამუკა დოლიძის შემოქმედება, გარკვეული თვალსაზრისით ფილოსოფიური პროზა რომ შეიძლება ვუწოდოთ.

რომანში გადმოცემული ამბები ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიიდან საზრდოობენ – იმ კოლიზიებით სავსე დრა-

მა ხდება თეატრი – ცნობადი სახეების, იმიჯების და ნიღბების თამაში კალიდოსკოპივით ცვალებადი ისტორიის სცენაზე. მწერალი, როგორც პიროვნება, უპირისპირდება და წინააღმდეგობას უწევს იმ ქაოტურ ფანტასმაგორიას, რომელშიც ჩვენი სამყარო ტრიალებს.

კრებულში დაბეჭდილი სხვა მოთხრობებიც თანამედროვე ადამიანური სიტუაციის აბსურდული ყოფის გადმოცემაა. თხრობის მანერა აქაც ალეგორიულია, მაგრამ ყურადღება უფრო გამახვილებულია მოგონე-

მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციული მოვლენების ფონზე. ალეგორიული ფორმა საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ ნაწარმოები არა მხოლოდ ისტორიულ პლანში, არამედ პიროვნებაზე ფსიქო-მოციური ძალადობის თვალსაზრისითაც. მდგმურები, როგორც პიესის მთავარი გმირის, ქართლოსის „მეგობრები“, ასწავლიან მას, როგორ უნდა იცხოვროს, რა ღირებულებებით უნდა იხელმძღვანელოს, როგორ უნდა წეროს, როგორ უნდა იფიქროს და ბოლოს აძევებენ მას პინძელს საკუთარი ბინიდან, რომელიც ჩვენი სამშობლოს სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს.

მამუკა დოლიძის მხატვრულ-ლიტერატურული კრებული „გამოფენა“ საყურადღებო მოვლენაა დღევანდელ ქართულ მწერლობაში. თანამედროვე საქართველოს რთული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ფონზე მკაფიოდ არის ნაჩვენები პიროვნების მარტოობის, გაუცხოების და ეგზისტენციური კრიზისის პრობლემა.

სიკეთისა და ბოროტების გზაჯვარედინზე, არჩევანის წინაშე მყოფი ადამიანის ფიქრის და განცდის ერთიან ნაკადში გვეძლევა ის რთული და მრავალფეროვანი ცხოვრება, სადაც პიროვნება პასუხისმგებელია არა მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე, არამედ ყველაფერზე, რაც მის გარემომცველ სამყაროში ხდება. ეს გახლავთ უკიდურესად გამძაფრებული პოსტ-მოდერნული ჰიპერრეალობა, სადაც საზღვარი არ არსებობს ფაქტიურ სინამდვილეს და ამ სინამდვილის წარმოსახვის სფეროებს შორის, სადაც გადმოცემული ამბავი სიტყვისა და სინამდვილის, რეალურის და ირეალურის ერთ განუყოფელ მთლიანობაში არსებობს.

გიორგი გერაძე

სიკეთისა და ბოროტების გზაჯვარედინზე მამუკა დოლიძის ახალი ნიგნი

მატული მოვლენებიდან, თავს რომ დაატყდა საქართველოს საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად. ეს ყოველივე წარმოდგენის და სინამდვილის ერთიან თეატრალურ სცენაზე ხდება. თეატრალური დრამატიზაცია არ უკარგავს, პირიქით, უფრო აძლიერებს ტრაგიკომიკურ მოვლენათა საშინელების ეფექტს. თამაში პირობითობა გვიჩვენებს, რომ სინამდვილეს უნდა გაექცე, თუ გინდა, მის არსს ჩანახატე, მისი ფარული ინტენცია შეიცნო. ამ აზრით, მწერლის რომანი სწორედ წარმოსახვის სივრცეში ახდენს ჩვენი უკიდურესად გამძაფრებული რეალობის საზრისს წვდომას.

„ფანტაზია არაფრის შესახებ“ სიკეთის და ბოროტების დაპირისპირების თემაზეა გაშლილი. ადამიანის ხსნა ამ დაპირისპირების მიღმა მარადჩაუქრობელი ღვთიური სინათლის უსასრულობაშია მოცემული. ამ ჭეშმარიტების ნათელში ფერს იცვლის მხატვრული სიმართლის ცნება. თეატრი კი არ ასახავს ცხოვრებას, თავად ცხოვრე-

ბებზე, წარსულზე, ბავშვობის განცდებზე, რაც დღევანდელი ცხოვრების საპირწონეს შეადგენს. მისი მცირე პროზაც გარდასულ დღეთა მართიან თეატრალურ სცენაზე ხდება. თეატრალური დრამატიზაცია არ უკარგავს, პირიქით, უფრო აძლიერებს ტრაგიკომიკურ მოვლენათა საშინელების ეფექტს. თამაში პირობითობა გვიჩვენებს, რომ სინამდვილეს უნდა გაექცე, თუ გინდა, მის არსს ჩანახატე, მისი ფარული ინტენცია შეიცნო. ამ აზრით, მწერლის რომანი სწორედ წარმოსახვის სივრცეში ახდენს ჩვენი უკიდურესად გამძაფრებული რეალობის საზრისს წვდომას.

„ფანტაზია არაფრის შესახებ“ სიკეთის და ბოროტების დაპირისპირების თემაზეა გაშლილი. ადამიანის ხსნა ამ დაპირისპირების მიღმა მარადჩაუქრობელი ღვთიური სინათლის უსასრულობაშია მოცემული. ამ ჭეშმარიტების ნათელში ფერს იცვლის მხატვრული სიმართლის ცნება. თეატრი კი არ ასახავს ცხოვრებას, თავად ცხოვრე-

ბებზე, წარსულზე, ბავშვობის განცდებზე, რაც დღევანდელი ცხოვრების საპირწონეს შეადგენს. მისი მცირე პროზაც გარდასულ დღეთა მართიან თეატრალურ სცენაზე ხდება. თეატრალური დრამატიზაცია არ უკარგავს, პირიქით, უფრო აძლიერებს ტრაგიკომიკურ მოვლენათა საშინელების ეფექტს. თამაში პირობითობა გვიჩვენებს, რომ სინამდვილეს უნდა გაექცე, თუ გინდა, მის არსს ჩანახატე, მისი ფარული ინტენცია შეიცნო. ამ აზრით, მწერლის რომანი სწორედ წარმოსახვის სივრცეში ახდენს ჩვენი უკიდურესად გამძაფრებული რეალობის საზრისს წვდომას.

მთავარი რედაქტორი **ნანა ამირანაშვილი**  
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მებრძელო**  
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატარაშვილი**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გელა გველესიანი, მზია პარპაძე**  
დინამიკური-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“  
საბანკო ანგარიშის ნომერი:  
საქართველოს ბანკი,  
GE43BG000000161665862

**გაზეთი გაზეთის 2 კვირეული მისამართი**  
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში  
მისამართი:  
თბილისი, თევდორე მღვდლის 57  
ISSN 2720-8540  
772720854003